# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ორშაბათი, 6 ივლისი 1998 №112 (647) ფასი 50 თეთრი



შუკერმა, მარიჩმა და სხვა ხორვატებმაც თავადაც იხარეს, სამშობლოც ახარეს და მსოფლიოც აალაპარაკეს

## ძლევაი გასახარი
### ტორპედომ ლომელი დაჩაგრა

„სტანდარდის" ქართველი თავდამსხმელის ლაშა ჯაკობიას ნაწინასწარმეტყველები ჯერჯერობით ახდა. გუშინ ინტერტოტოს თასის გათამაშების მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ქუთაისის „ტორპედომ" ბელგიურ „ლომელთან" სტუმრად იმარჯვა. ჩვენებურებს ერთადერთი გოლის პირველ ტაიმშივე გამტანმა ზაზა ვაჩიბერაძემ გაამარჯვებინა.

იუზა კაციტაძის რეპორტაჟი ლომელიდან იხილეთ მერვე გვერდზე

## ველით და გველიან
### დღეს ევროთასების კენჭისყრაა

- ვინ შეხვდება ჩემპიონთა თასის წინასწარ ეტაპზე თბილისის „დინამოს"?
- უეფას თასზე ფოთის „კოლხეთი" ვის შეეყრება?
- თასების თასზე „ბათუმს" ვინ დაუპირისპირდება?

ამ კითხვაზე უეფა დღეს გაგვცემს პასუხს, დღეს ევროთასების კენჭისყრაა. დღესვე გაირკვევა სხვა ნწყვილებიც და ევროპა ახალი საკლუბო სეზონის პირველ კონტურებს მოხაზავს. მკითხველს კი „სარბიელის" მე-7 გვერდზე ვთავაზობთ უეფას საკლუბო რეიტინგს, მისი შედგენის წესს და აქამდე ჩატარებულ ევროთასების ფინალთა სტატისტიკას.

უეფას რეიტინგში საქართველო ოცდამეთოხე ადგილზეა. უეფას რეიტინგი კენჭისყრაზე ბევრ რამეს განაპირობებს.

იხილეთ მეშვიდე გვერდი

## ხორვატთა გაკვეთილი ქართველებისთვის
### ეროვნულ გუნდში პატრიოტებმა უნდა ითამაშონ



გუცაევი თითქმის გულთმისანია

მსოფლიოს ჩემპიონატმა კულმინაციას მიაღწია. რაღა დარჩა, სულ ოთხიოდ თამაში და ყველაფერი გაირკვევა. ყველა ნერვიულობს, ყველას თავისი ფავორიტი ჰყავს, ზოგის რჩეულმა გუნდმა უკვე სამშობლოსაც მიაშურა. საფრანგეთი დატოვა გერმანიის ნაკრებმაც. ჩემპიონობის ერთ-ერთმა ყველაზე რეალურმა კანდიდატმა ხორვატებთან თავი შეირცხვინა. თავადაც დამწუხრდნენ და ბევრის პროგნოზიც ვერ გაამართლეს. გერმანელებმა საქართველოს ეროვნული გუნდის მწვრთნელსაც უმტყუნეს. ჩემპიონატის დაწყებამდე ვლადიმერ გუცაევი ამბობდა, ნახევარფინალში საფრანგეთი, ბრაზილია, ჰოლანდია და გერმანია ითამაშებენო. ყველა გამოიცნო გერმანიის გარდა. დამეთანხმებით, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, მსოფლიოს ჩემპიონატში პირველად მონაწილე გუნდი ასეთ სახელოვან მეტოქეს თუ დაამარცხებდა. ერთი სიტყვით, რაც მოხდა, მოხდა. გერმანელებმა თავისი იკითხონ, უჩვენოდაც მოუვლიან საქმეს, ქართველებმა კი ჩვენსას მივხედოთ.

გეხსომებათ, ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირების შეფასება სწორედ გუცაევს ვთხოვეთ და გუშინაც მერვედ და მეოთხედფინალების თაობაზეც ისევ მას მივაკითხეთ, მით უმეტეს, რომ ჩემპიონატს ის ოთხი გუნდიღა შემორჩა, რომელთაგანაც ჩვენი ეროვნულის მწვრთნელმა სამი გამოიცნო.

იხილეთ მეცხრე გვერდი

## იუჰანსონს არაფერი უკვირს

ემზარ ზენაიშვილი
„სარბიელის" საგანგებო კორესპონდენტი პარიზიდან



ლიონი კიდევ ერთი, რიგით მეექვსე ქალაქი იყო ჩემს ფრანგულ საფეხბურთო რუკაზე. ქალაქი-მეთქი, ვამბობ, მაგრამ, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, არც ერთი ქალაქი (პარიზის გარდა) მე არ მინახავს. ვნახე მხოლოდ მგზავრებით გადაჭედილი რკინიგზის სადგურები და ფეხბურთის სტადიონები, თუმცა ჩემი ამჟამინდელი მივლინება სხვა მიზანს არც ისახავდა.

შაბათ დღეს დაცარიელებული მეჩვენა ნახევარმილიონიანი ლიონი. ფრანგებს ამ მატჩისადმი დიდი ინტერესი მაინცდამაინც არც გამოუჩენიათ. მათთვის ყველაფერი ცნობილია — გერმანია მოიგებს, ასე რომ, საინტერესო არაფერია. ფრანგთა ემოციები კი გუშინდელმა დღემ შთანთქა, მათი ინტერესიც გუშინ ამოიწურა, მხოლოდ რამდენიმე დღით.

სტადიონი, რომელიც ჯერ კიდევ 1924 წელს აშენებულა და ახლახან განახლდა, საკმაოდ შორსაა რკინიგზის სადგურიდან, ჯერ მეტრო, მერე ავტობუსი და საკმაოდ გრძელი გზა ფეხით — პოლიციამ ტრანსპორტის მოძრაობა კარგა მოშორებით აკრძალა.

პრეს-ცენტრი, რომელიც დროებით, მხოლოდ ამ კონკრეტული შემთხვევისთვისაა აწყობილი შესაშური სოლიდურობით და რომელიც სტადიონსა და სპორტის სასახლის შუაშია, გერმანელთა ტყვეობაში გახლდათ. გავიფიქრე, ვისაც კი ოდესმე ფეხბურთზე რაიმე დაუწერია, ან მომავალში აპირებს წერას, ყველ აქ რამ ჩამოიყვანა-მეთქი. თანაც თითქმის ყველას დროებითი აკრედიტაცია ჰქონდა, ისხდნენ ბარში ან კაფეტერიაში, მიირთმევდნენ ლუდს, ან კიდევ ჟურნალისტთა სამუშაო მაგიდასთან საუბრობდნენ, აბოლებდნენ სიგარეტს, ფეხი ზოგს მაგიდაზე, ზოგსაც სკამზე ჰქონდა შეწყობილი. ასეთი გულარხეიონება ამ სერიოზული პროფესიის ხალხში აქ სხვაგან არც შემიმჩნევია.

არადა, თურმე რას უმზადებდა საფეხბურთო ფორტუნა გერმანელთა გუნდს, გულშემატკივრებსა და ჟურნალისტებს. დარწმუნებული ვარ, ამ დიდი საფეხბურთო ქვეყნის მატიანეს 1998 წლის 4 ივლისი შავ ლაქად შერჩება. საქმე მარტო წაგება არაა. საქმე ისაა, როგორ წააგე და ვისთან.

თამაშის დღეს გერმანული ბულვარული გაზეთი „ბილდი" პირველივე გვერდზე აქვეყნებს ნაკრების შემადგენლობას და ფოტოებს ხორვატებთან მატჩისთვის (მხოლოდ ერთი ვერ გამოიცნეს) — ფოგთსმა ციგეს ნაცვლად ტარნატი დააყენა) და უზარმაზარი შრიფტით გაწყობილ მიმართვას: „ბიჭებო, ჩვენ თქვენთან ვართ!". იქვე გაკვრით წარწერაა — ცხადია, ხორვატები ეცდებიან შური იძიონ ევრო-96-ში მარცხის გამო, მაგრამ მათ ეს არ გამოუვათო. ისე ყველაფერი აგიხდეთ, როგორც გამოუვიდათ!

ფეხბურთი, რომელმაც მსოფლიოს მისცა ისეთი სახელები, როგორიცაა ფრიც ვალტერი, უვე ზეელერი, ფრანც ბეკენბაუერი, გიუნტერ ნეტცერი, გერდ მიულერი, ზეპ მაიერი, პაულ ბრაიტნერი, იგივე ლოთარ მათეუსი და მრავალი სხვა, გერმანელთა დღევანდელი ნაკრების შესრულებით მარცხდება. 4 ივლისს ლიონის სტადიონზე ალბათ დამთავრდა ბერტი ფოგთსის სანაკრებო ეპოქა. ნაკრების დღევანდელი შემადგენლობიდან ბევრისთვის დაიხურება მისი კარი. ისეთი ქანცგამწყვეტი მარათონისთვის, როგორიც მსოფლიოს თასის ფინალია, გერმანელთა გუნდი „გადაბერებული" გახლდათ — საფრანგეთში ბოლო მატჩში მოედანზე გამოსულთა საშუალო ასაკი 30 წელი იყო, ხოლო თერთმეტი ფეხბურთელიდან ნახევარზე მეტი 31-37 წლისა.

იხილეთ მეხუთე გვერდი

## უიმბლდონი თვითმკვლელი



პიტ სამპრასი უიმბლდონის ფრიადოსნობას ხარობს

გუშინ ლონდონის „ოლ ინგლენდ კლაბის" კორტებზე მსოფლიოს უპირველესი საჩოგბურთო ტურნირი — უიმბლდონი ვაჟების მეტად დრამატული ფინალით დასრულდა. პიტ სამპრასმა ბოლო ექვსი წლის მანძილზე მეხუთე ჩემპიონობა იზეიმა, გორან ივანიშევიჩი კი თავის მესამე უიმბლდონური ფინალის წაგებამ ისე დაამწუხრა, ამქვეყნად ცხოვრება აღარ მიღირს, თამაშსაც შევეშვებიო, სახალხოდ დაიჩივლა.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

# გერმანელები ნაცემებს მსაჯს და საკუთარ თავს აბრალებენ

...ხორვატია — გერმანიის მეოთხედფინალური მატჩის მე-40 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ექსიუგოსლავიელთა მრისხანე თავდამსხმელმა დავორ შუკერმა ბურთი მეტოქეთათვის მეტად სახიფათო სიტუაციაში მიიღო. ერთი ცრუ მოძრაობა და რომ არა გერმანელი მცველის კრისტიან ვიორნსის უხეში თამაში, ფორვარდი მეკარესთან თითქმის პირისპირ დარჩებოდა. შეხვედრის არბიტრი ამ ადგილიდან საკმაოდ ახლოს იმყოფებოდა და შეეძლო კარგად დაენახა, თუ რა სახის დანაშაული ჩაიდინა მცველმა. ერთი შეხედვით ვიორნსი თითქოს წითელ ბარათსაც იმსახურებდა, მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით და წლევანდელ ჩემპიონატში დღემდე გამართულ სხვა მატჩებსაც გავიხსენებთ, არაერთ შემთხვევას აღმოვაჩენთ, როცა მსაჯებს წესის მსგავს, ანაც გაცილებით უხეშ დარღვევებზე დაუხუჭავთ თვალი და დამნაშავე ფეხბურთელები ყვითელი ბარათითაც კი არ დაუსჯიათ. ასე რომ, სიტუაციის არბიტრისეულ შეფასებაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული და მანაც გერმანელთათვის მეტად არასასურველი, შეიძლება ითქვას, დამღუპველი განაჩენი გამოუტანა ვიორნსს.

ამ მომენტის გახსენება იმად დაგვჭირდა, რომ, საყოველთაო მოსაზრებით, შეხვედრის ბედი სწორედ აქ გადაწყდა. ვიორნსის გაძევებამდე, მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში, მინდორზე თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა და შეიძლება ითქვას, ზოგიერთ ეპიზოდში გერმანელები უკეთაც გამოიყურებოდნენ. მაგრამ მცველის საბედისწერო შეცდომამ თამაში სულ სხვაგვარად წარმართა.

მოკლედ, გერმანიის ნაკრებმა წააგო და ახლა მსაჯის განაჩენის სამართლიანობაზე საუბარი გვიანაა. ამას თავად მოთამაშეებიც კარგად ხვდებიან, თუმცა შეხვედრის შემდეგ მათ ემოციების შეკავება გაუჭირდათ და არბიტრის მიმართ უკმაყოფილება გამოთქვეს.

თავად დასჯილი ფეხბურთელის, კრისტიან ვიორნსის აზრით, მსაჯი მისი გუნდისადმი თავიდანვე არაკეთილმოსურნედ განეწყო, რის გამოც ხშირად უსამართლო გადაწყვეტილებებს იღებდა.

— საერთოდ, მსაჯებზე საუბარი არ მიყვარს და ამას არასოდეს ვაკეთებ, მაგრამ დღევანდელი მატჩის არბიტრის საქციელი იმდენად აღმაშფოთებელი იყო, რომ თავის შეკავება გამართლებულად არ მიმაჩნია. ვერ გამიგია, რისთვის გამაძევეს მოედნიდან, ხომ სერიოზული არაფერი ჩამიდენია. ეს პირწმინდად სათამაშო ეპიზოდი გახლდათ, რომელიც უკიდურეს შემთხვევაში შეიძლებოდა ყვითელი ბარათით დასჯილიყო. საწყენია, რომ მსაჯმა სიტუაცია სხვაგვარად შეაფასა. მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ნებისმიერი ფეხბურთელის დიდი ოცნებაა და ხშირად ხდება, რომ უპირველესი ვარსკვლავები სხვადასხვა მიზეზის გამო ამ დღესასწაულში მონაწილეობას ვერ ახერხებენ. მე ბედმა გამიღიმა და საფრანგეთში მოვხვდი, მაგრამ ასეთ ასპარეზობას მერჩივნა, შინ დავრჩენილიყავი, რადგან მსაჯის უსამართლო სასტვენმა მეოთხედფინალში თამაშით გამოწვეული სიხარული ჩამიშხამა — მატჩის შემდეგ ვიორნსი უზომოდ აღშფოთებული გახლდათ.



ხორვატებმა სწორედ ვიორნსის გაძევების შემდეგ გაილაღეს

სარბიელის არქივიდან

თანაგუნდელს მხარი გერმანიის ნაკრების ვეტერანმა ლოტარ მათეუსმაც დაუჭირა, თუმცა ახალბედა ვიორნსისგან განსხვავებით მას ხორვატებთან მარცხის მხოლოდ მსაჯისთვის გადაბრალება არ უცდია.

— ფიფა ხშირად მეტად გაუგებარ აქციებს მიმართავს. ისეთ მეორეხარისხოვან მატჩებზე, რომლებიც აბსოლუტურად არაფერს წყვეტენ, მეტად გამოცდილი არბიტრები ინიშნებიან, ხოლო უმნიშვნელოვანეს შეხვედრებს შედარებით სუსტ მსაჯებს ანდობენ ხოლმე. ასეთი საქციელი დაუშვებელია, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატი უდიდესი სპორტული ასპარეზობაა და აქ უსუსურ მსაჯობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენ რამდენჯერმე ვნახეთ საეჭვო ეპიზოდი და დავრწმუნდით, რომ არბიტრი შეცდა. გერმანელ მცველს წესები უხეშად არ დაურღვევია, ამიტომ პედერსენის გადაწყვეტილების გამართლება შეუძლებელია. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ დამარცხება მსაჯის ბრალი ნამდვილად არ ყოფილა. მატჩის გამნმავლობაში რამდენიმე ურეალურესი საგოლე მომენტი გვქონდა, რომლებიც, სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენეთ. ნახევარფინალში კი სხვაგვარად ვერ გავხვალ. ასე რომ, დანაშავენი თავად ვართ და წარუმატებლობის სხვებისთვის გადაბრალება სასაცილოა — განაცხადა ლოთარ მათეუსმა .

თუმცა, რაც უნდა ილაპარაკონ გერმანელმა მოთამაშეებმა, ერთი ცხადია: საფრანგეთში მათ მეტად უფერული ფეხბრთი აჩვენეს და დაისაჯნენ. იმედია, ზედიზედ ორი ჩაგდებული ჩემპიონატის შემდეგ ამ ქვეყნის ფეხბურთის მამები დაფიქრდებიან და ისეთ გუნდს ჩამოაყალიბებენ, რომელიც წარმატებით გააგრძელებს ძველი ვარსკვლავების — ბეკენბაუერის, ზეელერის, ოვერატისა და სხვათა დიდი ტრადიციებს.

**ირაკლი ხმელიძე**

# წავიდა ფოგტსის დრო?

1994 წელს გერმანიის ნაკრები აშშ-ში გამართულ მსოფლიოს პირველობაზე ჩემპიონის რანგში ჩავიდა და ერთ-ერთ ფავორიტადაც ითვლებოდა, მაგრამ მთავარი მწვრთნელის ბერტი ფოგტსის ქვეშევრდომები მეოთხედფინალში სენსაციური დამარცხება იწვნიეს. გერმანელთა წარუმატებლობა იმდენად მოულოდნელი გახლდათ, რომ გულშემატკივრებმა ლამის გლოვა გამოაცხადეს, ხოლო ფოგტსი და მისი ფეხბურთელები ეროვნული უბედურების მთავარ მიზეზად შერაცხეს.

წლეულს საფრანგეთში მიმავალ ნაკრებს გერმანელი ფანები დიდი იმედის თვალით უყურებდნენ, მაგრამ მათ რატომღაც დაავიწყდათ, რომ ეროვნული გუნდის წევრთა უმეტესობამ ოცდაათს კარგა ხანია გადააჭრბა და მათ ძველებური სისხარტე და ჯანი აღარ მოსდევთ. ეს რომ ფაქტია, უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში მთელმა მსოფლიომ იხილა. გერმანელებს ჯერ კიდევ ჯგუფური ტურნირის დროს ეტყობოდათ, რომ დიდ წარმატებას ვერ მიაღწევდნენ. მიუხედავად ამისა, ფოგტსი იხტიბარს არ იტეხდა და თავისი ნაკრების ძლიერ მხარეებზე ამახვილებდა ყურადღებას. თუმცა ხორვატებთან სამინლად ჩატარებულმა მეოთხედფინალურმა მატჩმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა და გერმანელთა ხარვეზები თვალნათლივ წარმოაჩინა.

ახლა, ალბათ, მიხვდება გერმანელი ხალხი, რომ გადაბერებული მოთამაშეებით უპირველეს საფეხბურთო ტურნირზე ჩემპიონობის დაბევება სრულიად შეუძლებელია და ამაში არც ფოგტსის და, მით უმეტეს, არც მსაჯის დადანაშაულება მართებული არ იქნება. თუმცა თავად მწვრთნელი ამ აზრს არ იზიარებს და მიაჩნია, რომ ხორვატებთან მარცხი მხოლოდ შემთხვევითობა გახლდათ.

— ახლა, როდესაც ყველაფერი დასრულდა, ამაზე საუბარი შეიძლება გამართლებული არც იყოს, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ მეოთხედფინალში დამარცხებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით. სანამ ჩვენს ფეხბურთელს გააძევებდნენ, თამაში სწორედ გერმანიის ნაკრების სურვლისამებრ მიმდინარეობდა და მეტოქეს არც ერთი რეალური კონტრშეტევა არ განუხორციელებია, მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს მათ პროვოკაციას მიმართეს, რასაც, სამწუხაროდ, მატჩის მთავარი არბიტრი ახალბედასავით წამოეგო. არადა, იმ მომენტში ვიორნსს ისე უხეშად ნამდვილად არ უთამაშია, წითელი ბარათის ჩვენების ღირსი რომ ყოფილიყო. თუმცა ახლა ამაზე საუბარს რაღა მნიშვნელობა აქვს. ფაქტი ის არის, რომ ხორვატები პარიზში ნახევარფინალის ჩასატარებლად გაეშურნენ, ჩვენ კი შინ მივდივართ — ასეთით გახლდათ მეოთხედფინალური მატჩის ფოგტსისეული შეფასება.

გერმანელთა ზედიზედ მეორე შერცხვენის შემდეგ უკვე ალაპარკდნენ იმაზე, რომ დროა ნაკრებში მთავარი მწვრთნელი შეიცვალოს. ამის შესახებ თავად ფოგტსი სწრაფი გადაწყვეტილების მიღებას ჯერ არ ჩქარობს. ეს ბუნებრივიცაა, მას ხომ დაუფიქრებელი ნაბიჯების გადაგმა არ სჩვევია. თუმცა, ესეც რომ არ იყოს, მას ასე ხელაღებით გუნდის თავკაცის თანამდებობიდან ვერ გაათავისუფლებენ. მიზეზი კი სულ უბრალოა. გერმანიის ფეხბურთის ფედერაციას ჯერ არ ჰყავს ისეთი რეალური კანდიდატი, რომელსაც ნაკრებს მიანდობს. თანაც, არის კიდევ ერთი მომენტი, რამაც შეიძლება ფოგტსის სასარგებლოდ იმოქმედოს. ეს ვიორნსის გაუმართლებელი უხეშობა გახლავთ.



ფოგტსი წასვლას სულაც არ აპირებს

აწვლა ბევრს საუბრობენ მსაჯის შეცდომაზე, მაგრამ ერთი ცხადია — ვიორნსის გაძევებამ თავისი კვალი დაატყო გერმანელთა თამაშს და, ფაქტობრივად, მათი დამარცხებაც განაპირობა. ასე რომ, არ არის გამორიცხული, მას მედიამ განტევების ვაცად სწორედ ვიორნსი გამოიყვანოს და ამის ფონზე ფოგტსის როლი წაგებაში უმნიშვნელოდ გამოჩნდეს. ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს. ისე კი.

**ირაკლი ხმელიძე**



მექსიკელი ურჩხული არტურო ბრისიო კარტერი

სარბიელის არქივიდან

# ვამპირი წითელი ბარათით

მექსიკელმა მსაჯმა არტურო ბრისიო კარტერმა ჰოლანდიისა და არგენტინის გუნდების შეხვედრაში ორი ფეხბურთელი, ჰოლანდიელი არტურ ნუმანი და არგენტინელი არიელ ორტეგა გააძევა მოედნიდან, რითაც ბევრი გულშემატკივარი აღაშფოთა, მაგრამ სამაგეიროდ ფიფას მადლობა დაიმსახურა.

„ბრისიო კარტერს მსოფლიოს ჩემპიონატების ექვს შეხვედრაში უკვე შვიდი მოთამაშე ჰყავს გაგდებული, ეს არბიტრი პრინციპულობით გამოირჩევა“ — განაცხადა ფიფას პრესატაშემ კიტ კუპერმა.

ამრიგად კარტერმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა. აქამდე ყველაზე მეტი ფეხბურთელი ფრანგ ჟოელ კინიუს ჰყავდა გაძევებული — რვა შეხვედრაში ხუთი.

სამაგიეროდ კინიუ ჯერ კიდევ ინარჩუნებს ყველაზე სწრაფი გაძევების რეკორდს. მან 1986 წლის პირველობაზე ურუგვაელ ჟოზე ბატისტას, შოტლანდიასთან შეხვედრაში, თამაშის დაწყებიდან 55 წამში აჩვენა წითელი ბარათი.

დავუბრუნდეთ კარტერს, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად 1994 წელს ჩაიკაგოში იმსაჯა. იმ დღეს ბოლივია გერმანიას ეთამაშებოდა.

ჰოდა, ოთხი წუთი იყო მეორე ტაიმის დაწყებიდან გასული, რომ მექსიკელმა მსაჯმა მოედანზე იმ 4 წუთის შესულ ბოლივიელ მარკო ეჩევერის აღუმართა წითელი.

კარტერის მეორე შეხვედრა სან ფრანცისკოში კამერუნი — ბრაზილია გახლდათ. მაშინ კამერუნელი როგობერტ სონგი სულ 17 წლისა იყო და მოედანზე 63 წუთი დასცალდა. არტურო ბრისიომ იგიც გააძევა.

მექსიკელის ჰეთ-თრიკის მესამე მსხვერპლი იტალიელი ჯანფრანკო ძოლა გახდა. იტალია — ნიგერიის მატჩში მოედანზე სულ 12 წუთის შესულ სარდინიელს, რომელსაც იმ დღეს 28-ე დღეობა ჰქონდა, კარტერმა 76-ე წუთზე დაატოვებინა სარბიელი.

გავიდა ოთხი წელიწადი და არტურო ბრისიო კარტერი საფრანგეთს ეწვია. აქ მისი პირველი ნანადირევი ჩემპიონატის მასპინძელთა გუნდის ლიდერი ზინედინ ზიდანი გახდა. იქვე, იმავე მატჩში წითელს მოწყურებულ-მოშიებულმა არბიტრმა საუდელი მოჰამედ ალ ხალაივი გაუყენა გასახდელის გზას.

და აი, რაგენტინელი არიელ ორტეგა და ჰოლანდიელი არტურ ნუმანი, მექსიკელი მსაჯ-ვამპირის ბოლო ორი მსხვერპლი.

„მსაჯი აბსოლუტურად სამართლიანი იყო. ორტეგა ცრუობდა, სიმულაციას ეწეოდა და ამიტომაც ეკუთვნოდა წითელი ბარათი“ — თქვა კუპერმა, რომელმაც ფიფას სახელით აღშფოთება გამოთქვა ბოლო დროს მოჭარბებული ტყუილების გამო — „ბევრი ფლიდობს და ტყუილ-მართლის გარჩევა ძალიან ძნელი ხდება.“

კუპერმა დასძინა: „ბრისიო კარტერის გადამეტებული სიმკაცრე აქ არაფერ შუაშია. ის უბრალოდ დიდი პროფესიონალია და თამაშის დროს სულ იქ არის, საიდანაც ყველაფერი კარგად ჩანს.“

# ოხერი რამაა პენალტი

მსოფლიოს ჩემპიონატზე ოთხი თამაშიღა დარჩა, ბუქმეიქერები კი ამბობენ, სულ მცირე, კიდევ ერთ პენალტების სერიას ვნახავთო.

პირველობის მასპინძლებმა, ფრანგებმა, ნახევარფინალისკენ გზა სწორედ თერთმეტმეტრიანებით გაიკვლიეს. მათ იგი იტალიელი ლუიჯი დი ბიაჯოს უზუსტობამ დაულოცა.

„ალბათ დაწყევლილები ვართ“ — თქვა „სკუადრა ატურას“ თავკაცმა ჩეზარე მალდინიმ. მართლაც, უკვე მესამე ჩემპიონატია იტალიის ეროვნული გუნდი პენალტებით მარცხდება. ასე იყო 1990-ის ნახევარფინალში, 1994-ის ფინალსა და ახლა, მეოთხედფინალში.

პენალტებს საფრანგეთში ინგლისიც ემსხვერპლა, არგენტინასთან წააგო. ინგლისელებმაც „ჰეთ-თრიკი“ შეასრულეს. მათ 1990 წელს გერმანელებთან წააგეს ნახევარფინალში და ევრო 96-ზეც იმავე მეტოქესთან, იმავე ეტაპზე, იმავე მეთოდით მოკაკვეს თითი. ახლა, მესამე გავარდნა იყო.

მსოფლიოს ჩემპიონატებზე პენალტების სერია ფიფამ 1978 წელს შემოიღო. მანამდე, ორი წლით ადრე, ჩეხოსლოვაკიამ ევროპის პირველობაზე გფრ დაამარცხა თერთმეტი მეტრიდან.

სულ ადრე გამარჯვებულს გადათამაშება თუ ვერ გამოავლენდა, მერე მონეტას ააგდებდნენ ხოლმე. თუ ასე დაჯდებოდა, ასე იყო, თუ ისე — ისე.

შემოღებით კი შემოიღეს პენალტები 78-ში, მაგრამ 1982-მდე საქმე აქამდე არ მისულა, ხოლო 82-ის ნახევარფინალში გფრ-მ საფრანგეთს მოუგო.

მას მერე პენალტების წესი მოქმედებს და ამას გამუდმებით იწუნებს ვილაც.

1986 წელს მეოთხედფინალთაგან სამის ბედი თერთმეტმეტრიანებით გაირკვაა, 90-ში იგივე განმეორდა ორივე ნახევარფინალში, ერთ მერვედ და ერთ მეოთხედფინალში. 1994 წელს, აშშ-ში პენალტებამდე საქმე მხოლოდ ორჯერ მივიდა, მაგრამ ამ ორიდან ერთი არც მეტი არც ნაკლები, ფინალი გახლდათ.

„პენალტს გაიტან თუ ვერა, ნერვების საქმეა და არა ტექნიკის, ამიტომ ამაზე საგანგებო ვარჯიში არაა საჭირო“ — ამბობს საფრანგეთის ნაკრებისა და „ჩელსის“ მცველი ფრანკ ლებეფი. მის აზრს ბევრი ფეხბურთელი იზიარებს.

სხვა აზრი ჰქონდა 1990 წელს ირლანდიელთა მწვრთნელს ჯეკი ჩარლტონს. იგი რეგულარულად არტყმევინებდა ბიჭებს ვარჯიშებზე თერთმეტი მეტრიდან და სწორედ ამან გაუფუჭა კიდეც საქმე. რუმინელებთან შეხვედრაში ჯერი პენალტებზე რომ მიდგა, ირლანდიელმა დევიდ ოლირიმ ისე ინერვიულა, ბურთი სადაც მწვრთნელმა მითხრა, ზუსტად იმ ადგილზე დავდე თუ არაო, რომ გოლი ვერ შაგდო.

პენალტი დიდ მოთამაშეებსაც ვერ გაუტანიათ: მიშელ პლატინი, კრის უოდლი, სოკრატესი... დიეგო მარადონამაც კი ვერ მოახერხა იუგოსლავიელთა კარის დალაშქვრა 1990-ის მეოთხედფინალში.

და წინა ჩემპიონატის ფინალში ბარეზის და ბაჯოს ამბავი ხომ გახსოვთ?

# შურისძიება ველოდრომზე

...1978 წლის 25 ივნისი, ბუენოს აირესი, სტადიონი „რივერ პლეიტი“, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის 90-ე წუთზე, მაშინ, როდესაც ანგარიში 1:1 იყო, ჰოლანდიელმა რობი რენსენბრინკმა არგენტინელთა კარის მარცხენა ძელს მოარტყა ბურთი, დაინიშნა დამატებითი დრო და მასპინძლები თავიანთ ისტორიაში პირველად დაეუფლნენ უძლიერესის ტიტულს.

...1998 წლის 4 ივლისი, მარსელი, „სტად ველოდრომი“, მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩი — ჰოლანდია — არგენტინა, კვლავ 90-ე წუთი, ანგარიში კვლავ 1:1-ია, ამჯერად „ნარინჯისფერთა“ ფორვარდი დენის ბერხკამპი მარჯვნიდან უტევს, ატყუებს რობერტო აიალას და ცხრიანში გატანილი ულამაზესი გოლით თავისიანებს ნახევარფინალისკენ უხსნის გზას.

როგორც ხედავთ, 20 წლის შემდეგ ჰოლანდიელებმა ღირსეულად იძიეს შური ძველი წყენისთვის. ღირსეულად იმიტომ, რომ გუშინწინდელ შეხვედრაში ისინი ბევრად უკეთეს, ორგანიზებულ ფეხბურთს თამაშობდნენ. ევროპელებმა განსაკუთრებულ უპირატესობას მეორე ნახევარში მიაღწიეს — თითქმის მთელი ტაიმის განმავლობაში ბურთს აკონტროლებდნენ და მეტოქეს ყველანაირად უშლიდნენ ხელს შეტევების ორგანიზებაში. ასე გაგრძელდა არტურ ნუმანის გაძევებამდე, თუმც არგენტინელებს არც რიცხვობრივ უმეტესობაში ყოფნისას გამოუჩენიათ რაიმეთი თავი (ისევე როგორც ინგლისელებთან) და როცა არიელ ორტეგას მსაჯმა ორმაგი უღირსი საქციელისთვის მინდორი დაატოვებინა და არგენტინელებიც ათნი დარჩნენ, ნათელი გახდა, ისინი ამ მატჩს ველარ მოიგებდნენ. ასეც მოხდა — ჰოლანდიელთა კაპიტანმა ფრანკ დე ბურმა შესანიშნავი, 50-მეტრიანი გადაცემით ბერხკამპი მეტოქის საჯარიმოში მოძებნა და მანაც დაამტკიცა, რომ დღესდღეობით პლანეტის ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელია.

არადა, საფრანგეთი 98-ის დაწყებამდე არგენტინელთა აქციები უფრო ძვირად ფასობდა. ისინი მართლაც მაღალი დონის გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ და საკუთარი ძალა ჯერ ბრაზილიაში, „მარაკანას“ სტადიონზე დაამტკიცეს, ხოლო შემდეგ თავად მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას. ოღონდ, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ მათი თამაში თანდათანობით უფერული ხდებოდა, თითქოს ნელ-ნელა ძალა აკლდებოდათ. ამის მიზეზი შეიძლებოდა ორი რამ ყოფილიყო — ერთი ის, რომ სამხრეთამერიკელებს სათამაშო პიკმა ტურნირის დაწყებამდე მოუსწრო და მეორე — ისინი მეტად იოლ ჯგუფში მოხვდნენ და ძალთა გადანაწილება სათანადოდ ვერ მოახერხეს. ყველაფერ ამის, აგრეთვე დანიელ პასარელას არცთუ მაღალი სამწვრთნელო ინტუიციის და დონის შედეგები ჯერ კიდევ ინგლისელებთან მატჩში გამოჩნდა. სწორედ მიტომაც მათი გულშემატკივრების მიერ გამოთქმული გადამეტებული შიში ჰოლანდიელებისა, დღეს კიდევ უფრო მოტივირებული ჩანს, მათ თითქოს გული რაღაც ძალიან ცუდს უგრძნობდათ.



ის, რაც რენსენბრინკმა 1978 წელს ვერ შეძლო, დენის ბერჰკამპმა ოცი წლის შემდეგ მოახერხა

რაც შეეხება ჰოლანდიელებს, ამ გუნდზე საუბრისას ყველა ერთხმად აღნიშნავდა, მისი მაქსიმუმი მეოთხედფინალში გასვლაა, იქ ხომ არგენტინელებს უნდა შეხვდნენ, მათი მომგები კი ეს ნაკრები არ არისო. ფეხბურთიც ამიტომ არის დიდებული, რომ აქ მოვლენები ისე სწრაფად იცვლება, მით უმეტეს, მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომ კაცი გაკვირვებული დარჩები, გუშინ ამას როგორ ვფიქრობდიო. თუმცა არც მთლად ასეა საქმე, უფრო სწორედ ჰოლანდიელებმა ისე განვლეს გზა მეოთხედფინალამდე, თანდათან ისე მოუმატეს, რომ გულშემატკივრები თითქმის დაარწმუნეს თავიანთ წარმატებაში. ერთადერთი, რაც ამ ნაკრების სრულყოფილებას აკლია, მარკო ვან ბასტენის დონის ფეხბურთელი. კი, ძლიერია ბერხკამპი, მაგრამ დიდ მარკოს მაინც ვერ შეედრება. სხვამხრივ ჰიდინკის ნაკრები თუ არ სჯობს, არაფრით ჩამოუვარდება თავის სახელოვან წინამორბედთ.

მოკლედ, იმ დროს, როდესაც მთელი ამერიკა თავისი დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი ზეიმისთვის ემზადებოდა, ოკეანის გაღმა მსოფლიოს ფეხბურთის ორი გრანდი დაეჭიდა ერთმანეთს. როგორ დასრულდა ეს მართლაც დიდებული მატჩი, ყველას კარგად მოგეხსენებათ. ამჯერად ყურადღებას თამაშისშემდგომ პერიპეტიებზე გავამახვილებთ. პირველ რიგში შეხვედრის გმირს, დენის ბერხკამპს მოვუსმინოთ, რომელიც, რაღა თქმა უნდა, მეტად გახარებულია და ოპტიმიზმით არის აღსავსე: „ძალიან რთული თამაში იყო, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, თუმცა ჩვენ მაინც დამსახურებულად ვიმარჯვეთ. ნუმანის გაძევებამ ცოტა კი დაგვაბნია, მაგრამ ამით მეტოქემ ვერ ისარგებლა და მობილიზების საშუალება მოგვცა. ამას ორტეგას გაძევება დაემატა, რამაც, ბუნებრივია, უკვე არგენტინელებზე მოახდინა უარყოფითი ზეგავლენა და კიდეც ვიყოჩაღეთ. ბიჭებს არ ეწყინებათ, აუცილებლად უნდა აღვნიშნო ფრანკ და ბურის დიდებული თამაში და ბრწყინვალე პასი. ამ კომბინაციამ ახალგაზრდობა გამახსენა, როცა მე და ფრანკი ერთად ვთამაშობდით ამსტერდამის „აიაქსში“. ამ წუთას თავი უბედნიერეს კაცად მიმაჩნია — გამოუშვით ბრაზილია“!

საკმაოდ დიდხანს ისაუბრა ამ მატჩის ირგვლივ საფრანგეთში მყოფმა დიეგო მარადონამ: „არგენტინელებმა ვერ შეასრულეს საკუთარი თამაში. ისინი ვერ აკონტროლებდნენ ბურთს, ძალიან სუსტად ითამაშა ნახევარდაცვამ, შედეგად კი მოედანს მეტოქე დაესაკუთრა და მატჩიც მისი კარნახით წარიმართა. ბიჭები სულ არაფრისგან უქმნიდნენ თავიანთ თავს პრობლემებს, ასეთ დროს კი ჰოლანდიაზე ლაპარაკი ზედმეტია, საშუალო დონის გუნდიც თავისუფლად მოგიგებს. ასე, რომ ყველაფერი ჩვენი ბრალია. აღშფოთებული ვარ ორტეგას საქციელით, ეს, სხვა თუ არაფერი, მძიმე მომენტში მეგობრების ღალატი იყო. მინდა ტკბილი სიტყვები ვუთხრა რობერტო აიალას, იგი მსოფლიოს საუკეთესო მცველია. რაც შეეხებათ ჰოლანდიელებს, ისინი ნაღდად არიან ქების ღირსნი, ხოლო ჩვენს კარში გატანილი პირველი გოლი ჩემპიონატის ულამაზეს გოლად მიმაჩნია“.

დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ორტეგასთან დაკავშირებულმა ინციდენტმა. არც ერთმა არგენტინელმა ფეხბურთელმა არ ისურვა ამის თაობაზე ჟურნალისტებთან საუბარი, პასარელამ კი განაცხადა, კარგად ვერ ვხედავდი იმ მომენტს და ზუსტად ვერ ვიტყვი, იყო თუ არა პენალტიო. მისგან განსხვავებით, არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ხულიო გრონდონა ჰოლანდიელთა მხრიდან წესების დარღვევაში დარწმუნებული ყოფილა: „ჩემთვის ეს თერთმეტმეტრიანი იყო, მსაჯმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. 1986 წელს არბიტრი ჩვენს სასარგებლოდ შეცდა, ახლა კი პირიქით“.



გამოუშვით ბრაზილია!

როგორც შემდგომში გაირკვა, გრონდონას თავად არგენტინელი ფანებიც კი არ ეთანხმებიან, ერთ-ერთმა მათგანმა ასეთი რამ თქვა: „ვერ გამიგია, რა გამართლება შეიძლება გამოენახოს ორტეგას საქციელს. მან ერთი წუთის განმავლობაში საკუთარი ერი ორჯერ შეარცხვინა“.

აი, ჰოლანდიაში კი ნამდვილი დღესასწაულია. ამსტერდამის ქუჩებში დამონტაჟებულ დიდეკრანიან ტელევიზორებთან ათასობით ქომაგი გულის ფანცქალით ადევნებდა თვალყურს თავიანთ კერპთა მშვენიერ თამაშს. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა მოხდებოდა მაშინ, როცა ბერხკამპმა გამარჯვების გოლი გაიტანა — „ეს დიდებული გოლი იყო, მსგავსი ჯერ არაფერი მინახავს“ — გაჰკიოდა პატარა, სიხარულისგან აცრემლებული გოგონა. „მე თქვენ გეუბნებით, ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდებით“ — ეს სიტყვები მანქანაზე ამხედრებულ ფანს ეკუთვნის, რომელიც ღონივრად აფრიალებდა თავის ქვეყნის დროშას. ამსტერდამისგან განსხვავებით, საპორტო ქალაქ როტერდამში ზეიმი თანდათან არეულობებში გადაიზარდა, რასაც ბარების, რესტორნების და მაღაზიების ვიტრინები შეეწირა და პოლიციას რომ არ ევაჟკაცა, ალბათ, ეს აურზაური ყოველგვარ ზღვარს გადასცდებოდა — დაახლოებით ასი როტერდამელი ახლაც საპატიმროში იმყოფება.

ასეა თუ ისე, გუს ჰიდინკის ბიჭები მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც მათ მეორე სამხრეთამერიკული გრანდი, ბრაზილია ელის. არავინ იცის, რა მოხდება მარსელში, 7 ივლისს, რადგან ეს ორი გუნდი მართლაც ძალიან ლამაზ ფეხბურთს თამაშობს და ვარსკვლავებიც უხვად ჰყავს. „ნარინჯისფრებმა“ არგენტინელებზე უკვე იძიეს შური, თანაც 20 წლის შემდეგ, წინ ბრაზილიელი ჯადოქრები არიან და ალბათ ჰოლანდიელებს 1994 წელიც კარგად ახსოვთ...

**დავით კოპზირიძე**

# განწყობაც ასეთი უნდა

მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლებმა მეოთხედფინალში იტალიის ნაკრებს მოუგეს, მთელ საფრაგნეთს გაუჩნდა იმედი, რომ მათი ფავორიტები, ბოლოს და ბოლოს, აისრულებენ აქამდე აუხდენელ ოცნებას და მსოფლიოში უძლიერესის ტიტულს მოიპოვებენ. ამ ოპტიმიზმს, ბუნებრივია, მყარი საფუძველი აქვს — ჯერ ერთი, „სამფეროვნები“ შინ ასპარეზობენ და მეორეც, მათ საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავთ. ფრანგთა ოცნებას ნახევარფინალში გასულ ფეხბურთელთა დამაიმედებელმა განცხადებებმაც შეასხა ფრთები. ისინი ტელევიზიასა თუ პრესაში გამუდმებით აცხადებენ, ჩვენ შეგვწევს ძალა, მსოფლიოს ჩემპიონები გავხდეთ და ამისთვის ძალ-ღონეს არ დავიშურებთო. გაგაცნობთ რამდენიმე მათგანის გამონათქვამს. მარსელ დესაი, ნაკრების ცენტრალური მცველი, რომელიც ამჟამად შესანიშნავ ფორმაშია და კარიერას ლონდონის „ჩელსიში“ გააგრძელებს: „ძალიან გვინდა, მივაღწიოთ უფრო მეტს, ვიდრე ეს ჩვენმა წინამორბედებმა შეძლეს. ამის ძალა და გამოცდილება ნამდვილად გაგვაჩნია, ასე რომ, ამაში გასაკვირს ვერაფერს ვხედავ. საფრანგეთს ყოველთვის მაღალი დონის გუნდი ჰყავდა, რომელიც მხოლოდ ბოლო მომენტში თმობდა პოზიციებს. 1982 და 1986 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე პლატინი და მის მეგობრები საუცხოო ფეხბურთს თამაშობდნენ, გავიხსენოთ ტიგანა, ჟირესი, ფერნანდესი, ისინი ფრანგული ფეხბურთის ისტორიაში დამკვიდრდნენ, როგორც უნიჭიერესი მოთამაშეები, მაგრამ სანუკვარ შედეგს მაინც ვერ მიაღწიეს. ჩვენ დღეს სწორედ ეს უნდა მოვახერხოთ, ჩვენც უძლიერესებად უნდა შემოვრჩეთ ისტორიას და ხალხს სამუდამოდ დავამახსოვროთ ჩვენი სახელები. კაცმა არ იცის, საფრანგეთის ნაკრებს კიდევ როდის ექნება ასეთი შანსი.“

დიდიე დეშამპი, ფრანგთა კაპიტანი: „რაც შეიძლება მაღალ შედეგს უნდა მივაღწიოთ, უფრო სწორად რომ ვთქვა, მსოფლიოში პირველობა არავის არ უნდა დავუთმოთ. ისიც აღნიშვნის ღირსია, რომ 11 ივნისს (ფრანგების პირველი შეხვედრის წინა დღე) ამაზე ასე რიხიანად ვერ ვისაუბრებდით და რადგან უკვე ამდენს მივაღწიეთ, ახლა თავი აღარ უნდა შევირცხვინოთ.“



ზინედინ ზიდანი: ჩვენ გავიმარჯვებთ!

სიტყვაძუნწობით ცნობილი ზინედინ ზიდანი ამჯერად საკმაოდ ენაწყლიანი გამოდგა: „იტალიელებთან მარტო საკუთარი თავისთვის არ გაგვიმარჯვია. როდესაც გავიგე, რომ მარსელის (მისი დაბადების ადგილი) ქუჩებში დამონტაჟებულ ეკრანებთან თავმოყრილი 25 000 გულშემატკივარი თავგამოდებით გვიჭერდა მხარს და თან ჩემს სახელს გაჰყვიროდა, თვალები ცრემლით ამევსო და მივხვდი — ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები უნდა გავხდეთ, სხვა გზა არა გვაქვს. ახლა უკვე ვიცი, რომ მომავალი გამარჯვებებით მილიონობით ქომაგს გავახარებთ. მინდა მათ ვთხოვო, მშვიდად იყვნენ, რადგან საფრანგეთს ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავს და იგი აუცილებლად პირველი იქნება.“

ასეთი ემოციური იყო ფეხბურთელთა გამოსვლები. ფრანგებს სჯერათ საკუთარი თავის და, ალბათ, არცთუ უსაფუძვლოდ. ისე, არც იმის დავიწყება იქნება, რომ რიგიანი თავდამსხმელი არ ჰყავთ და გოლის გატანაც უჭირთ. თუმცა, მათი განწყობა ისეთია, გოლის გატანა კი არა, ხორვატების განადგურება აქვთ გულში ამოჭრილი. ვნახოთ, არც ამ უკანასკნელთ აკლიათ ჟინი და თავდადება.

## ბოგარდს ფეხი მოუტეხია

ჰოლანდიის ნაკრებს სამშაბათს, 7 ივლისს, მარსელში ურთულესი მატჩი ელის მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ ბრაზილიასთან. იმ შეხვედრაში სამხრეთამერიკელებს მარჯვენა მცველი კაფუ არ ეყოლებათ. მან დანიელებთან მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და შესაბამისად ერთი მატჩის გამოტოვება მოუწევს. ჰოლანდიელებს კი არტურ ნუმანი ვერ დაეხმარება, კაცი, რომელიც სწორედ კაფუს ფლანგზე თამაშობს და უკანასკნელ შეხვედრებში მართლაც მშვენივრად ასპარეზობდა. მან არგენტინის ნაკრებთან მატჩში დიეგო სიმეონესთან ბრძოლისას იუხეშა და, რაღა თქმა უნდა, წითელი ბარათი დაიმსახურა. ასე რომ, კაფუ-ნუმანის დუელი აღარ შედგება, თუმცა ამ მხრივ ბრაზილიელები უკეთეს მდგომარეობაში არიან, რადგან მათ კაფუს შემცვლელი ჰყავთ. რაც შეეხებათ „ნარინჯისფრებს“, ნუმანის მაგივრად იმ მატჩში ვერც ვინსტონ ბოგარდი გამოვა — გავრცელდა ინფორმაცია, რომ მან ფეხი მოიტეხა და ამჟამად საავადმყოფოში იმყოფება. „ბარსელონას“ მარცხენა მცველს ტრავმა ვარჯიშის დროს მიუღია, მაშინ, როცა იგი და ბუდევინ ზენდენი ბურთისთვის იბრძოდნენ. ბოგარდს მარჯვენა ფეხზე საშინელი ტკივილი უგრძვნია და კარგა ხანს ადგომა ვერც მოუხერხებია, მერე კი სასწრაფო დახმარების მანქანით მონაკოს ერთ-ერთ საავადმყოფოში წაუყვანიათ. „ეს ძალიან სერიოზული ტრავმაა. ბოგარდის თამაშზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. იგი უეჭველად ამსტერდამში უნდა გადავაფრინოთ“ — განაცხადა ჰოლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა.

ჩემპიონატის დღიური

4 ივლისი

ლაშა გოდუაძე

FRANCE 98

# ცხრა მთის იქით

## ბლაჟევიჩის დამსჯელი რაზმი

— გუშინდელ პრესკონფერენციაზე ბერტი ფოგთსმა ხორვატებზე ძალიან ცუდად ილაპარაკა. ჩემი სამშობლო და გერმანიის ტერიტორიები შეადარა, თან დასძინა, პატარა ქვეყნის შვილები ჩემს გუნდს ვერ დაამარცხებენო. მისმა სიტყვებმა საბრძოლველად განმაწყო. ეს ჩვენთვის დამატებითი მოტივაცია გახლდათ. ალბათ, ამიტომაც იყო, უძლიერესად რომ ვითამაშეთ. ჩვენ გვწამდა, გერმანელთა დამარცხება რომ შეგვეძლო. ჩვენ კარგად გვქონდა გათვითცნობიერებული ამ შეხვედრის მნიშვნელობა და ამიტომაც ვითამაშეთ მთელი ძალით. ხორვატიამ გაიმარჯვა! ეს უნდა მომხდარიყო კიდეც — დავორ შუკერმა, ხორვატთა გუნდის ლიდერმა, თანაგუნდელთა სათქმელიც თქვა, თუმცა, ხალხისთვის სიხარულის გაზიარება სხვა მოთამაშეებსაც სურდათ.

— თამაშმდელ პრესას რომ გავეცანი, გული დამწყდა, რატომღაც ყველა ფავორიტად გერმანიას მიიჩნევდა. გავბრაზდი, მაგრამ ემოციებს თამაშისთვის ვინახავდი. მინდოდა, ჩემი ძალა მინდორზე დამემტკიცებინა და ვფიქრობ, შევძელი კიდეც. დაიმახსოვრეთ — ფავორიტები ყოველთვის არ იმარჯვებენ! — დრაჟენ ლადიჩი, გერმანელთათვის აუღებლად ქცეული კარის დარაჯი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ჟურნალისტების მატჩისწინა შეფასებებს საბრძოლველად რომ განეწყო.

— გერმანული პრესა ძალიან ცუდად მოგვიხსენიებდა. ისეთი ფრაზებიც ამოვიკითხე, რომლებიც ჩვენი ერისთვის დამცინავი, დამამცირებელი იყო. ეს ძალიან გამაღიზიანებელი გახლდათ. ორი წლის მანძილზე ველოდი მათთან დაპირისპირებას და როგორც იქნა, სურვილი ავიხდინე. ხორვატიამ გერმანიას სძლია! ბევრი ამას სენსაციად მიიჩნევს, თუმც ასე არ არის. დღესდღეობით ჩვენი გუნდი გაცილებით ძლიერია გერმანიისაზე. ეს დღევანდელმა თამაშმაც დაადასტურა. გამარჯვებულთა მცველმა სლავინ ბილიჩმა ორი წლის წინანდელ, ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში განცდილი წყენაც გაიხსენა.

ორი წლის წინ, ინგლისში, კონტინენტის ჩემპიონატის მეოთხედფინალში ხორვატიამ გერმანიასთან წააგო 1:2. იმ შეხვედრის წინ ხორვატთა თავკაცი მიროსლავ ბლაჟევიჩი აცხადებდა, ნეტა, გერმანია შემხვდეს, მათი დამარცხების ხერხი კარგად ვიციო. მაშინ ხორვატიამ წააგო, მაგრამ ახლა სრულფასოვანი რევანში აიღო — გერმანიის ნაკრები საშვილიშვილოდ შეარცხვინა. 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, მესამე ადგილისთვის მატჩში, ფრანგებთან 3:6 წაგებული შეხვედრის შემდეგ გერმანელებს მსოფლიოს ჩემპიონატებზე დიდი ანგარიშით აღარ წაეგოთ. ბერტი ფოგთსის თავკაცობით გერმანია სამი ბურთის სხვაობით პირველად დამარცხდა. ბოლოს ასეთი გამანადგურებელი მარცხი 12 წლის უკან იწვნია ავსტრიელთაგან. ერთი სიტყვით, ხორვატიამ გერმანია მიწასთან გაასწორა, ისე, როგორც არასდროს.

რაც ზემოთ წაიკითხეთ, ხორვატებმა ბრწყინვალე გამარჯვების მოპოვებიდან ნახევარ საათში თქვეს ცხელ გულზე. ძნელი წარმოსადგენი არაა ასეთი სიხარული. გუნდმა შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა და მანამდე სენსაციების გარეშე მიმდინარე მსოფლიოს მე-16 ჩემპიონატზე პირველი მოულოდნელობაც მოახდინა. ხორვატია გერმანიას სამი ბურთის სხვაობით რომ დაამარცხებდა, ამას, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა. ეს იყო გამარჯვება პატარა, მაგრამ ერთ მუშტად შეკრული ხალხისა. ბევრი ხორვატთა ადგილას თამაშამდე წააგებდა მატჩს — რას ამბობთ, გერმანია გვიპირისპირდებაო, იტყოდა. მოგებასა და ფრეზე არაფერს ვიტყვი, მინიმალურად წაგებას შეეცდებოდა, რათა შემდეგ ეთქვა, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებთან მხოლოდ ერთი ბურთით დავმარცხდითო. ასეთები მრავლად არიან ამქვეყნად. გერმანია ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი გუნდია, განსაკუთრებით ამ ჩემპიონატზე. ხორვატებსაც არაფრის მორიდებიათ. თავისი თამაში ითამაშეს, სული და გული ჩააქსოვეს. გაცილებით სახელოვან მეტოქეს გოჯიც არ დაუთმეს და კუდით ქვა ასროლინეს. გერმანიამ 0:3 წააგო! ეს მოხდა მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში! არა, მიუხედავად იმისა, რომ ხორვატთა ბრწყინვალე გამარჯვებიდან ორიოდ დღე გავიდა, მომხდარის სრულად გათვითცნობიერება, ცოტა არ იყოს, მაინც ჭირს.

— მე გერმანელებთან შეხვედრა დიდი ხანია, მსურდა. ევროპის ჩემპიონატზე მსაჯებმა გაგვყიდეს. მეორე გოლი, ზამერმა რომ შეაგდო, უკანონო გახლდათ. მანამდე ბაბელზე იყო ჯარიმა, მაგრამ არბიტრები უსამართლოდ მოგვექცნენ. ახლა მსოფლიოს ჩემპიონატზე იგივე აღარ განმეორებულა. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ხორვატია ძლიერი გუნდია, ძალიან ძლიერი. თუ ბიჭები მოიწადინებენ, თავს დადებენ, უეჭველად მსოფლიოს ჩემპიონები გახდებიან — განაცხადა მატჩის შემდგომ ხორვატთა ფიქრიანმა მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა. შემდეგ კი განაგრძო — გერმანიის მთელი შესაძლებლობები შესწავლილი მაქვს, ზეპირად ვიცოდი მათი სუსტი წერტილები, ავიც და კარგიც, შესაბამისი დავალებები მივეცი ფეხბურთელებსაც და ურთიერთთანხმობის საფუძველზე ბრწყინვალე შედეგს მივაღწიეთ. ეს იყო ყველაზე სახელოვანი გამარჯვება ხორვატიის ფეხბურთის ისტორიაში. ჩვენ კიდევ ბევრს გავამწარებთ!

ბლაჟევიჩი მართლაც ძლიერი მწვრთნელია, ბრწყინვალე ტაქტიკოსი, მას უდიდესი გამოცდილება აქვს. მას ძლიერ, სახელოვან გუნდებში არასდროს უმუშავია, მაგრამ ამით არაფერი დაჰკლებია. მის ხელში ხორვატთა უპირველესი გუნდი ერთ-ერთ უძლიერესად იქცა არა მარტო ევროპაში, არამედ მსოფლიოში. ამას მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალისტობაც ადასტურებს — ხორვატიამ საფრანგეთის საგზური შესარჩევი ტურნირის პლეი ოფში უკრაინასთან დაძაბულ ჭიდილში მოიპოვა, სულ რაღაც ნახევარი წლის შემდეგ კი ტურნირის ნახევარფინალშიც გავიდა. მიღწევა მართლაც ბრწყინვალეა, მაგრამ საოცარი ისაა, რომ ხორვატებს, მსოფლიოს ჩემპიონატის დებიუტანტებს, შანსი აქვთ, პირველივე ცდაზე ჩემპიონები გახდნენ, ოქროს თასი ოთხი წლით ჩაიბარონ.

— როცა ვამბობდი, მერვედფინალი გადამალახვინა და მსოფლიოს ჩემპიონი გავხდები-მეთქი, ბევრს ეს ხუმრობა ეგონა. მე უკბილო ხუმრობები არ მიყვარს. ჩემი განცხადებაც სასაცილო სულაც არ გახლდათ, — მიროსლავ ბლაჟევიჩმა მერვედფინალში, რუმინელებთან მატჩის წინ, მართლაც განაცხადა, ამათ თუ მოვუგეთ, გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატს მოვაგებინებო. ეს, ცოტა არ იყოს, დაუჯერებელი იყო, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, გამორიცხული არაფერია. ხორვატებს, თუ გუშინდელი თამაშის დარად გაირჯებიან, დიდი შანსი აქვთ, ჩემპიონატი მოიგონ.

არა, ხორვატები თუ გერმანელებს გაანადგურებდნენ, ამას ნაღდად არავინ ელოდა.




სარბიელის არქივიდან

დავორ შუკერმა გერმანულ მასმედიას წინდაუხედაობა არ აპატია და ბუნდესნაკრები სასტიკად დასაჯა

## შინ

მსოფლიოს ჩემპიონატზე დასწრებას რა სჯობს, განსაკუთრებით საყვარელი გუნდის საქომაგებლად თუ მიდიხარ. ბევრი ისე ჩადის უდიდეს საფეხბურთო ტურნირებზე, თუმცა იმ ხორვატებს, რომლებმაც საფრანგეთში ჩასვლა მოახერხეს, ამ მხრივ ძალიან გაუმართლათ — ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა.

საფრანგეთში მყოფი ხორვატები ზღვაში წვეთია მათთან შედარებით, ვინც შინ, ხორვატიაში დარჩა, თუმც ისინი არანაკლებ ქომაგობენ საყვარელ გუნდს. იმ დღეს, ანუ 4 ივლისის საღამოს, არ ეძინა ხორვატიას... 4 ივლისს თუ ამერიკელები დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავდნენ, ხორვატები საყვარელი გუნდის საარაკო წარმატებას ზეიმობდნენ. ხუმრობა საქმე ხომ არაა — გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიკვლია გზა!

— სიტყვებით ვერ გამოვხატავ იმ გრძნობას, ახლა რომ შევუპყრივარ. იცით, რამხელა სიხარულია ჩვენთვის ფეხბურთში გამარჯვება? ეს ისეთი რამაა, რაც ძალიან იშვიათად ხდება. სამაგიეროდ, როცა დგება მისი ჟამი, მთელი ერი ხარობს — 29 წლის ბერნარდ ბაიანი სიხარულისგან იცრემლებოდა.

— ხორვატია უძლიერესი გუნდია მსოფლიოში. მწამს, ჩვენ მოვიგებთ ჩემპიონატს — განუცხადა 19 წლის ლინო პეტრიჩმა ზაგრების ქუჩაში ხორვატთა სიხარულის დასაფიქსირებლად გასულ „როიტერის“ კორესპონდენტს, შემდეგ კი მეგობრებს შეუერთდა და იელაციჩის სკვერისკენ გასწია, სადაც ხორვატი ახალგაზრდობა იკრიბება.




სარბიელის არქივიდან

ხორვატი ფანი — ყველაზე ბედნიერი ქომაგი მეოთხედფინალების შემდეგ

დაასრულა თუ არა მსაჯმა შეხვედრა, ზაგრები თითქოს მეორედ დაიბადაო — ქუჩები ხალხით გაივსო, მანქანების ყურისწამღებმა სიგნალებმა ქალაქი გააყრუა. ერთი სიტყვით, გამარჯვება აღინიშნა ისე, როგორც უნდა აღნიშნულიყო. ხორვატთა სიხარულს არეულობის გარეშე არ ჩაუვლია — შეზარხოშებულმა ქომაგებმა იფიქრეს, ახლა ყველაფრის უფლება გვაქვსო და მაღაზიების ვიტრინებს დაერივნენ. პოლიციამ დებოშიორები დააკავა.

— ხორვატია ფინალში გავა. აი, ნახავთ თუ არა. გერმანელებთან მოგება დაუჯერებელი, მაგრამ ძალიან, ძალიან სასიხარულოა — მიროსლავ კელიჩას რიგით ხორვატ გულშემატკივარს ორი ვაჟიშვილისთვის ჩაეკიდა ხელი და იელაციჩის სკვერისკენ აელო გეზი. იქ ხომ ზეიმი იწყებოდა, დაუვიწყარი ზეიმი.

გერმანელების განადგურებამ უკლებლივ ყველა ხორვატი გაახარა, რიგითი გულშემატკივრიდან დაწყებული, ქვეყნის ხელისუფლებით დასრულებული. დაუვიწყარ გამარჯვებას ექსიუგოსლაველთა პრეზიდენტი, 76 წლის ფრანიო ტუჯმანი გამოეხმაურა.

— ეს ძალიან ბევრს ნიშნავს ომით გატანჯული ხორვატი ხალხისთვის. გმადლობთ, თქვენ, ფეხბურთელნო, რომ ხალხს ასეთი სიხარული მიუძღვენით. ეს არის ის, რაც ასე ძალიან სჭირდება ხორვატებს მძიმე წუთებში.

სხვათა შორის, ტუჯმანი მეოთხედფინალს ესწრებოდა, თამაშის შემდეგ კი გუნდის უკლებლივ ყველა წევრს შეხვდა. სიხარულით აღსავსემ რამდენიმე წუთი გამარჯვების შემოქმედთა შორის გაატარა.

...ხორვატია პატარა ქვეყანაა, დაახლოებით საქართველოს სიდიდის. მოსახლეობა 5 მილიონს არ აჭარბებს. დაახლოებით ამდენივეა ქართველიც, თუმცა ჩვენი ფეხბურთელთა ნაკრებისგან განსხვავებით, გერმანელებთან თამაშის წინ კინაღამ გული რომ შეუწუხდათ, ხორვატებმა მეტოქის უამრავი ტიტული არად ჩააგდეს და გაანადგურეს კიდეც იგი. შეძლებს საქართველოს ნაკრები ერთი გამარჯვების მოპოვებას? ვერ გეტყვით, თუმცა იმედი კი ცოცხლობს.

## წინ საფრანგეთია

ზეგ ხორვატები ნახევარფინალს ითამაშებენ, მეტოქედ კი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი საფრანგეთი ჰყავთ. ფრანგები სამჯერ ყოფილან ნახევარფინალში, მაგრამ სამჯერვე დამარცხებულან და ფინალში სხვები გასულან. შეძლებენ მასპინძლები ნავსის გატეხვას?

ხორვატია მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში და საერთოდ მსოფლიოს ჩემპიონატზეც პირველადაა, თუმცა, მიუხედავად ამისა, გერმანელთა ძლევის შემდეგ ისინი ისეთ განწყობაზე არიან, ფრანგთა დამარცხებასაც შეეცდებიან. ძალიან კი გაუჭირდებათ, მაგრამ მაინც.

ისე, მსოფლიოს ჩემპიონატს ნახევარფინალისტთაგან ერთადერთი ბრაზილიაა, მსოფლიოს ჩემპიონატი რომ მოუგია. თუ სამი დანარჩენი ნაკრების შესაძლებლობებს გავითვალისწინებთ, არაა გამორიცხული, მსოფლიოს ჩემპიონატი ახალმა, რიგით მეშვიდე (ბრაზილია, იტალია, გერმანია, ურუგვაი, არგენტინა, ინგლისი) ქვეყანამ მოიგოს.



სარბიელის არქივიდან

ხორვატი გულშემატკივრების თვალში შუკერი, ბობანი და კომპანია გმირებად იქცნენ

დასაწყისი პირველ გვერდზე

გახსენდება რუმინელთა ირონიული ქირქილი — აი, ბულგარელებს მართლაც მოხუცების გუნდი ჰყავთ, ჩვენ კი — გამოცდილებით ვართ დახუნძლული, ამათ შორის კი დიდი განსხვავებაა და ამასაც დაინახავთო. ვფიქრობ, ზემოჩამოთვლილი სამივე გუნდის შედარებით წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ისიცაა, რომ ვერ მოხერხდა გამოცდილებისა და ახალგაზრდობის ოპტიმალური შეხამება — გუნდებს სჭირდებოდათ ახალი სისხლის გადასხმა. ინგლისიც დაახლოებით ამავე პრობლემის წინაშე იდგა, მაგრამ მაიკლ ოუენი ტაიფუნივით შევარდა ამ გუნდში და მას ჭაბუკური ალმაფრენა და სული შთაბერა. ამიტომაც მთლიანობაში გუნდს არ დაუტოვებია განწირულის შთაბეჭდილება და რომ არა დევიდ ბექემის გაძევება, ვინ იცის, სად ვიხილავდით ნისლიანი ალბიონის ნაკრებს.

და მაინც, რამ განაპირობა გერმანელთა მარცხი, რომელთაც თითქოს ნახევარფინალის საგზური ჯიბეში ედოთ?

მოკლედ, გერმანელთა „მოსაწყენ-მომაბეზრებელმა“ ერთფეროვანმა ფეხბურთმა ფიასკო განიცადა გაცილებით უფრო „პეწიან“, სანახაობრივ გუნდთან ორთაბრძოლაში, რომელსაც საკუთარი ხელწერა გააჩნია; საფეხბურთო ეშმაკობანი, თვალს რომ ასე უხარია, მათ კარგად გამოსდით, ბურთსაც ბუცებზე ისე იტრიალებენ, როგორც მოესურვებათ, ერთი-ორი მეტოქის მინდორზე „მოსმაც“ არაა მათთვის დიდი პრობლემა. შუკერი, ჩემი აზრით, აღარაა ის, ამ ორი-სამი წლის წინ რომ იყო, მაგრამ აშკარაა — დიდი ოსტატია. მის მიერ გატანილი გოლიც ხომ ამის დასტურია. და რამდენიმე ვერგატანილი, მაგრამ როგორი დარტყმული! ხორვატებს კიდევ 2-3 გოლის შეგდებაში არავითარი პრობლემა არ უნდა ჰქონოდათ.

გაისმის მატჩის არბიტრის, 35 წლის ნორვეგიელი კლერკის მ. პედერსონის (ამ კაცმა ფეხბურთის მსაჯობა მხოლოდ 1989 წელს დაიწყო) საფინალო სასტვენის ხმა და ხორვატებს, რომელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა,

ამასობაში მატარებელიც ჩამოდგა და ლენარტ იუჰანსონი პირველი კლასის ვაგონში ავიდა.

ბოლოს ისევ „ეკიპის“ შეფასებათა სისტემა გავიხსენოთ. გერმანია — ხორვატიის მატჩი ხუთი ვარსკვლავითაა აღნიშნული, არგენტინა — ჰოლანდია კი ოთხით. ხორვატთა გუნდის წევრებს საშუალოდ 6,7 ბალი ერგოთ, ყველაზე მაღალი მეკარეს — 8. გერმანელთა საშუალო ქულა 4,9. უკვე აღვნიშნე, 3,5 ბალი მიიღო კლინსმანმა, ჰესლერმა და ჰაინრიხმა კი 4-4; დანიელი ბერხკამპის მოედანზე შრომა შეფასდა 8 ბალით, გაძევებული ნუმანისა კი 4,5-ით. არგენტინელთა შორის საუკეთესოდ მიჩნეულია ლოპესი — 7,5.

გაზეთები აჭრელებულია სათაურებით: „ფრანგებო, ფრთხილად იყავით, ეს ხორვატიაა“, „გამაოგნებელი ბერხკამპი“, „სასწაულებრივი ხორვატია“, „გრანდიოზული რევანში“, „დავორი ჯადოქარია“, „ეიფორია დაგვღუპავს“, „ჰოლანდიელთა მარშრუტი“, „ბერხკამპი — ერთი ბურთი კიდევ იყო საჭირო“, „ო, ჰოლანდია, ო, ჰოლანდია!“, „მარსელი თაყვანს სცემს ფორთოხლის ფერს“, „არგენტინელები ფარ-ხმალს ყრიან“, „ხორვატიამ დაიგუგუნა“ და მრავალი სხვა...

# იუჰანსონს არაფერი უკვირს

ლთა მარცხი, რომელთაც თითქოს ნახევარფინალის საგზური ჯიბეში ედოთ? მომავალი წარმატების ერთ-ერთი ფაქტორი ხორვატთა თავკაცმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა თავად ახსნა: „მე ვერ დავეთანხმები გერმანული მასმედიის აზრს, რომ ჩვენი გუნდი სუსტია და რომ გერმანელებს ჩვენთან თამაშისას პრობლემა არ ექნებათ. ჩემი ფეხბურთელები ამ კონცეფციას გააბათილებენ. ხორვატები ფსიქოლოგიურად მზად არიან ითამაშონ მოსაგებად.“ დიახ, გერმანელი ჟურნალისტების, ზოგიერთი სპეციალისტისა და გულშემატკივრების დიდი უმრავლესობის გადაჭარბებულმა ოპტიმიზმმა, მეტოქის შესაძლებლობების ცალმხრივად და სუბიექტურად შეფასებამ, გულარხეინობამ, მატჩისწინა ეიფორამ ფეხბურთელებამდეც მიაღწია და მათ დათვური სამსახურიც გაუწია. აკი ნაკრების თითქმის ყველა წევრის მატჩამდელ ინტერვიუებს ლეიტმოტივიც გასდევდა — ჩვენ ძლიერები ვართ, ჩვენ გავიმარჯვებთ. ამ რანგის მატჩისადმი ასეთი ზერელე და, ვიტყოდი, აგდებული დამოკიდებულება არავის ეპატიება. მით უმეტეს, ეს მოულოდნელი იყო გერმანელთაგან.

ცხადია, გუნდზე დამრთგუნველად იმოქმედა პირველი ტაიმის დასასრულს ვიორნსის გაძევებამ. ის გუნდში წამყვანი ფიგურაა და ერთ-ერთი იმ ოთხთაგანია, რომლებმაც საფრანგეთში ყველა მატჩში შეუცვლელად ითამაშეს. საერთოდ, გერმანელებს ფრთხილი თამაში მართებდათ. მათ ხომ ყვითელი ბარათების დიდი „კოლექცია“ და წინ კიდევ ორი მატჩის პერსპექტივა ჰქონდათ. მაგრამ გერმანელი რის გერმანელია, თუ მხოლოდ და მხოლოდ ჯარიმის ზღვარზე არ ითამაშა! ისინი ასეთ ფეხბურთს არიან ჩვეულნი, გამოსდით კიდეც და ეს ბევრის თვალსაც მოსწონს.

ობიექტურად, პირველი ტაიმის დიდი ნაწილი გერმანელთა შეტევებით წარიმართა. ხორვატები შეშინებულნი იყვნენ, ზედმეტად ფრთხილობდნენ, გაურბოდნენ ინდივიდუალურ თამაშს (რაშიც ისინი ძლიერები არიან). ის კი არა, თითქმის მოედნის ცენტრიდან მათი კარის მიმართულებით ჯარიმის შესრულებისას კედელს აყენებდნენ. ხორვატებმა გაძლეს და გერმანელებს ტერიტორიული უპირატესობის ანგარიშში გადაზრდის საშუალება არ მიეცათ, შემდგომ იყო ვიორნსის გაძევება და 49-ე წუთზე ბურთის გაშვება, რომელშიც უცდოველი კიოპკე არ უნდა იყოს.

მატჩის წინა დღეს ინტერვიუში გერმანელთაგან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ოლივერ ბირჰოფი ამბობდა, ბოლო-ბოლო, ჩვენ კიდევ ერთი ძლიერი კოზირი გვაქვს — გერმანული სული, ნებისყოფა და ყველაზე კრიტიკული ვითარებიდან წარმატებით გამოსვლის უნარი. და იქვე ცოცხალი მაგალითიც მოიყვანა — მატჩი მექსიკასთან.

სად გაქრა გერმანული შემართება და ნებისყოფა ლიონის სტადიონზე? ხომ შეძლო ღირსეულად თამაში ათმა ინგლისელმა 75 წუთის მანძილზე არგენტინასთან? ხომ ითამაშა ასევე ღირსეულად კაცნაკლულმა ჰოლანდიამ მატჩის გარკვეული მონაკვეთი იმავე არგენტინასთან? ვერც ამ კოზირმა გაჭრა. გუნდში არ აღმოჩნდა ფეხბურთელი, ლიდერის როლი რომ ეტვირთა. ქებული კლინსმანიც და ბირჰოფიც არაფრის შემძლენი იყვნენ, აკი კლინსმანს „ეკიპმა“ 3,5 ქულა არგუნა მხოლოდ. მათეუსის ლიდერობის დრო კი კარგა ხანია წავიდა.

ტაშით შეხვდა სტადიონზე შეკრებილი 35 ათასი კაცი, „მტერიც“ და მოყვარეც. კარგა ხნის შემდეგაც გულშემატკივრები ადგილიდან ფეხს არ იცვლიან — უმრავლესობა — გერმანელები გაოგნებულნი იყვნენ და თავი სიზმარში ეგონათ, ტაშს კი მაინც უკრავდნენ, ხორვატების მდგომარეობის გაგება კი ძნელი სულაც არ არის.

არც პრეს-ლოჟიდან დაძრულა ვინმე. გერმანელი კოლეგების უტყვი, ცივი და არაფრისმთქმელი სახეები, რამდენიმე კაცი იჯდა თავზე ორთავხელშემოდებული და ფიქრს მისცემოდა.



ლენარტ იუჰანსონი ფეხბურთში ჰკუას აფასებს

ხორვატი ჟურნალისტების გარდა მხოლოდ რამდენიმე კაცს მოჰგვარა სიხარული გერმანელთა მარცხმა — მექსიკელ მასმედიის წარმომადგენლებს. ერთი მათგანი, ახალგაზრდა, ასე 23-25 წლისა, რომელიც ზუსტად ჩემს გვერდით აღმოჩნდა, ხორვატთა გოლს ისეთი ჰაერში შეხტომით და ყვირილით — „ვივა ხორვატია“ შეხვდა და კოლეგების ისეთი ყურადღება დაიმსახურა, რომ, მგონი, ემოციების ამ ფორმით გამოხატვის თავად შერცხვა. შემდეგ ხმა არ ამოუღია, მაგრამ პერსონალურ კომპიუტერს კი გამალებით უკაკუნებდა.

სენსაციად არ შეიძლება ჩაითვალოს არგენტინელთა მარცხი ჰოლანდიასთან მატჩში. წესით და რიგით, პასარელას გუნდს ინგლისის ბარიერიც კი ვერ უნდა დაეძლია და აკი ახლა აშკარად დაჯაბნეს ჰოლანდიელებმა. არგენტინელთა დღევანდელი ნაკრები მაინც აჩრდილია იმ დიდი ნაკრებისა, დიეგო მარადონას გუნდი რომ ერქვა.

...ღამის ორი საათია. რამდენიმე წუთიც და ლიონის სადგურში ჩამოდგება პარიზში მიმავალი მატარებლის შემადგენლობა. ბაქანზე თვალი ვკიდე უეფას პრეზიდენტს ლენარტ იუჰანსონს — ჩანს, ერთი მატარებლით უნდა ვიმგზავროთ. საოცრად სიმპათიური და ურთიერთობაში უბრალო პრეზიდენტს თავი შევახსენე — ამ ორი დღის წინანდელი თქვენი პროგნოზი ბრაზილია — დანიის მატჩზე გამართლდა-მეთქი.

— ხომ ნახეთ, როგორ გაუჭირდათ ბრაზილიელებს! ჭკვიანური ფეხბურთის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის ძნელია. კარგი გუნდი ჰყავთ დანიელებს.

— დღევანდელ დღეზე, ახლა უკვე გუშინდელზე, რას იტყვით?

მხრები აიჩეჩა, თანმხლებს, ფიფას ჩინოსანს გადახედა (საგანგებო პიჯაკს ეტყობოდა, ფიფადან რომ იყო) — ეს ფეხბურთია. ფავორიტებიც მარცხდებიან. ტრაგედია არ უნდა შეიქმნას.

— ბოლო შეკითხვა — ევროპა თუ ამერიკა?

— ძნელი ბრძოლა ელით ბრაზილიელებს ჰოლანდიელებთან. ისინიც ჭკვიანურ ფეხბურთს თამაშობენ, თანაც კარგი შემსრულებლები ჰყავთ. თუ ფინალში გავიდნენ, ბრაზილიელები ჩემპიონებიც გახდებიან.

„ეკიპი“ რამდენიმე გვერდს უთმობს საფრანგეთ — ხორვატიის მომავალ მატჩს, მოჰყავთ უამრავი სქემა, ვარიანტები, შემადგენლობები, სტატისტიკა. განსაკუთრებული აქცენტია თავდასხმის ეფექტურობის პრობლემებზე.

...რა შეედრება გამარჯვების სიხარულს! გახსოვთ, ჰოლანდიელთა მეკარე ვან დერ სარი, ქვეყნის დროშის ფრიალით რამდენიმე წრე რომ შემოურბინა სტადიონს? აჩვენეს ჩვენი ტელევიზიით დავორ შუკერი ხორვატთა სახელმწიფო დროშით ტორეადორის როლში? გამარჯვების წამი — ბედნიერების და სიხარულის მწვერვალი!

და თანაც, როცა იცი, რომ შენი სიხარული, შენი ბედნიერება მარტო შენ და შენს თანაგუნდელებს არ ეკუთვნის. მისი თანაზიარი მთელი შენი ქვეყანაა, შენი ხალხია — დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ავადმყოფიც და ჯანმრთელიც, მდიდარიც და ღარიბიც, სპორტის გულშემატკივარიც და მისგან შორს მდგომიც — ყველა, რამეთუ ეს გამარჯვება მათი გამარჯვებაცაა, მათი გენის, ნიჭიერების, შემართების, სულის გამარჯვებაა, რწმენის განმტკიცება.

მერე და როგორ სჭირდება დღეს ასეთი გამარჯვებები ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს! ქართულ სპორტს, ჩვენს სპორტსმენებს, მათ შორის ფეხბურთელებსაც, ცხადია, შესწევთ ძალა ასეთი სიხარულის მოტანისა; მათი ნიჭიერება და მწვრთნელთა შრომისმოყვარეობა, ქართული სპორტის მდიდარი ტრადიციები ამის საფუძველია.

რადაც უნდა დაგვიჯდეს, გამარჯვებებმა უნდა იმრავლოს, ტრადიციები უნდა გაგრძელდეს.

გაგრძელდება კიდეც, ოღონდაც სახელმწიფომ და ხალხმა, საზოგადოებამ მოიცალოს ქართული სპორტისთვის. ოღონდაც!

საფრანგეთში მსოფლიოს ჩემპიონატმა კი კვლავ ორდღიანი ტაიმ-აუტი აიღო.


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

FRANCE 98

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში თბილისში, კინოთეატრ რუსთაველის მეოთხე სართულზე, კროკოს კლუბში შეგეძლებათ თამაშების პირდაპირი რეპორტაჟების ნახვა და ფსონების დადება.

კროკო ფეხბურთის ყველაზე აზარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში მოემსახურება.

ფსონების მიმღები „კროკოს“ ახალი ბიუროები გაიხსნა თბილისის №2, №63 და №67 ფოსტის განყოფილებების შენობებში

№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე

№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი

№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი

მსოფლიოს ჩემპიონატი. ნახევარფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 7 ივლისი | | | |
| ბრაზილია — ჰოლანდია | (1,35-2,5) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 8 ივლისი | | | |
| საფრანგეთი — ხორვატია | (1,15-4,0) | 1,6 | 3,0 | 5,6 |

პირველი ტაიმი/საბოლოო შედეგი

| | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია — ჰოლანდია | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.0 | 5.0 | 9.0 | 15.0 | 8.0 | 7.0 |
| საფრანგეთი — ხორვატია | 2.0 | 12.0 | 30.0 | 2.5 | 5.0 | 10.0 | 7.0 | 10.0 | 10.0 |

ჩემპიონობაზე

| | |
|---|---|
| საფრანგეთი | 1.8 |
| ბრაზილია | 1.8 |
| ჰოლანდია | 4.0 |
| ხორვატია | 8.0 |

ფსონები მიიღება ყოველდღე 13-დან 16 საათამდე.

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი;
№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი;

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

რუსთავში — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.



გიო ახვლედიანის

სამი სვეტი

# მსოფლიოს ჟანდარმი

FRANCE 98

ყოველი შეხვედრის წინ, სათადარიგოთა სკამზე რომ დაიჭერს ადგილს, მიროსლავ ბლაჟევიჩი გვერდით მოიდებს ხოლმე ფრანგ ჟანდარმთა ქუდს. ამბობენ, რომ ეს ქუდი ერთმა ფრანგმა ჟანდარმმა აჩუქაო. მერე ხორვატიის ნაკრები მოიგებს, ბლაჟევიჩი ქუდს დაიხურავს და გასახდელისკენ მიაბიჯებს. ეს ქუდი ალბათ (ალბათ კი არა) თილისმაა. ხუმრობის ხასიათზე მოსული კაცი კი შავ ჟანდარმულ თავსარქმელს სხვაგვარად სიმბოლურ მნიშვნელობას შესძენს. რახან ბლაჟევიჩი საფრანგეთშია, ის დროც უნდა ახსოვდეს, აქაურ ვირის აბანოში რომ გაატარა სამი კვირა და ჟანდარმთა ქუდებისა და ფორმების იერსახეც კარგად დაიმახსოვრა. მაშინ ბლაჟევიჩი „ნანტის" მწვრთნელი იყო და განთქმულ „ტიპის სკანდალში" აღმოჩნდა გახვეული.

მაგრამ ახლა, საფრანგეთის ჟანდარმერია ჯერ არ აწუხებს ბლაჟევიჩს და საერთოდ, ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს კაცი ფრანგულ ციხეში მოხვდეს. საფრანგეთი რომ დიქტატორული ქვეყანა იყოს, ჩაკეტილი და ამ მხრივ თამამი, იმ კვირაში ბლაჟევიჩს პირდაპირ სენ დენიდან გააქანებდნენ ჯურღმულში. ვაჰ! ეს რა წამომცდა. წამომცდა, რომ ხორვატები ფრანგებს მოუგებენ და ფინალში გავლენ.

თუმცა, ლაქლაქს შევეშვათ.

მიროსლავ ბლაჟევიჩზე ვთქვათ ორი სიტყვა. იმაზე, თუ როგორ დაიარება ეს კაცი, რა დღეშია და როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში იტყვიან, რა პირობებში უხდება მუშაობა. ძნელად რომ ქვეყნად მოიძებნოს ფეხბურთში ჩართული კაცი ამდენი მტერი რომ ჰყავდეს. ბლაჟევიჩი თავისი სამშობლოს ერთგვარი სახეც კია. ხორვატთა მწვრთნელი დიდად ვერ ამართლებს ჩვენებურ გამონათქვამს, კარგია მუდამ მტრიანიო. ბლაჟევიჩი არცთუ კარგია. ის მოხერხებული, ეშმაკი და სკანდალური კაცია. ინტრიგის ხლართვას მას ვერავინ ასწავლის ყოფა-ცხოვრებაში და როგორც ამ ბოლო დროს გაირკვა, ფეხბურთშიაც.

ხორვატიის ნაკრები რომ იქმნებოდა, მესაჭედ ორი კაცი ჰყავდა — ბლაჟევიჩი და ტომისლავ ივიჩი. ბლაჟევიჩს თავისი ფეხბურთი ჰქონდა. ისეთი, როგორსაც დღეს გვიჩვენებს ხორვატთა გუნდი. ივიჩი კი საფეხბურთო რომანტიკის მიმდევარი კაცი იყო. მას მიაჩნდა, რომ ხორვატ ფეხბურთელებს ლამაზად და თავდავიწყებით თამაში ხელეწიფებათ. ორი მეფე ერთ ტახტზე ვერ დაჯდება და ბლაჟევიჩმა სულ იოლად მოახერხა ივიჩის მოშორება. ასეთ კაცს ყოველთვის მოერევი და ივიჩმაც არაბეთისკენ გასწია.

აუწერელია იმ მორალური დაწოლის ძალა ბლაჟევიჩი რომ განიცდიდა ხორვატული მედიისგან. მსოფლიო ჩემპიონატის მთელი შესარჩევი ციკლი ბლაჟევიჩი დუმდა, ჟურნალისტებს ისიც კი დაუთმო, რომ მათ შედგენილ ნაკრებთან სათამაშოდ გაიყვანა თავისი ნაკრები. გაიყვანა და წააგო, თუმცა, კვლავ არაფერი უთქვამს. მელამ თავისი საქმე იცის.

ხორვატიას არასოდეს ჰქონია რომანტიკის დრო და სურვილი. არც გუნდს და არც ქვეყანას. ხორვატიისთვის ყველაფერი ომად იქცა. მაგრამ ეს არ არის რაღაც ისეთი, სიმღერიანი ომი. ეს არის ომი კანონებით და საქმის ცოდნით. შიშველი რომანტიკით პატარა ხორვატია ვერც ყოფაში მიაღწევდა ვერაფერს და ვერც ფეხბურთში. ჭკვიანური ომი, თავდადებით, გრძნობით და თანადგომით, მაგრამ მაინც ჭკუით. ასე, რომ ბლაჟევიჩის ფეხბურთი სწორედ ის ფეხბურთია დღევანდელ ხორვატიას რომ სჭირდება და არგია. სხვაგვარად ხორვატები ვერაფერს მიაღწევდნენ.

ახლა კი ყველა ხედავს — ამ ხალხის შეკავება, შეკავება მათი ფიქრისა და გრძნობისა, ძნელია. მგონია, რომ ხორვატები სხვაგვარად, თუნდაც იმავ ევროპელთაგან განსხვავებით აღიქვამს მოვლენებს. მათ ყველგან თავიანთი სიმართლე მიაქვთ და მის გატანას არ გაგიკვირდეთ და ყოველგვარი ხერხით ცდილობენ. ბოლო ათწლეულის სიმწარემ ამ ხალხს ასწავლა — თავი არ უნდა დაზოგო, თორემ ცარიელ-ტარიელი დარჩები. აი, ამით სჯობნიან ისინი იმავ მოსისხლე იუგოსლავიელებს და არა მარტო მათ. ისინი თავდაცვიდან გამოვიდნენ და შეუტიეს.

მათი ფეხბურთიც საოცრად ჰგავს მათ თავგადასავალს და თანაც ფეხბურთში უფრო იოლადაა საქმე, ფეხბურთი თავისუფალი, თანაბარპირობებიანი თამაშია და ტანკზე ჟაკანით წასვლა არ მოეთხოვება.

და ჩვენ ხომ ფეხბურთზე უნდა ვლაპარაკობთ? 1994 წლის მარტში ხორვატიის ნაკრებმა ვალენსიაში მოუგო ესპანელებს 2:0. ხორვატებს ოთხი წლის განახლებული ჰყავდათ ნაკრები და მანამდე ამხანაგურ თამაშებსაც მართავდნენ, რომლებიც გამარჯვებისა და მარცხის მონაცვლეობის მიუხედავად დიდად ყურადღებამისაქცევი არ იყო. ვალენსიური თამაში კი საერთაშორისო განსჯის საგანი შეიქნა. მატჩი ამხანაგური იყო, მაგრამ დანგრეული ქვეყნის შვილებს საამხანაგო არაფერი ჰქონდათ. ის განწყობა, ის გამარჯვების ვალენსიური წყურვილი ხორვატთა ნაკრებში დღესაც არ განელებულა. განელებულა კი არა, ხორვატიის ნაკრები მარტივად რომ ვთქვათ, სხვა დონის გუნდი გახლავთ.

ხორვატებს ყოველთვის ჰყავდათ ვარსკვლავები, რომლებიც განთქმულ ევროპულ კლუბებში თამაშობდნენ, მაგრამ სანაკრებო გამოცდილება მაინც აკლდათ. ეს ევრო-96-ზეც გამოჩნდა. მაგრამ აი, ხორვატიამ მშვენივრად აუღო ალღო სატურნირო სტრატეგიის არსს.

საიდან მოვიდა გამოცდილება, უხინჯო ტაქტიკა და იღბალი? ხორვატები ხომ პირველად არიან მსოფლიო ჩემპიონატზე? რა ვიცი. მე მგონია, რომ ეს გამოცდილება ცხოვრებიდან მოვიდა.

მართალი ხართ. ბლაჟევიჩი ძალიან ჭკვიანი და გულცივი მწვრთნელია. მისი ტაქტიკა, სტრატეგია და მზადყოფნა შესაშურია. მისი ფეხბურთელების ფიზიკური მდგომარეობა საუცხოოა. ამ ჩემპიონატზე ხორვატია ყოველთვის იმარჯვებდა განსაკუთრებული ემოციურობის გარეშე. დავორ შუკერი აშკარად უმიზნებს მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობას და ბომბარდირობას. გუნდი ძალიან მკაცრად და გამართულად თამაშობს. ამას თუ მათ სულიერ განწყობას, ცხოვრებიდან მოსულ სიმტკიცეს და ხასიათს დავუმატებთ, დავინახავთ, რომ ეს საშიში გუნდია. თუმცა, ხორვატთა მთელი უნარი შაბათსღა გამოჩნდა.

ეს საშიში გუნდია და ბლაჟევიჩის საყვარელ ჟანდარმულ ქუდს რომ დავინახავ ხოლმე, მგონია, რომ ამ ეშმაკ კაცს მსოფლიო ფეხბურთის ჟანდარმობა გადაუწყვეტია.

კიდევ ერთი რამ უნდა გავიხსენოთ და კვლავ ხორვატთა ხასიათზე, უფრო კი ამბიციაზე ვილაპარაკოთ. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ოთხეულის გმირები, შვედეთი და ბულგარეთი იმ თავიანთი ნახევარფინალებითაც ბედნიერები იყვნენ. ეს აშკარად ჩანდა. ასევე ბედნიერი იყო 1986 წელს მეოთხე ადგილოსანი ბელგიაც. აი, ხორვატებს კი ამ საქმეშიც სხვაგვარი განწყობა ექნებათ. ეს აშკარაა. მათთვის ნახევარფინალი სულაც არ ჩანს ისეთ თამაშად ვალმოხდილი გუნდი რომ ითამაშებს. აქაოდა, ჩემსას უკვე მივაღწიე და აწი რაც გამომივა, გამომივაო.

მგონი სადაო არ უნდა იყოს, რომ ასე არ იქნება. ხორვატია იმგვარ ომს გამართავს, აქამდე რომ არ გაუმართავს. ყოველ შემთხვევაში მავანთა დამსჯელის, მტკიცე ჟანდარმის როლი ხორვატებს უკვე შეთვისებული აქვთ და ფრანგთა წინააღმდეგ რომ გავლენ სათამაშოდ სენ დენის მინდორზე, მათი სული და განწყობა უტეხი იქნება, თამაში კი მკაცრი და დაუნდობელი.

ბლაჟევიჩი კვლავ იმ ქუდით ხელში გამოვა გვირაბიდან. გამოვა, დაჯდება და სიგარეტსაც გააბოლებს. მის წვრილ, მოუსვენარ თვალებსაც დავინახავთ, მრგვალმუშებიან სათვალეს, ცისფერ პერანგს და ასე შემდეგ...

და კიდევ ჩვენ დავინახავთ დაღლილ ემე ჟაკეს. მოედანზე გამოვა საფრანგეთის ნაკრები. გუნდი, რომელიც ჩემპიონატს მასპინძლობს, ჩემპიონობა სწადია და ბოლო ორ მატჩში, სულ კი ოთხ საათში ერთადერთი გოლი გაიტანა. აბა ამათ აქვთ დასაკარგი, თუ აქვთ. მეოთხედ თავიანთი ფეხბურთის ისტორიაში ისინი მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში არიან, და ფინალში არცერთხელ გასულან. ცხადია, ამ ნახევარფინალს სრულიად გამორჩეული ფასი აქვს მათთვის — ის მშობლიურ გარემოში იმართება. ფრანგებისთვის მარცხი სიკვდილია.

მაგრამ ხორვატებს სიკვდილის ხსენებით ვერ გააკვირვებ. მათ სიკვდილი ამერიკულ ბოევიკებში კი არ უნახავთ, არამედ საკუთარ სახლში. რაც შეეხება დაკარგვას, მათ დაუკარგავთ და არაადამიანური მონდომებით დაუბრუნებიათ დაკარგული.

ასე რომ, მე არ ვიცი — პროგნოზი არა-მეთქი და ფრანგებს უპირატესობას ვერ ვანიჭებ. თუნდაც იმიტომ, რომ იმ ჟანდარმულ ქუდს ვხედავ ხოლმე.

საერთოდ კი, მინდოდა შუკერზე მელაპარაკა. მაგრამ სხვა დროს იყოს. ჩვენს ხელში არ არის?

„ჰრვატსკა" კი ამტკიცებს — სისულელეა გაზონის ხარისხზე, სიდუხჭირესა და ომზე წუწუნი და ფეხბურთისთვისაც სი-სუ-ლე-ლე-ა.



აი, მიროსლავ ბლაჟევიჩი, თუ ხვდებით, რა უდევს გულში?

## ფეხბურთის რუკასთან



**ხორვატი,** 26 წლის სლადიან ასანინი პრაღის „სლავიადან" მიონხენგლადბახის „ბორუსიაში" გადავიდა. ასანინს, რომელიც ჩეხეთში 1996 წლიდან თამაშობდა, იქაურ ჩემპიონატში საუკეთესო მცველად მიიჩნევდნენ. იგი ხორვატიის ეროვნული ნაკრების წევრიცაა და ახლა საფრანგეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა ასპარეზობდეს, მაგრამ ზამთარში მიღებულმა მძიმე ტრავმამ ხელი შეუშალა. ასანინის გადაბირება ევროპის ბევრ წამყვან კლუბს სურდა, განსაკუთრებით ბუნდესლიგის წლევანდელი გამარჯვებული „კაიზერსლაუტერნი" აქტიურობდა, მაგრამ ხორვატმა საბოლოოდ „ბორუსია" ირჩია და კლუბთან სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. საკონტრაქტო თანხა გერმანელებს არ უცნობებიათ.

**თურქულ** „ბეშიქთაშში" მომავალი სეზონიდან ორი ახალი ფეხბურთელი იასპარეზებს — ნიგერიელი ფორვარდი კრისტოფერ ოჰენი და პარაგვაელი მცველი ჩემა დელ სოლარი. პირველი აქამდე ესპანურ „კომპოსტელაში" გამოდიოდა. ამ კლუბმა თურქული მხარისგან ფეხბურთელის სანაცვლოდ 3 მილიონი დოლარი მიიღო. კონტრაქტი ოჰენსა და „ბეშიქთაშს" შორის სამწლიანია. რაც შეეხება დელ სოლარს, ისიც ესპანურ გუნდ „სელტადან" გადავიდა თავის ახალ კლუბში და ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. მისი სატრანსფერო თანხა 1,4 მილიონი დოლარია.

**ინგლისელი** დიონ დაბლინი ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდა „ქოვენთრი სიტის" ისტორიაში. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც დაბლინმა თავის კლუბთან ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომელიც 5 მილიონ გირვანქად (8,3 მილიონი დოლარი) არის შეფასებული. 29 წლის ფეხბურთელი ამ პერიოდში კვირაში 20 ათას გირვანქას მიიღებს. „ქოვენთრის" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ბრაიან რიჩარდსონმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „ეს იმის მიმანიშნებელია, რომ გუნდმა თავისი წამყვანი ფეხბურთელები კიდევ 4-5 წლით შეინარჩუნა".

**შოტლანდიური** „გლაზგო რეინჯერსის" ხელმძღვანელობას დიდი იმედი აქვს, რომ მალე ესპანეთის „მალიორკას" არგენტინელ ლეგიონერ გაბრიელ დამატოს გადაიბირებს. ამასთან დაკავშირებით კლუბის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა დევიდ მიურეიმ აღნიშნა: „ჯერჯერობით კონტრაქტის გაფორმებაზე საუბარი ნაადრევად მიმაჩნია, თუმც თავად ფეხბურთელთან გარკვეულ შეთანხმებებს უკვე მივაღწიეთ. დამატო ის მოთამაშეა, რომლის გუნდში ხილვის სურვილი დიკ ადვოკაატმა გამოთქვა და ჩვენც შევეცდებით, ეს საქმე რაც შეიძლება მალე მოვაგვაროთ". თუ არგენტინელი თავდამსხმელი შოტლანდიურ კლუბში გადავა, ეს „რეინჯერსის" მეორე შენაძენი იქნება გუნდის სათავეში ჰოლანდიელ სპეციალისტ დიკ ადვოკაატის მისვლის შემდეგ. პირველი ეინდჰოვენელი არტურ ნუმანი იყო, რომელიც ახალ კლუბში 5,2 მილიონ გირვანქად გადავიდა. დამატომ გასულ სეზონში ესპანეთის ჩემპიონატში 12 გოლის გატანა მოახერხა და აგრეთვე ძალიან დაეხმარა თავის გუნდს მომავალ წელს თასების თასზე ასპარეზობის უფლების მოპოვებაში.

**ხორვატიის** ნაკრების კანდიდატები — 26 წლის სლადიან ასანინი და 23 წლის ზელიკო სოპიჩი მიონხენგლადბახის „ბორუსიაში" გადავიდნენ. ასანინმა ბოლო ორი სეზონი პრაღის „სლავიაში" გაატარა, ჩეხეთის ჩემპიონატის საუკეთესო მცველად ითვლებოდა და მსოფლიოს ჩემპიონატზეც იასპარეზებდა, ზამთარში მიღებულ ტრავმას რომ არ შეეშალა ხელი. მისი და „ზაგრების" ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველად მიჩნეული სოპიჩის შეძენა ევროპის ბევრ წამყვან კლუბს სურდა, განსაკუთრებით ბუნდესლიგის წლევანდელი გამარჯვებული „კაიზერსლაუტერნი" აქტიურობდა, მაგრამ ფეხბურთელებმა „ბორუსია" ირჩიეს. ორივე მოთამაშემ გერმანულ კლუბთან 2001 წლის 30 ივნისამდე გააფორმა კონტრაქტი.

# პოლსტერი არ იძირება

ფეხბურთის ჭეშმარიტ გულშემატკივრებს გერმანული „კიოლნი" ალბათ ვეღარ წარმოედგინათ საუცხოო ავსტრიელი ფორვარდის — ანტონ პოლსტერის გარეშე. იგი უკანასკნელი ხუთი სეზონის განმავლობაში სწორედ ამ კლუბის ღირსებას იცავდა, მის შემადგენლობაში ბუნდესლიგის ჩემპიონატში 150 მატჩი ჩაატარა და 77 გოლიც გაიტანა. ბოლო სეზონში გუნდს მანაც ვერ უშველა და თავიდანვე გასავარდნად განწირულმა „კიოლნმა" პირველად თავის ისტორიაში ბუნდესლიგა დატოვა.

ტონი პოლსტერს კი კარიერის მაღალ დონეზე დასრულება სურს და მეორე ლიგაში თამაშის პერსპექტივა არცთუ ხიბლავს. „მე და ჩემი მენეჯერი სკენდერ ფანი მთელი კვირა ვისხედით და ვცდილობდით დაგვესაბუთებინა, რატომ უნდა მეთამაშა მეორე ბუნდესლიგაში, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა" — განაცხადა ცოტა ხნის წინ 34 წლის ავსტრიელმა. ამ სიტყვებმა ცხადყო, რომ პოლსტერი კლუბში დარჩენას აღარ აპირებდა და რაღაცას მალავდა. მართლაც სულ მალე ცნობილი გახდა, რომ მას მიონხენგლადბახის „ბორუსია" ეპატიჟებოდა. გლადბახელებს გულით ეწადათ ფორვარდის შეძენა და სარფიან წინადადებასაც სთავაზობდნენ. გაზეთ „ბილდს" თუ ვენდობით, „ბორუსია" „კიოლნს" პოლსტერში ბიოკელბერგს უცვლიდა და ორ მილიონ მარკასაც უმატებდა, ხოლო თავად ფეხბურთელს წლიურ გასამრჯელოდ 1,5 მილიონ მარკას ჰპირდებოდა. მაგრამ პოლსტერს კლუბთან კონტრაქტი 1999 წლამდე ჰქონდა და „კიოლნი" მას არ უშვებდა, რადგან კლუბის ბუნდესლიგაში აღზევების ერთგვარ გარანტად მიაჩნდათ. ავსტრიელს კი დარჩენა არაფრით სურდა, აკი ამბობდა კიდეც, თუ არ გამიშვეს, ჩათვალეთ, რომ ჩემი, როგორც ფეხბურთელის კარიერა, დასრულდაო. ავსტრიის ნაკრების უპირველესი თავდამსხმელის მენეჯერმა სკენდერ ფანმა აქტიური მოლაპარაკებები წამოიწყო „კიოლნის" პრეზიდენტ ალბერტ კასპერსთან და მისი დაყოლიება სცადა. „ტონი თავისი მენეჯერის მეშვეობით კონტრაქტის ამოწურვამდე განთავისუფლებას ითხოვს" — განუცხადა კასპერსმა ჟურნალი-სტებს და ამით უარყო ჭორი, თითქოს ავსტრიელმა ფორვარდმა წერილობით გააცნო თავისი თხოვნა (უფრო მოთხოვნა) პრეზიდენტს და მასთან შეხვედრა არ იკადრა. „მოლაპარაკება ჯერ არ დასრულებულა. ყველაფერი, ალბათ, ერთ კვირაში გაირკვევა" — ესეც „კიოლნის" პრეზიდენტის ხუთი დღის წინანდელი ნათქვამია. პოლსტერი, რომელმაც ამასობაში საფრანგეთში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზა და სამ მატჩში ერთი გოლიც გაიტანა, პასუხს მოუთმენლად ელოდა. გუშინ კი ყველაფერს ნათელი მოეფინა. „კიოლნმა" ფეხბურთელს სხვა გუნდში გადასვლის ნება დართო. კლუბის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ავსტრიელს შეუძლია, სადაც მოესურვება, იქ წავიდეს, ცხადია, გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ.



ტონი პოლსტერი

ასე რომ, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა (რაც ნაკლებად სავარაუდოა), პოლსტერი გაისადაც ბუნდესლიგაში ითამაშებს. მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ლიგაში ეს მისი მეექვსე სეზონი იქნება. ტონი პოლსტერისა და „კიოლნის" გზები 5 წლის შემდეგ, როგორც ჩანს, საბოლოოდ გაიყარა.

ვანო ოქროპირიძე

# რა წერია უეფას დავთარში?

## ვინ საით

უეფას საკლუბო რეიტინგში ვინ შეიძლება იყოს პირველ ადგილზე, თუ არა იტალია, ქვეყანა, რომლის სამმა წარმომადგენელმა მიაღწია 1997-98 წლების სეზონში ევროპული თასების ფინალს.

ცნობისთვის: რეიტინგი ითვალისწინებს არა მხოლოდ ბოლო სეზონის შედეგებს, არამედ გასული ხუთი გათამაშების მაჩვენებლებსაც.

ყველაფრის გათვალისწინებით, დღევანდელი კენჭისყრის წინ უეფაში შემავალი 50 სახელმწიფოს სიას იტალია უდგას სათავეში. ბოლო სეზონის შედეგებმა მას 12,571 ქულა შესძინა.

ამავე სეზონში გერმანელებმა 11,125 ქულა მიიღეს, რუსებმა — 11,000. შემდეგ მოდიან 8,714-ქულიანი ესპანეთი და 8,000-ქულიანი ინგლისი. თანაბრად არიან საბერძნეთი და უკრაინა. მათ 7,750 ქულა მოაგროვეს, ხორვატების მონაგარი კი 7,666 ქულა გახლავთ.

თუ ხუთი სეზონის წინანდელ რეიტინგს დავხედავთ, დავინახავთ, რომ 1993-94 წლებიდან დღემდე ყველაზე დიდი წინსვლა გერმანელებს ჰქონდათ. ისინი მეოთხე ადგილიდან მეორეზე ავიდნენ და 1999-2000 წლების უეფას გათამაშებაში დამატებითი, მეოთხე გუნდის გაყვანის უფლება მოიპოვეს.

გერმანელთა საპირისპირო მაგალითი საფრანგეთი გახლავთ. ფრანგები 94 წლის გაზაფხულზე მესამენი იყვნენ, ახლა კი ერთი ადგილით დაბლა დაეშვნენ. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელმა ქვეყანამ საკლუბო ფეხბურთში გასულ სეზონში მაინცდამაინც ვერ გამოიჩინა თავი. 6,900 ქულა დააგროვა რაც მხოლოდ და მხოლოდ მეათე შედეგი გამოვიდა. ასეთი ცუდი გამოსვლის გამო ფრანგულ კლუბებს უეფას თასზე ერთი წარმომადგენელი დააკლდებათ.

ბერძნებმა მოახერხეს იმ ჯგუფში დაბრუნება (4-8 ადგილები), რომლის წარმომადგენლებსაც უეფას თასზე სამი გუნდის გაყვანის ნებას რთავენ. ისინი მერვე ადგილზე არიან.

უწინ ამ ადგილზე თურქები გახლდნენ, მაგრამ ისინი დღეს მეთოთხმეტენი არიან. ბოლო სეზონში თურქეთის კლუბებმა ბევრი ვერაფერი მოახერხეს, მხოლოდ 5,400 ქულას დასჯერდნენ და გასული სექტემბრიდან მაისამდე მეხუთმეტე შედეგს მიაღწევს.

სენებათ, ამ შეჯიბრებებში თითოეული ქვეყანა რამდენიმე გუნდს წარადგენს და შესაბამისად, ქვეყნების კოეფიციენტები ამ გუნდების ასპარეზობაზეა დამოკიდებული.

ნებისმიერ გუნდს გამარჯვებისთვის ორი ქულა ერიცხება, ფრე კი ერთ ქულას იძლევა. მეოთხედფინალში გასული გუნდები იღებენ დამატებით ქულას. იგივე ხდება ნახევარფინალსა და ფინალში გასვლის შემთხვევაში.

საგანგებო შემთხვევაა ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობა. თავისთავად ეს ფაქტი დამატებით ქულას ნიშნავს.



ჩემპიონთა თასის ბოლო ფინალი „ამსტერდამ არენაზე“ შედგა. მადრიდის „რეალმა“ მიატოვიჩის ამ გოლის წყალობით 1:0 სძლია „იუვენტუსს“

შემდეგ, ერთი ქვეყნის გუნდების მიერ დაგროვილი ქულები ჯამდება და იყოფა მათ (გუნდების) რაოდენობაზე. მაგალითად, 1997-98 წლების ევროთასებზე ბერძნებმა ოთხი გუნდი გაიყვანეს, რომელთაც ჯამში თერთმეტი შეხვედრა მოიგეს, შვიდი კი ფრედ დაამთავრეს. შესაბამისად, ბერძნებს 29 ქულა დაუგროვდათ. ამ 29 ქულას უნდა დავამატოთ ერთი, რადგან აეკი თასების მფლობელთა თასზე მეოთხედფინალში გავიდა. კიდევ ერთი ქულა შეიძინა „ოლიმპიაკოსმა“. იმას ჩემპიონთა ლიგაში (იგულისხმება საკუთრივ ლიგა ანუ ჯგუფური ტურნირი და არა შესარჩევი ეტაპი) მონაწილეობისთვის მიეცა და ყველაფერმა ერთად 31 ქულა შეადგინა. ახლა, ეს 31 ქულა უნდა გავყოთ ოთხზე ანუ კლუბთა რაოდენობაზე და მივიღებთ 7,750-ს. სწორედ ეს 7,750 გახლავთ საბერძნეთის სეზონური კოეფიციენტი.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ინტერტოტოს თასის გათამაშება ქულებს არ იძლევა.

ბოლო ხუთი სეზონის განმავლობაში მოპოვებულ კოეფიციენტთა ჯამი კი უეფას საკლუბო რეიტინგის საბოლოო სახეს განაპირობებს.

გარკვეული ცვლილებებია იმ ქვეყნებშიც, რომელთაც უეფას თასზე ორი გუნდის წარდგენის ნება აქვთ. ამ ჯგუფს (9-21 ადგილები), გამოაკლდნენ შვედეთი, რუმინეთი და შოტლანდია, მათი ადგილები კი უკრაინამ, უნგრეთმა და სლოვაკეთმა დაიკავეს.

რუსეთის მაგალითი საგანგებოა. იგი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ერთი სეზონის შედეგი შესაძლოა, ძლიერ კარგიც იყოს! მაგრამ ხუთი სეზონის ჯამში ქვეყანამ მაინც უკან დაიწიოს. 1997-98 წლების მიხედვით, ევროპულ ქვეყნებს შორის რუსეთი საკლუბო ფეხბურთში მესამეა, მაგრამ ხუთი სეზონის ნალვაწი რუსებს იმდენად უსახური ჰქონდათ, რომ ახლანდელმა პროგრესმაც ვერ უშველათ და მე-11 ადგილი მე-12 ადგილით შეეცვალათ.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ქვეყნისთვის 1992-93 წლებში ნაჩვენები შედეგი გაუქმებულია და მის ნაცვლად საანგარიშოზე 1997-98 წლების მაჩვენებელია ჩამოყრილი.

რუსეთმა გასულ სეზონში, როგორც გითხარით, 11,000 ქულა დააგროვა, ანუ წინა საფეხბურთო წელიწადთან შედარებით, 2,000-ით უკეთესი შედეგი აჩვენა, მაგრამ სხვა ქვეყნების კლუბებმა კიდევ უფრო დიდი ნაბიჯები გადადგეს წინ. მაგალითად, ბევრი ქულა ჩეხებმა და ნორვეგიელებმა დაიმატეს. ნორვეგიელებმა პლუს 5,200 შესძლეს, ჩეხებმა — პლუს 6,500.

რუსთა მსგავსი ამბავი გადახდათ სქოთებსაც. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთის ამ ქვეყნის კლუბთა შედეგი 1997-98 წლების მიხედვით, კონტინენტზე მე-14 იყო, ჯამური ანგარიშით გამოვიდა, რომ შოტლანდიამ მე-19 პოზიცია დაკარგა და დღეს სიაში 26-ე ადგილზეა ჩაწერილი.

კიდევ ერთ თავისებურებაზე შეიძლება საუბარი. ხუთი სეზონის მაჩვენებელთა გათვალისწინება ზოგ ქვეყანას მეტ-ნაკლებად იცავს კიდეც. ესე იგი, თუ რომელიმე სახელმწიფომ ერთ კერძო სეზონში ცუდად იასპარეზა, ეს იმას არ ნიშნავს რომ ადრინდელი პოზიციას აუცილებლად დაკარგავს და სადღაც ქვესკნელში ჩაეშვება. ამის მაგალითია პორტუგალია, რომელიც საბოლოო სიაში ისევ მეშვიდე ადგილს ინარჩუნებს, არადა, 1997-98 წლებში 27-ე იყო.

### როგორ ანგარიშობს უეფა?

ახლა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ წესი, რომლის მიხედვითაც ევროპული ფეხბურთის შეფი, უეფა კოეფიციენტებს ითვლის.

რეიტინგში ითვალისწინებენ უეფას მიერ მოწყობილ საკლუბო შეჯიბრებებში მონაწილე გუნდების შედეგებს. მოგეხსენებათ...

### რა საჭიროა არითმეტიკა?

მთელი ეს არითმეტიკა და რეიტინგის გამოთვლა უეფას კენჭისყრისთვის სჭირდება. მის მიხედვით განისაზღვრება:

რამდენი გუნდი უნდა გაიყვანოს ამა თუ იმ ქვეყანამ მომდევნო სეზონში უეფას თასზე (ახლანდელი რეიტინგი უეფას თასის 1999-2000 წლების გათამაშების მონაწილეებს განსაზღვრავს).

რამდენი გუნდი უნდა გაიყვანოს ამა თუ იმ ქვეყანამ ინტერტოტოს თასზე.

რომელ ქვეყნებს დაერთოს ნება ჩემპიონთა ლიგაში ავტომატურად შეიყვანონ (წინასწარი ეტაპების გარეშე) გუნდები.

რომელ ქვეყნებს დაერთოს ნება, ჩემპიონთა თასზე (ლიგაში შესასვლელად) გაიყვანონ მეორე ადგილზე გასული კლუბები, რომლებიც შესარჩევი ეტაპებზე ჩაერთვებიან შეჯიბრებაში.

რომელი ქვეყნის გუნდები უნდა განითესონ სამივე თასის წინასწარ ეტაპზე ანუ ვინ მიიღებს მონაწილეობას ჩემპიონთა, უეფასა და თასების მფლობელთა თასის წინასწარი ეტაპის პირველ საფეხურზე და ვინ მეორეზე (აქ თავად ლიგის განთესვაზე არაა საუბარი).

აღსანიშნავია, რომ ბოლო ოთხი პუნქტი ეხება არა 1999-2000, არამედ 1998-99 წლების გათამაშებას.

**ბაბუნა ძედია**

### უეფას საკლუბო რეიტინგი 1997-98 წლების სეზონის ჩათვლით

| | | |
|---|---|---|
| 1. | იტალია | 59,640 |
| 2. | გერმანია | 49,932 |
| 3. | ესპანეთი | 48,580 |
| 4. | საფრანგეთი | 41,433 |
| 5. | ჰოლანდია | 35,916 |
| 6. | ინგლისი | 35,566 |
| 7. | პორტუგალია | 31,266 |
| 8. | საბერძნეთი | 28,750 |
| 9. | ჩეხეთი | 28,166 |
| 10. | ნორვეგია | 27,449 |
| 11. | ავსტრია | 27,250 |
| 12. | რუსეთი | 26,866 |
| 13. | ხორვატია | 26,166 |
| 14. | თურქეთი | 25,650 |
| 15. | დანია | 24,200 |
| 16. | შვეიცარია | 22,250 |
| 17. | უკრაინა | 22,082 |
| 18. | პოლონეთი | 22,000 |
| 19. | უნგრეთი | 21,083 |
| 20. | ბელგია | 21,000 |
| 21. | სლოვაკეთი | 20,999 |
| 22. | რუმინეთი | 20,750 |
| 23. | შვედეთი | 20,600 |
| 24. | საქართველო | 20,333 |
| 25. | კვიპროსი | 20,332 |
| 26. | შოტლანდია | 19,500 |
| 27. | ისრაელი | 16,749 |
| 28. | სლოვენია | 15,998 |
| 29. | ბელარუსი | 14,833 |
| 30. | ისლანდია | 13,666 |
| 31. | ფინეთი | 13,415 |
| 32. | ლატვია | 11,498 |
| 33. | ბულგარეთი | 10,499 |
| 34. | მაკედონია | 8,666 |
| 35. | ლიტვა | 7,333 |
| 36. | იუგოსლავია | 7,083 |
| 37. | მოლდოვა | 6,666 |
| 38. | ლიხტენშტაინი | 5,000 |
| 39. | ესტონეთი | 4,999 |
| 40. | სომხეთი | 4,832 |
| 41. | ჩრდ. ირლანდია | 4,665 |
| 42. | მალტა | 4,664 |
| 43. | უელსი | 3,999 |
| 44. | ირლანდია | 3,998 |
| 45. | ფარერები | 2,833 |
| 46. | ალბანეთი | 2,666 |
| 47. | ლუქსემბურგი | 2,333 |
| 48. | აზერბაიჯანი | 1,833 |
| 49. | ანდორა | 0,000 |
| 50. | ბოსნია | 0,000 |

### ჩემპიონთა თასის ყველა ფინალი

ევროპის ჩემპიონთა ლიგა CHAMPIONS LEAGUE

| | |
|---|---|
| 1956 | რეალი (ესპანეთი) — რეიმსი (საფრანგეთი) 4:3 |
| 1957 | რეალი (ესპანეთი) — ფიორენტინა (იტალია) 2:0 |
| 1958 | რეალი (ესპანეთი) — მილანი (იტალია) 3:2 |
| 1959 | რეალი (ესპანეთი) — რეიმსი (საფრანგეთი) 2:0 |
| 1960 | რეალი (ესპანეთი) — აინტრახტი (გფრ) 7:3 |
| 1961 | ბენფიკა (პორტუგალია) — ბარსელონა (ესპანეთი) 3:2 |
| 1962 | ბენფიკა (პორტუგალია) — რეალი (ესანეთი) 5:3 |
| 1963 | მილანი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია) 2:1 |
| 1964 | ინტერი (იტალია) — რეალი (ესპანეთი) 3:1 |
| 1965 | ინტერი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია) 1:0 |
| 1966 | რეალი (ესპანეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია) 2:1 |
| 1967 | სელტიკი (შოტლანდია) — ინტერი (იტალია) 2:1 |
| 1968 | მანჩესტერი (ინგლისი) — ბენფიკა (პორტუგალია) 4:1 |
| 1969 | მილანი (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია) 4:1 |
| 1970 | ფეიენოორდი (ჰოლანდია) — სელტიკი (შოტლანდია) 2:1 |
| 1971 | აიაქსი (ჰოლანდია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 2:0 |
| 1972 | აიაქსი (ჰოლანდია) — ინტერი (იტალია) 2:0 |
| 1973 | აიაქსი (ჰოლანდია) — იუვენტუსი (იტალია) 1:0 |
| 1974 | ბაიერნი (გფრ) — ატლეტიკო (ესპანეთი) 1:1, 4:0 |
| 1975 | ბაიერნი (გფრ) — ლიდსი (ინგლისი) 2:0 |
| 1976 | ბაიერნი (გფრ) — სენტ ეტიენი (საფრანგეთი) 1:0 |
| 1977 | ლივერპული (ინგლისი) — გლადბახი (გფრ) 3:1 |
| 1978 | ლივერპული (ინგლისი) — ბრიუგე (ბელგია) 1:0 |
| 1979 | ნოტინგემი (ინგლისი) — მალმიო (შვედეთი) 1:0 |
| 1980 | ნოტინგემი (ინგლისი) — ჰამბურგი (გფრ) 1:0 |
| 1981 | ლივერპული (ინგლისი) — რეალი (ესპანეთი) 1:0 |
| 1982 | ასტონ ვილა (ინგლისი) — ბაიერნი (გერმანია) 1:0 |
| 1983 | ჰამბურგი (გფრ) — იუვენტუსი (იტალია) 1:0 |
| 1984 | ლივერპული (ინგლისი) — რომა (იტალია) 1:1 (პ4:2) |
| 1985 | იუვენტუსი (იტალია) — ლივერპული (ინგლისი) 1:0 |
| 1986 | სტიაუა (რუმინეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) 0:0 (პ2:0) |
| 1987 | პორტუ (პორტუგალია) — ბაიერნი (გფრ) 2:1 |
| 1988 | ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ბენფიკა (პორტუგალია) 0:0 (პ6:5) |
| 1989 | მილანი (იტალია) — სტიაუა (რუმინეთი) 4:0 |
| 1990 | მილანი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია) 1:0 |
| 1991 | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ოლიმპიკი (საფრანგეთი) 0:0 (პ5:4) |
| 1992 | ბარსელონა (ესპანეთი) — სამპდორია (იტალია) 1:0 |
| 1993 | ოლიმპიკი (საფრანგეთი) — მილანი (იტალია) 1:0 |
| 1994 | მილანი (იტალია) — ბარსელონა (ესპანეთი) 4:0 |
| 1995 | აიაქსი (ჰოლანდია) — მილანი (იტალია) 1:0 |
| 1996 | იუვენტუსი (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია) 1:1 (პ4:2) |
| 1997 | დორტმუნდი (გერმანია) — იუვენტუსი (იტალია) 3:1 |
| 1998 | რეალი (ესპანეთი) — იუვენტუსი (იტალია) 1:0 |

### თასების მფლობელთა თასის ყველა ფინალი

Cup Winners Cup

| | |
|---|---|
| 1961 | ფიორენტინა (იტალია) — რეინჯერსი (შოტლანდია) 2:0, 2:1 |
| 1962 | ატლეტიკო (ესპანეთი) — ფიორენტინა (იტალია) 1:1, 3:0 |
| 1963 | ტოტენჰემი (ინგლისი) — ატლეტიკო (ესპანეთი) 5:1 |
| 1964 | სპორტინგი (პორტუგალია) — მტკ (უნგრეთი) 3:3, 1:0 |
| 1965 | ვესტ ჰემი (ინგლისი) — მიუნხენ 1860 (გფრ) 2:0 |
| 1966 | დორტმუნდი (გფრ) — ლივერპული (ინგლისი) 2:1 |
| 1967 | ბაიერნი (გფრ) — რეინჯერსი (შოტლანდია) 1:0 |
| 1968 | მილანი (იტალია) — ჰამბურგი (გფრ) 2:0 |
| 1969 | სლოვანი (ჩეხოსლოვაკია) — ბარსელონა (ესპანეთი) 3:2 |
| 1970 | მანჩესტერ სიტი (ინგლისი) — გურნიკი (პოლონეთი) 2:1 |
| 1971 | ჩელსი (ინგლისი) — რეალი (ესპანეთი) 1:1, 2:1 |
| 1972 | რეინჯერსი (შოტლანდია) — დინამო (მოსკოვი, სსრკ) 3:2 |
| 1973 | მილანი (იტალია) — ლიდსი (ინგლისი) 1:0 |
| 1974 | მაგდებურგი (გდრ) — მილანი (იტალია) 2:0 |
| 1975 | დინამო (კიევი, სსრკ) — ფერენცვაროში (უნგრეთი) 3:0 |
| 1976 | ანდერლეხტი (ბელგია) — ვესტ ჰემი (ინგლისი) 4:2 |
| 1977 | ჰამბურგი (გფრ) — ანდერლეხტი (ბელგია) 2:0 |
| 1978 | ანდერლეხტი (ბელგია) — აუსტრია (ავსტრია) 4:0 |
| 1979 | ბარსელონა (ესპანეთი) — ფორტუნა (გფრ) 4:3 |
| 1980 | ვალენსია (ესპანეთი) — არსენალი (ინგლისი) 0:0 (პ5:4) |
| 1981 | დინამო (თბილისი, სსრკ) — კარლ ცაისი (გდრ) 2:1 |
| 1982 | ბარსელონა (ესპანეთი) — სტანდარდი (ბელგია) 2:1 |
| 1983 | აბერდინი (შოტლანდია) — რეალი (ესპანეთი) 2:1 |
| 1984 | იუვენტუსი (იტალია) — პორტუ (პორტუგალია) 2:1 |
| 1985 | ევერტონი (ინგლისი) — რაპიდი (ავსტრია) 3:1 |
| 1986 | დინამო (კიევი, სსრკ) — ატლეტიკო (ესპანეთი) 3:0 |
| 1987 | აიაქსი (ჰოლანდია) — ლოკომოტივი (გდრ) 1:0 |
| 1988 | მეხელენი (ბელგია) — აიაქსი (ჰოლანდია) 1:0 |
| 1989 | ბარსელონა (ესპანეთი) — სამპდორია (იტალია) 2:0 |
| 1990 | სამპდორია (იტალია) — ანდერლეხტი (ბელგია) 2:0 |
| 1991 | მანჩესტერი (ინგლისი) — ბარსელონა (ესპანეთი) 2:1 |
| 1992 | ვერდერი (გერმანია) — მონაკო (საფრანგეთი) 2:0 |
| 1993 | პარმა (იტალია) — ანტვერპენი (ბელგია) 3:1 |
| 1994 | არსენალი (ინგლისი) — პარმა (იტალია) 1:0 |
| 1995 | სარაგოსა (ესპანეთი) — არსენალი (ინგლისი) 2:1 |
| 1996 | პსჟ (საფრანგეთი) — რაპიდი (ავსტრია) 1:0 |
| 1997 | ბარსელონა (ესპანეთი) — პსჟ (საფრანგეთი) 1:0 |
| 1998 | ჩელსი (ინგლისი) — შტუტგარტი (გერმანია) 1:0 |

### უეფას თასის ყველა ფინალი

UEFA CUP

| | |
|---|---|
| 1958 | ბარსელონის ნაკ. (ესპანეთი) — ლონდონის ნაკ. (ინგლისი) 2:2, 6:0 |
| 1959 | არ გათამაშებულა |
| 1960 | ბარსელონა (ესპანეთი) — ბირმინგემი (ინგლისი) 1:1, 4:1 |
| 1961 | რომა (იტალია) — ბირმინგემი (ინგლისი) 2:0, 2:2 |
| 1962 | ვალენსია (ესპანეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) 6:2, 1:1 |
| 1963 | ვალენსია (ესპანეთი) — დინამო (იუგოსლავია) 2:0, 2:1 |
| 1964 | სარაგოსა (ესპანეთი) — ვალენსია (ესპანეთი) 2:1 |
| 1965 | ფერენცვაროში (უნგრეთი) — იუვენტუსი (იტალია) 1:0 |
| 1966 | ბარსელონა (ესპანეთი) — სარაგოსა (ესპანეთი) 0:1, 4:2 |
| 1967 | დინამო (იუგოსლავია) — ლიდსი (ინგლისი) 2:0, 0:0 |
| 1968 | ლიდსი (ინგლისი) — ფერენცვაროში (უნგრეთი) 1:0, 0:0 |
| 1969 | ნიუკასლი (ინგლისი) — უიპეშტ დოჟა (უნგრეთი) 3:0, 3:2 |
| 1970 | არსენალი (ინგლისი) — ანდერლეხტი (ბელგია) 1:3, 3:0 |
| 1971 | ლიდსი (ინგლისი) — იუვენტუსი (იტალია) 1:1, 2:2 |
| 1972 | ტოტენჰემი (ინგლისი) — ვულვერჰემპტონი (ინგლისი) 2:1, 1:1 |
| 1973 | ლივერპული (ინგლისი) — გლადბახი (გფრ) 3:0, 0:2 |
| 1974 | ფეიენოორდი (ჰოლანდია) — ტოტენჰემი (ინგლისი) 2:2, 2:0 |
| 1975 | გლადბახი (გფრ) — ტვენტე (ჰოლანდია) 0:0, 5:1 |
| 1976 | ლივერპული (ინგლისი) — ბრიუგე (ბელგია) 3:2, 1:1 |
| 1977 | იუვენტუსი (იტალია) — ბილბაო (ესპანეთი) 1:0, 1:2 |
| 1978 | ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ბასტია (საფრანგეთი) 0:0, 3:0 |
| 1979 | გლადბახი (გფრ) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 1:1, 1:0 |
| 1980 | აინტრახტი (გფრ) — გლადბახი (გფრ) 2:3, 1:0 |
| 1981 | იფსვიჩ თაუნი (ინგლისი) — აზ 67 (ჰოლანდია) 3:0, 2:4 |
| 1982 | გიოტებორგი (შვედეთი) — ჰამბურგი (გფრ) 1:0, 3:0 |
| 1983 | ანდერლეხტი (ბელგია) — ბენფიკა (პორტუგალია) 1:0, 1:1 |
| 1984 | ტოტენჰემი (ინგლისი) — ანდერლეხტი (ბელგია) 1:1, 1:1 (პ4:3) |
| 1985 | რეალი (ესპანეთი) — ვიდეოტონი (უნგრეთი) 3:0, 0:1 |
| 1986 | რეალი (ესპანეთი) — კიოლნი (გფრ) 5:1, 0:2 |
| 1987 | გიოტებორგი (შვედეთი) — დანდი იუნაიტედი (შოტლანდია) 1:0, 1:1 |
| 1988 | ლევერკუზენი (გფრ) — ესპანიოლი (ესპანეთი) 0:3, 3:0 (პ3:2) |
| 1989 | ნაპოლი (იტალია) — შტუტგარტი (გერმანია) 2:1, 3:3 |
| 1990 | იუვენტუსი (იტალია) — ფიორენტინა (იტალია) 3:1, 0:0 |
| 1991 | ინტერი (იტალია) — რომა (იტალია) 2:0, 0:1 |
| 1992 | აიაქსი (ჰოლანდია) — ტორინო (იტალია) 1:1, 2:2 |
| 1993 | იუვენტუსი (იტალია) — დორტმუნდი (გერმანია) 3:0, 3:1 |
| 1994 | ინტერი (იტალია) — კაზინო (ავსტრია) 1:0, 1:0 |
| 1995 | პარმა (იტალია) — იუვენტუსი (იტალია) 1:0, 1:1 |
| 1996 | ბაიერნი (გერმანია) — ბორდო (საფრანგეთი) 2:0, 3:1 |
| 1997 | შალკე (გერმანია) — ინტერი (იტალია) 0:1, 1:0 (პ4:1) |
| 1998 | ინტერი (იტალია) — ლაციო (იტალია) 3:0 |

# ძლევაი გასახარი
## ტორპედომ ლომელი დაჩაგრა

იუზა კაციტაძე
ლომელიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

**ინტერტოტოს თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი**

ლომელი
„შტედელიკ შპორტშტადიონი"
5 ივლისი

**ლომელი 0:1 ტორპედო**

პირველი მატჩი

**ლომელი:** მათიასენი, ვან მაელე (ნუტსი 61), ნობენი, ვან კესელი, სეგერსი, ვან ველდჰოვენი, ვალიგორა (დეკელვერი 46), აიაზი, ვინკენი, ბაირაქტარი (ზოუა 46), სიმონსი

**ტორპედო:** გრ. ჭანტურია, ჩხაბერიძე, ი. ვაშაკიძე, მაღლაკელიძე, კ. კვეტენაძე (თურმანიძე 84), შ. ხუჯაძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (ჩხეტიანი 80), ვაჩიბერაძე, კ. მეტრეველი (იონანიძე 63), ჯინჭარაძე

0:1 ვაჩიბერაძე (31)

**გაფრთხილება:** სიმონსი, ჩხაბერიძე, ჩხეტიანი

**მსაჯი:** ი. ლარსენი (დანია)

### სად ლომელი და სად ერებუნი?

ინტერტოტოს გათამაშებაში და, საერთოდ, ევროპულ არენაზე „ტორპედოს" დებიუტი მართლაც რომ სანაქებო გამოდგა. სომხურ „ერებუნისთან" დამაჯერებელი გამარჯვებით ქუთაისელებმა მეორე საკვალიფიკაციო ეტაპისკენ გაიკვლიეს გზა. ინტერტოტოს წინა გათამაშებებს, როცა საწყის სტადიაზე 4-5 გუნდი ჯგუფებში არკვევდა ურთიერთობას და აქედან მხოლოდ უძლიერესი აგრძელებდა ბრძოლას, თავისი მინუსები ახლდა. თუნდაც ის, რომ, ვთქვათ, თუკი გუნდს თავიდან არ გაუმართლებდა, დარჩენილ მატჩებს, ფაქტობრივად, აზრი ეკარგებოდა, მოვალეობის მოხდის მიზნით თუ ტარდებოდა. თუნდაც ფოთელთა მაგალითი გავიხსენოთ. ახლა კი სხვაგვარადაა. ერთი წაფორხილება და, კეთილი ინებე, გათამაშებას ჩამოცილდი. და თუ იმარჯვე, იცოდე, მომდევნო მეტოქე წინაზე ძლიერი იქნება. ტორპედოელთა ახალი მოწინააღმდეგის წინანდელთან შედარება ოდნავადაც არ შეიძლება. სად „ლომელი" და სად „ერებუნი"? მართალია, ბელგიის სამეფოს ლიმბურგის პროვინციის 30-ათასიანი ქალაქის გუნდს აქამდე ციდან ვარსკვლავები არ უკრეფია და ვერც ეროვნულ ჩემპიონატში მიღწეულით დაიკვეხნის, მაგრამ, არც ისე ხელწამოსაკრავია. სხვა თუ არა, შარშანდელ გათამაშებაში ლომელელები მეხუთეზე გავიდნენ და ბევრი ცნობილი კლუბი ჩამოიტოვეს უკან. ბოლო ჩემპიონატშიც, „ლომელი" თუმც მხოლოდ მეათე იყო, ბევრი გამწარა, რამდენიმე შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა, ვიცე-ჩემპიონ „გენკსაც" ადინა ბდღვირი და ექს-ჩემპიონ „ლიერსსაც", თანაც, ამ უკანასკნელს სტუმრად. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ თვენახევრის წინ დასრულებული გუნდის უკუსვლა უფრო ერთი მიზეზით შეიძლება აიხსნას — არასტაბილური თამაშით, ვინაიდან „ლომელს" არც გამოცდილება აკლია, არც კარგი ფეხბურთელები, მათ შორის ლეგიონერები და სხვა პრობლემებიც ნაკლებად აწუხებს.

ეს კლუბი თავისი შესაძლებლობებით ბელგიურ გრანდებს, ეგებ, ვერ უტოლდებოდეს, მაგრამ არც ბევრად ჩამოუვარდება. „ლომელის" მეპატრონე და მთავარი დამფინანსებელი ვან დეიკი სულ იმის ცდაშია, იგი ელიტარულ კლუბად აქციოს. მთავარიც, ალბათ, ეს არის. იგი ბიზნესმენი გახლავთ.

### შორი გზა მოიარე

სამწუხაროდ, წინასამატჩო პერიპეტიებზე ბევრს ვერაფერს გეტყვით. სარედაქციო დავალება ფაქტობრივად ვერ შევასრულე და თუ მაინც შევასრულე, მხოლოდ ნაწილობრივ.

ქუთაისელები, როგორც იცით, ბელგიას ოთხშაბათს გამოემგზავრნენ. „ტორპედოს" პრეზიდენტმა ბესიკ ჯიქიამ ასე ამჯობინა და, რა თქმა უნდა, მართალი გახლდათ. ოთხი დღე საკლიმატიზაციოდ ნამდვილად არ იყო ცუდი და გუნდს თუ წაადგებოდა მხოლოდ. ეს მე და ჩემს თანამგზავრს, ქუთაისელ კაცს მალხაზ ასათიანს გვეკითხა, თბილისიდან შაბათს რომ გამოვფრინდით. მე პირადად იმის დიდი იმედი მქონდა, რომ მკითხველს საორშაბათოდ თავისთავად, მაგრამ კვირისთვისაც მივაწვდიდი ოპერატიულ ინფორმაციას... ღმერთია მოწმე, ყველაფერი ვილონეთ ბელგიაში დროულად რომ ჩავსულიყავით. ვერ შევძელით. მაინის ფრანკფურტში შუადღისას კი ვიყავით, მაგრამ ბედი არ გინდა? იღბალი არ გვქონია. ვინ არ დავიხმარეთ, ყველაფერი მივიკითხმოვიკითხეთ, მაგრამ მაინც ვერას გავხდით. ანტვერპენში, სადაც „ტორპედო" გვეგულებოდა, უკეთეს შემთხვევაში, 5-ში დილით ანუ მატჩის დღეს გვიწევდა ჩასვლა. სხვა რა გზა გვქონდა? ის იყო, გვიან სალამოსთვის ანტვერპენისკენ მიმავალ მატარებელზე ბილეთების შეკვეთა დავაპირეთ, რომ ბესიკ ჯიქია ფრანკფურტამდე ჩვენთან ერთად ნამგზავრ ნაცნობებს ტელეფონით შეეხმიანა: „ტორპედო" ლომელში არისო. მაშინ იყო, აეროპორტის რეისბიუროში ახალი ვარიანტი რომ შემოგვთავაზეს. ეინდჰოვენში(?!) ჩადით და იქიდან ლომელში უფრო მალე ჩააღწევთო. ეინდჰოვენი, კარგად მოგეხსენებათ, ჰოლანდიაშია. სხვა გამოსავალი არ გვქონდა და თავაზიანი ფრაუს წინადადება მივიღეთ.

სამი მატარებელი გამოვიცვალეთ, კიოლნში, მიონხენგლადბახში, ექვსიოდე საათში ეინდჰოვენში ამოვჩნდით. იქ რაც ვნახეთ, ნუ იკითხავთ. ჩვენს დასახვედრად არა და მთელი ქალაქი ქუჩაში გამოსულიყო. თუ რატომ, ძნელი მისახვედრი არ გახლდათ. ხალხი ნარინჯისფერთა არგენტინასთან გამარჯვებას ზეიმობდა. დიდი თუ პატარა „ჰოლანდს, ჰოლანდს" გაიძახოდა, დროშებს აფრიალებდა. დიდებული სანახობა იყო. ნეტავ ჩვენ როდის გველირსება ასეთი? ისე, დაბოლმილებიც ჩანდნენ აქა-იქ რა თქმა უნდა, გერმანელები იქნებოდნენ. ამის ცქერა ერთ რამედ ღირდა, მაგრამ ჩვენი გვიჭირდა და გზა გავნაგრძეთ.


ზაზა ვაჩიბერაძემ „ერებუნისთან" ექვსთაგან ერთ-ერთი გოლი რომ გაიტანა გუშინ „ტორპედოს" ბელგიაშიც მოაგებინა

ეინდჰოვენიდან ლომელამდე მართლა ახლო ყოფილა. სულ რაღაც 35 კილომეტრი. სასაზღვრო პუნქტამდე ავტობუსით ვიმგზავრეთ. აქ მთელი საათი ტაქსის უნაყოფო ძებნაში დავკარგეთ. ქუჩაში შემთხვევით გაცნობილმა ბელგიელმა ქალბატონებმა გვიხსნეს. გრეტა და მადლენი ლომელელები აღმოჩნდნენ, „ოპელში" ჩაგვსვეს და „ტორპედოს" ადგილსამყოფელს უმალ მიგვაგნებინეს — ლომელის ცენტრში მდებარე სამსართულიან კომფორტულ ოტელ „პრინცს" რომ მივადექით, ღამის სამ საათს გადაცილებული იყო.

### სოსოს არ ეძინა

ჩვენები ძილს მისცემოდნენ. ყველანი სოსო ფრუიძის გარდა. ერთი საათიც მის ნომერში დავყავით, ამბავი გამოვკითხეთ.

— 1-ში ფრანკფურტის აეროპორტში ავტობუსი დაგვხვდა და ანტვერპენში ჩაგვიყვანა. ქალაქიდან 8 კილომეტრის მოშორებით სპორტულ ბაზაზე დავბინავდით. სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ აქ მოსკოვის „დინამო" გაჩერებულა. ადაპტაციისთვის საკმაო დრო გვქონდა. პირობები საუცხოო. რომ იტყვიან, თვალს წყალიც დავალევინეთ. ბელგიელები კეთილი და ყურადღებიანნი ყოფილან. იქვე ვვარჯიშობდით, ორჯერადად. ცოტა ჭანტურიამ შეგვაშინა, სიცხე ჰქონდა. კაიდარაშვილმა ფეხი იტკინა. დანარჩენებს არა უჭირთ. მეტოქეზე ახალი თითქმის არაფერი შეგვიტყვია. კარჩაკეტილად მუშაობენ. ვიცი, მხოლოდ რომ, სათამაშოდ 24 ფეხბურთელი ემზადება. ძველი შემადგენლობიდან რამდენიმე მოთამაშე გაუშვიათ. მათ სანაცვლოდ ახლები შეუძენიათ. „ლომელს" მწვრთნელიც ახალი ჰყავს. ანტვერპენში საქართველოდან წამოსულს ბევრს შეხვდებით. მათ გვითხრეს, „ლომელი" საშუალო დონის გუნდიაო. მალები, ათლეტური აღნაგობისა არიან, მოედანზე ბევრს მოძრაობენ, ნებისმიერი პოზიციიდან ცდილობენ კარში დარტყმას. მოუხეშონიც არიან. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უპირატესობა მათ მხარესაა. ჩვენ ასეთ გუნდთან პირველად გვიწევს თამაში. უნდა ვიბრძოლოთ, სხვა გზა არა გვაქვს. რა გამოვა, წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. სტადიონი მოვინახულეთ, წავივარჯიშეთ კიდეც. მინდორი იდეალურია, არ ვიცი, უკეთესი რა უნდა იყოს. ბელგიაში მხოლოდ ამინდმა შეგვაწუხა. რაც აქ ვართ, მზე არ გვინახავს, სალამოობით საკმაოდ ცივა.

### „ყვავილების ქვეყანააა..."

ლომელში განა მარტო „შტედელიკ შპორტშტადიონის" სათამაშო მინდორია იდეალური, როგორც ვთქვით, აქ 30 ათასამდე მცხოვრებია. ლომელელებს ფეხბურთი მაგრად კი უყვართ, მაგრამ ყველაზე მეტად საკუთარი ქალაქი. ამას ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობთ. სახლია, ეზოა, ქუჩაა, სახელმწიფო დაწესებულებაა, გასართობი ადგილი, რაც გნებავთ, ყველაფერი ისეა მოვლილი, შეგშურდება. „ყვავილების ქვეყანას" ესენი უნდა მღეროდნენ. ლომელი მწვანეშია ჩაფლული. და რამდენი ყვავილები! თანაც, სხვაგან რომ ვერ ნახავთ, ისეთი...

### რა უნდოდა პოლიციას

გაუგებელი მაინც არ დარჩება. ანტვერპენში ბაზაზე ლომელისკენ გამოსამზადებულ „ტორპედოს", თურმე, თავს პოლიცია დასდგომია. ბაზის სარგებლობისთვის კუთვნილი თანხა დაგვიტოვეთ, ისე არ გაგიშვებთო. პოლიცია ტორპედოელებს სიტყვაზე კი ენდო, მაგრამ გირაოდ ჩვენებურთა ფრანკფურტიდან უკან გასაფრენი ბილეთები მაინც დაუტოვებია. ეს ყოველი შემთხვევისთვის. კიდევ კარგი, საკითხი მალე მოგვარდა, თორემ თავი მოგვეჭრებოდა.

### თამაშამდე რაც გავიგე

„შტედელიკს" რომ ვესტუმრეთ, მატჩის დაწყებას საათნახევარი აკლდა. მშვენიერი ნაგებობაა, ძალიან წააგავს საბილიარდო დაფას. ტევადობით დიდი არ არის, სამაგიეროდ სხვას ვერაფერს დაუწუნებ. ხავერდოვანი მწვანე გაზონი ირგვლივ ჭრელა-ჭრულა სარეკლამო დაფებითაა მოჭედილი. ხელოვნური განათებაც გააჩნია, ოღონდ გუშინ საჭირო არ გამხდარა. თამაში 15 საათისთვის დაენიშნათ (შუაევროპული დროით). მატჩს არც ჟურნალისტები დაჰკლებია. ლომელელებიც ბლომად იყვნენ და ანტვერპენიდან, ლიეჟიდან თუ ბრიუსელიდან ჩამოსულებიც. ერთმა გარემოებამ გაგვაკვირვა, მაყურებელი 3 ათასზე მეტი არ იქნებოდა.

ამ ბოლო თვენახევარში „ლომელში" ცვლილებები საკმაოდაა. აწ უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი ვალტერ მეუვსი „ლიერსმა" გადაიბირა. მისი თანამდებობა 42 წლის ლეო კლესტერსს ჩააბარეს. თავის დროზე „ბრიუგეში", „გენკში" და „მეჰელენში" უთამაშია. მერე კი მეორედივიზიონელ „აიზენს" და უმაღლესეშელონელ „გენტს" ედგა სათავეში. ვან დეიკი ამ კაცზე დიდ იმედებს ამყარებს. „ლომელიდან" ექვსი ფეხბურთელი წასულა, დამატებით კი ოთხი დაუმატებიათ. შედარებით ცნობილთაგან გენკელი ბრაზილიელი ვიეირა, სენტტრუიდენელი ვან მაელე და თურქი აიაზი. ჯერ სულ ეს არის, ეტყობა, ჩემპიონატამდე გუნდი კიდევ გაძლიერდება.

### მატჩი

ლომელს ღრუბელი აწვა, მაგრამ არ უწვიმია. ამინდი სათამაშო განწყობას ქმნიდა. დანიელი არბიტრის, წინასწარ ვიტყვი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი იორნ ლარსენის სასტვენი და მასპინძლებმა რიხიანად დაიწყეს. სეგერსმა მარცხენა ფლანგზე კუთხური დაიმსახურა. თავადვე ჩააწოდა, „ტორპედოს" საჯარიმოში ჩასულმა ვეება ნობენმა თაური დაგვასწრო, მაგრამ კარგა გვარიანად აუცდა. მერე იმავე ნობენმა აუტიდან პირდაპირ საჯარიმოში ჩაგვიგდო ბურთი. აქ მას უკვე პარტნიორებმა უმტყუნეს. ბელგიელთა სასტარტო შტურმი, თუ მას შტურმი ერქვა, უნაყოფო გამოდგა. ჩვენებმა მღელვარება შედარებით იოლად გადაიტანეს და, აჰა, მასპინძლებს თავადაც შეუტიეს. მე-6 წუთზე ჯანაშიამ საჯარიმოში ჩააწოდა, ვინკენმა კი არ გარისკა, ბურთს კუთხურისკენ უთავაზა. ოთხი წუთის შემდეგ ჩვენებმა უკვე მწყობრი იერიში განახორციელეს. ჯინჭარაძემ ითამაშა კარგად, „ლომელის" საჯარიმოს სწრაფად მიუახლოვდა და ძლიერადაც დაჰკრა. ბურთი მცველს შეეხო და მისგან ასხლეტილი ოდნავ გადასცდა ხარიხას. ტორპედოელები თანდათან გათამამდნენ, რასაც მეტრეველის მეტად ეფექტური გოლიც მოჰყვა, ოღონდ ეგ იყო, გვერდითმა თამაშგარე აუწია.

მე-16 წუთზე ჩვენებმა მახვილგონივრულად გაითამაშეს საჯარიმო. ხუჯაძემ წინ ჯინჭარაძეს უპასა. პაატა კარგ პოზიციაში აღმოჩნდა, სჯობდა კარში დაერტყა, მაგრამ გადაცემა ამჯობინა და შანსიც გაქრა. 23-ე წუთზე „ლომელის" კაპიტანმა ვან ველდჰოვენმა შორიდან დაარტყა. ჭანტურია უხერხულად გადახტა, თუმცა ბოლო მომენტში მაინც დაფარა ბურთი. ამას ქუთაისელთა სწრაფი კონტრიერიში მოჰყვა. მეგრელაძის 20 მეტრიდან ძლიერად დარტყმული მათიასენმა ძლივს მოიგერია. 27-ე წუთზე პოლონელ ვალიგორასაც არ გაუმართლა. კართან ახლოს იყო, მაგრამ ბურთზე ფეხი აუცდა.

31-ე წუთზე კი ის მოხდა, რამაც „შტედელიკზე" მყოფი ორმოცდაათი ქართველი განუზომლად გაგვახარა. გოლი გავიტანეთ. ნამდვილი. ჯინჭარაძემ ცენტრიდან წამოღებული ბურთი ჯანაშიას დაუტოვა, დათო ბელგიელთა საჯარიმოში მარჯვენა ფრთიდან შევიდა და თითქმის კარის ხაზიდან, ასე 15-მეტრიანი გადაცემა გაუკეთა საპირისპირო მხარეს მყოფ ვაჩიბერაძეს. ზაზამაც იმარჯვა, ვან კესელს დაასწრო და პირდაპირ მარჯვენა ცხრიანში ჭედა. ბელგიელები ერთხანს მთლად აიჭრნენ, ამას ნამდვილად არ მოელოდნენ და კინაღამ მეორეც გაუშვეს. სამი ქუთაისელი ორი მასპინძელი მცველი წინააღმდეგ დარჩა. ჯანაშია ბურთით მარჯვნიდან უტევდა, მარცხნიდან მეგრელაძე, ცენტრში მეტრეველი თხოულობდა პასს. დათომ თავად დაარტყა კარისკენ და ააცილა. კაცმა რომ თქვას, მეტრეველი ამ დროს მცველებს უსწრებდა და ჯანაშიას მისთვის რომ მიეცა, არბიტრი, ალბათ, ოფსაიდს დააფიქსირებდა. 43-ე წუთი. ამჯერად მეტრეველი ხელსაყრელი ადგილიდან ურტყამს. არ უმართლებს. ბურთმა ძელთან ჩაიქროლა.

ადვილი წარმოსადგენია, რაც შესვენებისას ბელგიელთა ბანაკში ხდებოდა. ცხადი იყო, ისინი მარცხს არ შეურიგდებოდნენ და თამაშსაც სხვაგვარად წარმართავდნენ. ბენილუქსელები ტექნიკასთან არიან მწყრალად, თორემ თეორეტიკოს-ტაქტიკოსებად დიდი ხანია ითვლებიან. ლეო კლესტერსმა პირველ ტაიმში ტორპედოელი მცველების მიერ გუნდს მოკვეთილი წინახაზელები ვალიგორა და ბაირაქტარი დაასვენა სათადარიგოთა სკამზე. მათ ნაცვლად გამოსულმა ზოუამ და დეკელვერმა მართლაც გამოაცოცხლეს „ლომელის" თამაში. მეორე ტაიმის დაახლოებით 20 წუთი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. ეს იმ გაგებით, რომ ისინი უფრო ხშირად უტევდნენ, „ტორპედო" კი უმეტესად თავს იცავდა, მაგრამ ისე გონივრულად, რომ ლომელელთა აქტიურობა, როგორც წესი, წყალში იყრებოდა. ჩვენთვის ყველაზე სახიფათო ისევ ის ნობენი და საკმაოდ სწრაფი და ტექნიკური ალჟირელი ზოუა იყვნენ. ესენი სხვებს გაცილებით სჯობდნენ, ძალებს არ ზოგავდნენ, ოღონდ ეხეირათ. დრო გადიოდა, „ტორპედო" საკეთებელს აკეთებდა. დინჯად იგერიებდა მასპინძელთა მასირებულ, მაგრამ მოუფიქრებელ იერიშებს. 78-ე წუთზე მეორეც ნაღდად უნდა გაგვეტანა. ჯანაშიამ რეაქტიული სისწრაფით ლამის ლომელელთა მთელი ნახევარი გადასერა, ბოლოს დარტყმაც მოახერხა, მაგრამ კუთხე იყო მახვილი და კარს რაღაც სანტიმეტრებით ააცილა. მსაჯმა ექვსი წუთი დაამატა. „ლომელს" ამანაც არ უშველა. ეს კი არა, კიდევ ერთი რეალური შანსი გავუშვით ხელიდან. მასპინძელთა მეკარემ საჯარიმოს გარეთ თავით ითამაშა, ბურთი ვაჩიბერაძეს ჩაუვარდა. მანაც უმალ კარისკენ დაარტყა, 40 მეტრი მაინც იქნებოდა და მიზანს ვერ მოახვედრა.

ასე დასრულდა ქუთაისელთა ბენილუქსში ყოფნა. დასრულდა სასახელოდ. „ტორპედომ" ერთხელაც გაგვახარა. მაგრამ თავს ნუ დავიმშვიდებთ. წინ საპასუხო მატჩია და ბელგიელთა ამბავი ხომ იცით, ეშმაკუნებს ტყუილად როდი ეძახიან. ქუთაისშიც ვაჯობოთ უცხოელებს და... მერე იქნებ „ვერდერიც"...

### მატჩის შემდეგ

*ლეო კლესტერსი:* არ მეგონა, „ტორპედო" თუ ასე კარგი გუნდი იქნებოდა. მშვენიერად ითამაშა. ტექნიკური, შეკრული გუნდია. კარგი ფეხბურთელები ჰყავს. ყველამ ითამაშა, მაგრამ მე №20-ს (მეტრეველი) და №9-ს (ჯანაშია) მაინც გამოვყოფდი. სიამოვნებით ვიხილავდი მათ ჩემს გუნდში. უძლიერესი შემადგენლობით არ გვითამაშია. ბევრი გვაკლდა. ბრაზილიელი ვიეირა ავადმყოფობს და ქუთაისშიც ვერ ჩამოვიყვანთ. ასევეა ეშუნიც. მარცხის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ვარჯიში ახალი დაწყებული გვაქვს. გუნდი მოუმზადებელია, სტუმრად ძალიან გაგვიჭირდება. ვიცი, სომხებს 6:0 მოუგეთ. გავიგე, თქვენში სიცხეც იცის. შანსი ცოტაა, მაგრამ უიმედოდ მაინც არ ვართ. პარასკევს გესტუმრებით.

*სოსო ფრუიძე:* ჩვენი ამოცანა იყო რაც შეიძლება დიდხანს დაგვეჭირა ბურთი. საქმეს თავი გავართვით. „ლომელმა" ვერაფერში გვაჯობა, თავით თამაშშიც კი. მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ახლა ორი ტაიმი ქუთაისში გვაქვს. ყველაფერი მაშინ გაირკვევა. ისე, ბიჭების მადლობელი ვარ. თავდადებით იბრძოლეს.

# მოსკოვშიც მოგებათა იმედით

11-დან 19 ივლისის ჩათვლით მოსკოვში მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშები გაიმართება, რომელშიც საქართველოდან ოთხმოცკაციანი დელეგაცია მიიღებს მონაწილეობას. მოასპარეზეთა შორის საქართველოს 18-წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ნაკრებიცაა, რომელსაც ვახტანგ კოპალეიშვილი უდგას სათავეში. ჩვენი ფეხბურთელები ლაგოდეხში ემზადნენ. ხვალ ათ საათზე კი მოსკოვს მიფრინავენ. გამგზავრების წინ ბატონ ვახტანგს გავესაუბრეთ.

**— რა პრობლემები გაქვთ შემადგენლობაში?**

— ამ მხრივ თითქმის ყველაფერი ისეა, როგორც გვსურდა. მხოლოდ მეკარე ბობოხიძე გამოგვაკლდა ტრავმის გამო და ამან გარკვეული ცვლილებები გამოიწვია შემადგენლობაში.

**— ამავე ასაკის ნაკრებმა, პორტუგალიაში ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებში გაიმარჯვა. მაშინდელი გუნდიდან რამდენი ფეხბურთელი შემოგრჩათ?**

— პორტუგალიაში გამარჯვებულთაგან ნაკრებში ახლა ოთხი კაცია — მეკარე ჯოლოხავა, საჯაია, დეკანოსიძე, ხუროძე.

**— ვისთან მოგიწევთ პაექრობა ჯგუფში და როგორი კალენდარით?**

— ოლიმპიადაზე თექვსმეტი გუნდი მონაწილეობს. უკვე შედგა ოთხი ოთხგუნდიანი ჯგუფი, რომელთაგანაც ორ-ორი საუკეთესო გავა შემდგომ ეტაპზე და ოლიმპიური სისტემით გააგრძელებს ასპარეზობას. ჩვენს ჯგუფში ამერიკელები, პოლონელები და თურქები მოხვდნენ. რვაში ამერიკელებს ვხვდებით, ათში — პოლონელებს, თორმეტში — თურქებს.

**— მოდით, ეს თაობა და წინამორბედებს შევადაროთ**

— იმ ბიჭებმა წინა ოლიმპიადა არა მარტო ნიჭით და ტექნიკური მონაცემებით მოიგეს, არამედ უდიდესი ჟინითა და მონდომებით. ნიჭიერებას ვერც ამათ დაუწუნებს კაცი, საჭიროა მოინდომონ და ვგონებ, შეძლებენ წარმატების მიღწევას.

**— როდის დაბრუნდებით?**

— საქართველოში ახალგაზრდული თამაშების საზეიმო დახურვის მეორე დღესვე, 20 ივლისს გადმოვფრინდებით.

მოსკოვში საქართველოს 18 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს: ჯოლოხავა და ბაბუნაშვილი, საჯაია, თავბერიძე, ხიზანეიშვილი, ხიზანიშვილი, კანდელაკი, სვანაძე, ხუროძე, დეკანოსიძე, ადამია, ქადაგიძე, წუწუნავა, გოცირიძე, შენგელია, ქანთარია.

**ხვიჩა სანიკიძე**

# შელო

ქართული ფეხბურთი არასოდეს მოისაკლისებდა მაღალი დონის მცველებს. სსრკ ნაკრების არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე მის უკანა ხაზს ყოველთვის ამაგრებდა ერთი ქართველი მცველი მაინც. განსაკუთრებით ქართულ წყვილებს უადვილდებოდათ დერჟავის კარის უსაფრთხოების დაცვა. ხურცილავა — ჩოხელი, ხურცილავა — ძოძუაშვილი, ჩივაძე — სულაქველიძე, ჭედია — კეტაშვილი — ამ ტანდემებმა თავიანთი ორიგინალური კვალი დატოვეს სსრკ-ის პირველი, ოლიმპიური თუ ახალგაზრდული ნაკრებების ისტორიაში. ხურცილავას, ჩოხელს, ჩივაძეს და ჭედიას ნაკრებების კაპიტნობის პატივიც ხვდათ წილად. ეს ყოველივე თავისთავად მიუთითებს ქართველი მცველების კლასზე, მათ უდავო ოსტატობაზე.

ეს შემთხვევითი არ გახლდათ და მიზეზიც მხოლოდ ჩვენი მცველების თანდაყოლილ ნიჭიერებაში არ უნდა ვეძებოთ. საქმე ის იყო, რომ მათ ვარჯიშებზე ყოველდღიურად უხდებოდათ ტექნიკური ქართველი თავდამსხმელებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. მესხის, მეტრეველის, ბარქაიას, სიჭინავას, ყიფიანის, გუცაევის ილეთების შემყურე მცველს ასი თვალი



გადრი კეთილაძის ფოტო

მურთაზ შელიას სიხარულიანი დღეები ჯერაც წინ აქვს

და ყური უნდა გამოება, რათა ამ ილეთების საწინააღმდეგო საშუალებები გამოეძებნა. ამგვარად ნაწრთობი ჩვენი მცველები შემდგომში შედარებით ადვილად უმკლავდებოდნენ რომელიც გნებავთ ქვეყნის ვარსკვლავებს და მათი შეუვალი ავტორიტეტიც ქვეყნის პირველ გუნდში ძირითადად ამ მიზეზით იყო განპირობებული.

მაგრამ ეს წარსულში ხდებოდა. ამჟამად მოქმედი ქართველი მცველებიდან ხუთიოდე კაცი თუ მოიძებნება, ვისაც სსრკ პირველობაზე ან რომელიმე ნაკრებში უხდებოდა გამოსვლა. ამჟამად მოქმედ ქართველ მცველებს საქართველოს ნაკრების კარის უსაფრთხოება ევალებათ.

ჩვენი ნაკრების ისტორია სულ რვა წელიწადს ითვლის. ამ ხნის განმავლობაში მორიგი ქართველი დუეტი — კახი ცხადაძე და მურთაზ შელია ვიხილეთ. დღევანდელი ჩვენი წერილის გმირიც ამ დუეტის ერთ-ერთი წარმომადგენელი მურთაზ შელიაა.

საერთოდ, როცა მურთაზისა და მისი თაობის წარმომადგენლების შესახებ ვსაუბრობთ, არ ეგების რევაზ ძოძუაშვილის ამაგის დავიწყებაც. სწორედ მიხიჩას ხელში დაფრთიანდნენ ყოფილი „იბერიის“ წამყვანი ფეხბურთელები — ის ბიჭები, ვინც ახლა ეროვნული ნაკრების ხერხემალს შეადგენენ. შელიაც ძოძუაშვილმა მოიწვია თბილისში და დიდ ფეხბურთს აზიარა.

ქართულ ფეხბურთს სხვათაგან ყოველთვის რბილი, ტექნიკური მანერა გამოარჩევდა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, ნომინალურად რა ფუნქციას ასრულებდა ფეხბურთელი — მცველი იყო ის თუ თავდამსხმელი — ბურთთან და ტექნიკასთან მიმართებაში ქართველ მოთამაშეებს ყველაფერი რიგზე ჰქონდათ. აი, მურთაზ შელია ამ მხრივ სრულიად განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობს. ძნელია, მთელი მისი კარიერის მანძილზე გაიხსენო შემთხვევა, როცა მურთაზი ტექნიკის დემონსტრირებას ახდენს. ფაქტია, ტექნიკა არასდროს არის ზედმეტი ფეხბურთელისთვის, მაგრამ შელია შემკულია სხვა უმნიშვნელოვანესი ღირსებებით, რომელთა მეოხებითაც იგი ამჟამინდელი ეროვნული ნაკრებისთვის შეუცვლელია. ბრძოლა — აი, სიტყვა, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს მურთაზ შელიას ნამდვილ სახეს. თანამედროვე ფეხბურთი კი პირველიდან ბოლო წუთამდე ბრძოლაში მიმდინარეობს და შელიასდარი ფეხბურთელების გამოჩენაც დროის აუცილებლობით უნდა იყოს ნაკარნახევი. თამაშის ხისტი მანერა და ათლეტური მონაცემები საშუალებას აძლევს მას, გაუვალ ჯებირად აღიმართოს მაღალი კლასის ოსტატების წინაშე. არადა, რა ჯურის და დონის ვარსკვლავი გნებავთ, შელია რომ არ შეხვედროდეს მოედანზე. შირერი, ფერდინანდი, ვიერი, კაზირაგი, ბაჯო, შერინგემი, კლინსმანი, მიოლერი, სტოიჩკოვი, კოსტადინოვი, ბალაკოვი, რავანელი... დამეთანხმებით, შთამბეჭდავი ნუსხაა, თუმცა არასრული, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. რას ნიშნავს თანამედროვე ქართულ ფეხბურთში შელიას პიროვნება, ეს „ტიროლი“ — „დინამოს“ ავსტრიულმა მატჩმა დაადასტურა — გეხსომებათ, თბილისში გაძევებული შელიას შემცვლელი ვერ მოიძებნა, შესაბამისად ჩვენი გუნდის უკანა ხაზი მოიშალა და „დინამომ“ 1:5 წააგო. დიახ, მურთაზ შელია ამჟამად შეუცვლელია.

იგი წინა ცენტრალურ მცველს თამაშობს. ამ ფუნქციის მოთამაშეებს „კაცზე თამაში“, ე.ი. პერსონალური დაცვა ევალებათ. შელია არ შემოისაზღვრება მოედნის რომელიმე მონაკვეთზე თამაშით. მისთვის სტადიონი ერთი მთლიანი, ბრძოლის ველია და საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა, სად იმყოფება — იგი იბრძვის გამეტებით წინაც და უკანაც, მიწაზეც და ჰაერშიც.

შელია არა ჰგავს ანგარიშიან, ცივი გონების მქონე ფეხბურთელებს. თამაშის პროცესში მისთვის უცხოა ჯანის, ენერგიის, ნერვების დაზოგვა. რაც მისი თამაში მახსოვს და ვუცქერ, უგულოდ, აზარტის გარეშე მოთამაშე მურთაზ შელია არ მინახავს. აქედან გამომდინარე, ტრავმებიც ხშირია მის კარიერაში — ვინც ბრძოლას არ ერიდება, ხშირად შავდება, მაგრამ ფეხბურთელი იმტომაცაა ფეხბურთელი, ტრავმის არ შეეშინდეს და გუნდის ინტერესებისთვის ყველაფერი ბოლომდე გაიღოს.

შელიას ტექნიკა რომ დახვეწას მოითხოვს, ამაზე უკვე ვისაუბრეთ. მას ბუნებამ არც გამორჩეული სისწრაფე უწყალობა, ეს კი თანამედროვე ფეხბურთში მნიშვნელოვანი კომპონენტია და ჭკვიანი მცველი თავისი ნაკლის კომპენსაციას ძირითადად სწორი, პოზიციური თამაშის ხარჯზე ახდენს. მურთაზსაც ვერავინ დაუწუნებს პოზიციურ სიძლიერეს. ერთიორი გამონაკლისის გარდა, იგი ყოველთვის დგას იქ, სადაც გუნდს სჭირდება და სადაც უნდა იდგეს. დამერწმუნებით, სწორი პოზიციური თამაშის გარეშე გრანდების წინააღმდეგ ბრძოლა უბრალოდ შეუძლებელია.

შელია არ მიეკუთვნება იღბლიან ფეხბურთელთა რიგებს და მიუხედავად ამისა, მის კარიერას მაინც აღმავალი უნდა ეწოდოს. უბრალო ოჩამჩირელი ფეხბურთელი ორიოდე სეზონის განმავლობაში „დინამოს“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურად იქცა და მერე სხვა ქვეყნების ჩემპიონატებშიც მოსინჯა შესაძლებლობები. „საარბრიუკენი“, „ალანია“, „სიტი“ — შელია ყველგან ღირსეულად იბრძოდა.

„ალანიური“ პერიოდი მურთაზ შელიას კარიერაში უმნიშვნელოვანესად უნდა ჩაითვალოს. მას თავად ფეხბურთელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შემდგომი კარიერისთვის. „ალანია“ ჩემთვის ტრამპლინად იქცევა“ — განაცხადა მან ოსურ გუნდში რამდენიმე წარმატებით ჩატარებული მატჩის შემდეგ. წესით ასეც უნდა მომხდარიყო. მართალია, „ალანია“ საქართველოსაზე უფრო მაღალი დონის ჩემპიონატის წამყვან გუნდად ითვლება, ჩვენი „დინამოსი“ არ იყოს, საერთაშორისო სარბიელზე ვერაფრით იწონებს თავს აგერ უკვე რამდენიმე წელია და რა ბედენაა ფეხბურთელისთვის ქართულ ქვაბში იხარშება თუ რუსულში. ერთი ადგილის ტკეპნა არც „ალანიაში“ არგებდა შელიას ოსტატობის ზრდას. მით უმეტეს, გლაზგოს „რეინჯერსთან“ გამანადგურებელი მარცხის შემდეგ ვალერი გაზაევს ერთი ხანი ქართველ ფეხბურთელებზე გული აუცრუვდა. რუსული ჟურნალ-გაზეთებისთვის მიცემულ ინტერვიუებში იგი ამ მარცხის ძირითად მიზეზად „ალანიას“ ქართველ მცველებს თვლიდა. ძნელია, როცა გუნდი 2:7-ს აგებს, მისი რომელიმე ფეხბურთელი გაამართლო, მაგრამ ამგვარი ანგარიშით წაგება გუნდის მარტო დაცვა კი არ თამაშობს ცუდად, არამედ მთელი გუნდი და ვერც მწვრთნელია თავის სიმაღლეზე. მიუხედავად ოსური გუნდის არასტაბილური თამაშისა, მისი წინა ცენტრალური მცველი სტაბილურად იდგა მოწოდების სიმაღლეზე. შელია მარტო თავისი ფუნქციით როდი იფარგლებოდა, იგი შეტევებშიც ხშირად ერთვებოდა და რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი შედეგიანი მცველის სახელიც დაიგდო. ამას სიმბოლურ ნაკრებებში მისი ხშირი მოხვედრაც ადასტურებს.

„ალანიას“ მერე მურთაზი ქართული ფეხბურთისთვის ბოლოდროინდელ ჭირად ქცეულ „სიტიში“ გადაბარგდა. ამ წერილისთვის საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა, თავისი ისტორიის რა ეპოქაშია ახლა მანჩესტერელთა ერთ დროს სათაყვანებელი გუნდი. ინგლისის ნებისმიერი დივიზონი ხელწამოსაკრავი არავისთვისაა და ის, რომ შელია „სიტიში“ მისვლისთანავე სულაც გულშემატკივართა და სპეციალისტთა ყურადღების არეში მოექცა, საკვირველი არაა. მურთაზმა ინგლისშიც მოახერხა გოლის გატანა და არც წმინდად ინგლისელებისთვის დამახასიათებელ, თითქმის ხელჩართულ ორთაბრძოლებში შეურცხვენია თავი. არავინ იცის, როგორ წარიმართება შელიას შემდგომი კარიერა, მაგრამ ან „სიტი“ აღზევდება, ანაც შელიასდარ მცველს არავინ დააყოვნებს მესამე დივიზიონში.

საზღვარგარეთი საზღვარგარეთად, მაგრამ ჩვენთვის ეროვნული ნაკრებია ყველაზე მნიშვნელოვანი. ეროვნული ნაკრები — ჩვენი ყველაზე დიდი იმედი და სიხარული...ჩვენი ოცნება რეალობად შელიამ და მისმა თანაგუნდელებმა უნდა აქციონ. წინ ნორვეგიასთან, საბერძნეთთან, სლოვენიასთან მატჩები გველის — სრულიად განსხვავებული ტაქტიკისა და ორგანიზაციის გუნდებთან — ჰოდა, შელიასა და კომპანიასაც ამ განსხვავებულ მანერაზე გადაწყობა მოუწევთ. თუ ნორვეგიასთან ჰაერში ვიბრძოლებთ, ბერძნებს სისწრაფის ხარჯზე არ უნდა ჩამოვრჩეთ და ვინც იცის, კიდევ რამდენი პრობლემა ელის ჩვენს მრავალტანჯულ დაცვის ხაზს.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში აღარავინ მოსთხოვს მურთაზ შელიას წინ წასვლას და გოლის გატანას. მას უფრო ჩვეული რამ — საკუთარი კარის დაცვა დაევალება და აქ გამოჩნდება შეძლებს თუ არა იგი ფლოების, მახლასის თუ სხვების დამორჩილებას მოედანზე. არადა, პოტენცია გაგვაჩნია. არ უნდა დაგვავიწყდეს გაწბილებული ვიერი და კომპანია, სიგიჟემდე გაცოფებული სტოიჩკოვი, ხანდახან დაჩაგრული კლინსმანიც და გამარჯვებაც მოვა.

მებრძოლი ფეხბურთელებისადმი დიდი სიმპათიების გამო კიდევ დიდხანს გავაგრძელებდით მურთაზ შელიას ღირსებების შესახებ (არც ნაკლი გამოგვრჩება) საუბარს, მაგრამ... ყველაფრის ერთ წერილში ჩატევა შეუძლებელია. დასასრულს გვსურს, ერთი ეპიზოდი გაგახსენოთ. ეს ბულგარეთის ნაკრებთან თბილისური მატჩის დროს მოხდა. ჩვენი ნაკრების დიდებული თამაშით და წინააღმდეგობით გაგიჟებულმა სტოიჩკოვმა ვინ იცის, მერამდენედ ვერ შეიკავა თავი და გოგიჩაიშვილს პირდაპირ მუშტები ჩასცხო ზურგში. შელიამ მიატოვა თავისი ადგილი, სტოიჩკოვს მიუახლოვდა და მძლავრად დაეჯახა მხრით. ჭირვეული ბალკანელი მოცელილივით დაეხეთქა გაზონზე. მსაჯმა ყვითელი ბარათი კი უსახსოვრა მურთაზს, მაგრამ იმ წუთში შელია მართალი იყო, ბულგარელებს ფეხბურთიც მოვუგეთ და ბრძოლაც. მწვანე მინდორზე რიდი არ არსებობს, იგი თავიდან ბოლომდე ჟინით, ბრძოლითა და ფეხბურთითაა გაჟღენთილი. მურთაზ შელიაც ჟინის, ბრძოლისა და ფეხბურთისთვისაა გაჩენილი.

ვინ იცის, კიდევ რამდენი გრანდი ესტუმრება ეროვნულ სტადიონს. მურთაზმაც ძველებურად უნდა იბრძოლოს. მწვანე მინდორზე ავტორიტეტები არ არსებობენ. ყველაზე დიდი ავტორიტეტი ქართველი მაყურებელია და გვჯერა, შელიაც არაერთხელ გაახარებს გულშემატკივარს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

## ინტერტოტოს თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

პირველი მატჩები. 4-5 ივლისი

| | |
|---|---|
| ვერდერი — ინკარასი | 4:1 |
| ტურკუ — შინიკი | 0:2 |
| ბობი — ესპანიოლი | 5:3 |
| აბ კოპენჰაგენი — ვორსკლა | 2:2 |
| ზალცბურგი — სენტ გალენი | 3:1 |
| ირაკლისი — ნაციონალი | 3:0 |
| ლომელი — ტორპედო | 0:1 |
| ვოევოდინა — ერებრუ | 2:0 |
| მაკედონია — ბასტია | 1:0 |
| ტვენტე — კონგსვინგერი | 2:0 |
| სამპდორია — ტაურისი | 2:0 |
| სამსუნსფორი — ლუნგბიუ | 3:0 |
| დებრეცენი — ჰრადეც კრალოვე | 0:0 |
| ალთაი — დიოშდიორი | 1:1 |
| ორგრიტე — რუხი | 2:1 |
| ოზეტა — ბალტიკა | 0:1 |

# ხორვატთა გაკვეთილი ქართველებისთვის

## ეროვნულ გუნდში პატრიოტებმა უნდა ითამაშონ

დასაწყისი პირველ გვერდზე

— გერმანელებმა ჩემპიონატის რიტმს ვერ გაუძლეს — გვითხრა ვლადიმერ გუცაევმა — ისინი ორჯერ გადარჩნენ, ჯერ იუგოსლავიას შეუტრიალეს წაგებული თამაში და ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს, მერე კი გაშვებული გოლის შემდეგ მექსიკელები დაჯაბნეს. აი, ხორვატებთან აღარ გაუმართლათ, მათმა ჟინმა, ძალამ, ახალგაზრდობამ თავისი გაიტანა. ვიცოდი, რომ ხორვატია ძლიერი გუნდი იყო, მაგრამ ასეთ დონეს ვერ წარმოვიდგენდი, ნახევარფინალში თამაში ხუმრობა არაა. დანარჩენი ნახევარფინალისტები, ადრევე რომ დაგისახელეთ, ყველანი აგრძელებენ ჩემპიონობისთვის ბრძოლას.

**— ნახევარფინალისტებიდან უპირატესობას რომელს ანიჭებთ?**

— სამივე თითქმის თანაბარი გუნდია. ბრაზილიას, საფრანგეთსა და ჰოლანდიას ვგულისხმობ. ფრანგები ზიდანის დაბრუნებამ მნიშვნელოვნად გააძლიერა, მათი თამაში დალაგდა, უფრო გონივრული გახდა. ჯორკაეფი არაა ზიდანის დონის ფეხბურთელი და ვერც აკეთებდა გამთამაშებლის საქმეს. იტალიასაც დამსახურებულად მოუგეს. ჰოლანდიას ძალიან ძლიერი თავდასხმა ჰყავს, ბერხკამპის, ოვერმარსისა და კლუივერტის გაჩერება, ვფიქრობ, ძალიან ძნელია. ბრაზილიის სიძლიერე ყველას მოეხსენება, მაგრამ ერთი უეჭველი ნაკლი აქვს — დაცვა. ბაიანომ და ალდაირმა, ვეჭვობ, ჰოლანდიელ ფორვარდებს რამე მოუხერხონ, მით უმეტეს, რომ კაფუ და რობერტო კარლოსი ხშირად უკან ჩასვლას ვერ ასწრებენ, ძირითად დროს თავდასხმაში ატარებენ. ჩემი აზრით, ხორვატიამ თავისი მაქსიმუმი გააკეთა. ამ სამეულიდან კი საფრანგეთს გამოვარჩევდი, რაც უნდა იყოს, შინაური კედლების ამბავი ხომ იცით.

**— არგენტინა — ინგლისის მერვედფინალზე განსაკუთრებით მსურს გკითხოთ. ადრინდელ ინტერვიუში ინგლისს ხომ სხვებზე მეტი ყურადღება დაუთმეთ.**

— ინგლისი პირველივე მატჩიდან მომეწონა. კარგა ხანია, ასეთი შეკრული გუნდი არ ჰყოლიათ. დახვეწილ ფეხბურთს თამაშობდნენ, პრესინგსაც ხშირად მიმართავდნენ და ბურთისართმევასაც თითქმის ყოველთვის კოლექტიურად ცდილობდნენ. მათი სტილის მიმდევარი ვარ, რაღაცით ჰგავს იმას, რისი გაკეთებაც მსურს. ბევრს არ გავაგრძელებ, ძალიან დამწყდა გული, რომ ინგლისისნაირი გუნდი ჩემპიონატს გამოეთხოვა. ნამდვილად მეტი შეეძლოთ.

**— დაცვას მიძალებულ იტალიელთა თამაშზე რას იტყვით?**

— ჩეზარე მალდინი პრაგმატიკოსია. ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა ბურთი არ გაუშვას და ვიერისა და დელ პიეროს, ანაც ბაჯოს ხარჯზე ცდილობს ერთი, კინკილა გოლით გაიმარჯვოს. იტალიელთა ნახევარდაცვას რომ გადავხედოთ, თავდაცვა ყველამ ხუთიანზე იცის. მალდინიმ დი მატეო ამოაგდო შემადგენლობიდან, რადგანაც მას წინ წასვლა სჩვეოდა, მომენტებსაც ჰქმნიდა, მაგრამ მწვრთნელი ასეთ ფეხბურთელებს რატომღაც არ სწყალობს. იტალიელებმა კარგი ფეხბურთის თამაშიც იციან და სახიფათო შეტევაც. მალდინი კი ყველაფერს ივიწყებს. ამიტომაცაა, ხალხს ამ გუნდზე გული რომ გაუცივდა. იტალიელები შეცდნენ, როცა საკი ნაკრებიდან დაითხოვეს. იგი უდიდესი სპეციალისტია, ფაქტობრივად, ახალი ტაქტიკაც მან მოიგონა, როცა გუნდს ორი საყრდენი ნახევარმცველით ათამაშებდა.

**— ახლა კი გერმანელების ხორვატებთან მარცხზე უფრო დაწვრილებით თქვით.**

— მარცხის ძირითადი მიზეზი ფოგტსის არასწორი სელექციაა. მას დიდი დრო ჰქონდა ნორმალური გუნდის შესაქმნელად. გერმანია უზარმაზარი საფეხბურთო ქვეყანაა და კაცი ვერ დამაჯერებს, რომ ფოგტსს უკეთესი ფეხბურთელების მოძებნა გაუჭირდა. მან აქცენტი პირწმინდად გამოცდილებაზე გადაიტანა, ასეთი ხანგრძლივი ტურნირისას კი მარტო გამოცდილების იმედად ვერ იქნები. ერთხელ გაუმართლა, მეორედ, მესამედ კი ველარ. გერმანელებს სიმხნევე აკლდათ, ოცდაათს გადაცილებულ ფეხბურთელთა აღდგენით პროცესს ხომ გაცილებით მეტი დრო მიაქვს, ვიდრე ახალგაზრდებისას. ჰოდა, ხორვატებთან ცოტა დამძიმებულებიც ამიტომ ჩანდნენ. მგონი, ფოგტსი თავის ამბიციას მეტ ყურადღებას უთმობს. აბა, ეფენბერგის საფრანგეთში წაუყვანლობა იქნებოდა, ანაც მიოლერის სათადარიგოთა სკამს მიწებება? ორივე ხომ უძლიერესი ფეხბურთელია, ფოგტსმა კი ეფენბერგს ადრინდელი უსაქციელობა არა და არ აპატია, მიოლერიც აითვალწუნა. რატომ აკეთებს ამას, ნამდვილად ვერ ვხვდები. ბოლო-ბოლო, გერმანიის ნაკრების მწვრთნელი ხარ, ასეთი შეცდომები არ გეპატიება. ჯერ ნაკრები და მერე საკუთარი თავი.

**— ფინალში ვინ წარმოგიდგენიათ?**

— უკვე გითხარით, ძალიან მეეჭვება, ბრაზილიელთა დაცვამ ჰოლანდიელთა წინა ხაზს რამე მოუხერხოს. ჰიდინკის გუნდში ყველაზე ძლიერი რგოლი სწორედ თავდასხმაა, აი, ზაგალოს სუსტი წერტილი კი დაცვაა. რატომღაც მგონია, რომ ჰოლანდია მოიგებს. თუ ვერა და, ეს მაინც ასპროცენტიანია — ბრაზილიელებს მეტად გაუჭირდებათ. მეორე ნახევარფინალზე რაღა ვთქვა, ალბათ, საფრანგეთი გაიმარჯვებს. ხორვატებმა რომ მასპინძლებიც დაამარცხონ, აღარ ვიცი, რაღა ვთქვა, ეგენი ყოფილან, ვინც ყოფილან.

**— ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად ვინ მიგაჩნიათ?**

— ჯერჯერობით კაშკაშა, სხვათაგან გამორჩეული ვარსკვლავი არ ჩანს. არიან ძლიერი ფეხბურთელები, მაგრამ ისეთი არავინაა, თქვა, სხვებს ათი თავით სჯობსო. რონალდოს რომ დიდი პოტენცია აქვს, საკამათო, ვფიქრობ, არავისთვისაა, მაგრამ ჯერ ახალგაზრდაა და სტაბილურად ვერ თამაშობს, რაც მოსალოდნელიც იყო. თუმცა ხანდახან მაინც გაიბრწყინებს. გაიხსენეთ დანიელებთან მატჩი, როგორი გონივრული პასები მისცა პარტნიორებს. ვიტყვი ოვერმარსზეც, რომელიც ერთადერთი წმინდა გარემარბია, სწრაფი, ტექნიკური. ბერხკამპმაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა, არგენტინელებთან მისი გატანილი გოლი კი, მგონი, საუკეთესოა ამ ჩემპიონატში. ესენი ყველა უნიჭიერესი ფეხბურთელები არიან, მაგრამ ზიდანს უფრო დავაფასებდი. თუ საფრანგეთი ფინალში გავიდა, საუკეთესოც, ალბათ, იგი იქნება.

**— ბოლოს საქართველოს ნაკრებზეც გკითხავთ. აგერ ხორვატიაა თვალსაჩინო მაგალითი ბრძოლისა და თავდადების. იქაც ომი იყო, არეულობა, ახლაც გაჭირვებაა, ჩვენზე რიცხვმცირენიც არიან, მაგრამ გუშინწინ რაც გააკეთეს, ყველამ იცის. ჩვენ რა, უნიჭოები ვართ? ერთი კარგი, ხორვატებივით ხალხის გამხარებელი გუნდის შექმნა არ შეგვიძლია?**

— იცით, როცა დავფიქრდები, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ხორვატებისთვის, იუგოსლავიელებისთვის, სხვა ასეთი გუნდებისთვის პატრიოტიზმის გრძნობა უზენაესია. ჩვენ კი აქამდე ცოტა გვიკლია. გულშემატკივრებისგან არაერთხელ მსმენია, ქართველი ლეგიონერები ნაკრებში თამაშისას ტრავმებს უფრთხიან და ბოლომდე არ იხარჯებიანო. სამწუხაროდ, რაც ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ვარ, ვერ მივაღწიე იმას, რომ ფეხბურთელები ყოველი მატჩისთვის საგანგებოდ განეწყონ, ყველაფერი გაიღონ, თავდაუზოგავად იბრძოლონ. არადა, ამის გარეშე ვერაფერს გავხდებით. ხორვატებისთვის და სხვებისთვისაც სულ ერთია, სად, ვისთან თაამშობენ, რა რანგის მატჩია. მათთვის ნაკრები უპირველესია.

სამომავლოდ, ვეცდები, ჩემი გავიტანო, ჩემსას მაინც მივაღწევ. ზოგს საერთოდ არ გამოვიძახებ, ზოგისთვის კი უკრაინელებთან მატჩი კვლავაც გამოსაცდელი იქნება. ნაკრებს სერიოზულად არ მოეკიდებიან და მორჩა, მათ ეროვნულ გუნდში აღარაფერი ესაქმებათ. ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ — უკრაინა მათთვის ბოლო გამოცდა იქნება. ჩვენ დრო არ გვაქვს, ხალხს მოგება უნდა, ქომაგი სტადიონზე თავისიანების მხარდასაჭერად მოდის და უნდა გაუმართლო. პრობლემები გულშემატკივართ არ აინტერესებთ, შედეგია ყველაფერზე მეტყველი. ხალხს რომ პრობლემას უხსნებ, გეტყვიან, მაგას შენ მოუარე, ჩვენ გამარჯვება გვინდაო. მართლებიც არიან.

ახალგაზრდულში მწვრთნელობისას ერთი წელი დამჭირდა ნაღდი, ბრძოლისუნარიანი გუნდის შესაქმნელად. ახლა კი ამდენი დრო სადაა. შესარჩევები კარს მოგვადგა. ამიტომაც გეუბნებით, ნაკრებში ბევრ რამეს გადავხედავთ, ბევრ რამეს სხვაგვარად შევაფასებთ და არაერთს ჩვენი გადაწყვეტილება იქნებ ძალიანაც ეწყინოს.

**კობა ინასარიძე**

**კალათბურთი**

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ვატო ნაცვლიშვილმა თურქეთის „კარშიაკას“ რომ მოუწერა ხელი ერთწლიან კონტრაქტზე, ამის შესახებ ორი დღის წინ გაუწყეთ. თურქული პირველობა თავისი დონით გაცილებით აღემატება ბულგარულსაც და პორტუგალიურსაც (ჩვენსაზე რომ აღარაფერი ვთქვათ), სადაც ვატოს აქამდე უთამაშია. ეს, რა თქმა უნდა, ნაცვლიშვილის ზრდას ერთიორად შეუწყობს ხელს, რაც ისევ ეროვნულ ნაკრებს წაადგება, მაგრამ... სხვისი რა გითხრათ და, ჩვენი გუნდის კაპიტანი ნაღდად არ გვემეტება „კარშიაკასთვის“...

# კარშიაკა: საფეხური ნაცვლიშვილის კიბეზე


ბადრი ოდიშარიას ფოტო

ვატო ნაცვლიშვილი და თურქები ერთმანეთს კარგა ხანია იცნობენ: ვითელ ნაცვლიშვილს თურქული ფთთ-ს ფარისთვისაც შეუტევია

მარტის აქეთაა, რაც გაცხადდა, NBA-ს დრაფტზე სხვებთან ერთად ორი ქართველი — ვოვა სტეფანია და ვატო ნაცვლიშვილი იქნებიან წარდგენილიო. რომ დავიჟინოთ, დრაფტის დღეს გულის ფანცქალით ველოდით, ღამეებს ვათენებდითო, არ ვიქნებით მართალი. ცოტა არ იყოს, ეჭვიც გვეპარებოდა, გაუღიმებდათ კი ბედი ჩვენებურებს. დღეს კი...სტეფანიამ, იცოცხლეთ, მიაღწია თავისას და გაისად, ალბათ, „სიეტლ სუპერსონიქსში“ ვიხილავთ. ნაცვლიშვილმა კი ამჯერად თურქული სარბიელი უნდა იკმაროს უკეთესის მოლოდინში. თუმცა, ვატო ამას სულაც არ აღიქვამს ტრაგედიად, რაშიც მასთან საუბარმა დაგვარწმუნა.

— თავიდან 30 კალათბურთელი წარგვადგინეს ევროპიდან NBA-ს დრაფტზე, საიდანაც ექვს კაცს უნდა გაეგრძელებინა ბრძოლა პროფესიულ ლიგაში მოსახვედრად. მათ შორის ერთ-ერთი სტეფანიაც იყო. ასე რომ, თავიდანვე შეგუებული ვიყავი, რომ წელს, ფაქტობრივად, შანსი არ მქონდა. საერთოდ დრაფტი ორ რაუნდად იმართება. პირველ რაუნდში 29-კაციან სიას ადგენენ, სადაც ვოვა 27-ე ნომრად განთესეს, ამის შემდეგ კი იგი „სიეტლ სუპერსონიქსის“ რჩეულთა შორის აღმოჩნდა. სულ კი ევროპიდან ოთხი კალათბურთელი აიყვანეს.

ამასთან დაკავშირებით საკუთარი აზრი გამაჩნია. ყველაფერი მაინც რეკლამაზეა დამოკიდებული. დღესდღეობით ნბა-ში მოხვედრა სულაც არ მიმაჩნია ისე მიუწვდომლად, როგორც ადრე მეგონა. ამისთვის ევროპულ კლუბებში თამაშია საჭირო. უნდა გაგიცნოს საკალათბურთო სამყარომ. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ გაცილებით კარგი კალათბურთელი ვერ მოხვდეს იქ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მას რეკლამა არა აქვს. ბევრ ჩემს თანატოლთან მითამაშია, რომლებიც ახლა ოკეანის გაღმა აგრძელებენ კარიერას. ერთ-ერთი მათგანი ესტონელი მიურსეპია. მას პირველად ტალინში შევხვდი ჩვენი და ესტონეთის ახალგაზრდული ნაკრებების თამაშისას. ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი კალათბურთელი იყო. ჩვენებურმა ლევან ქარაბაკმა გასაქანი არ მისცა, ყველა კომპონენტში დაჩაგრა. იმავე წელს მიურსეპი „მაიამიმ“ აიყვანა. თავად განსაჯეთ...

ვოვა სტეფანიას ნბა-ში მოხვედრა კი თავისთავად ქართული კალათბურთის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს. თუნდაც ის რად ღირს, რომ იქ ამჟამად, არც ერთი რუსი არ ასპარეზობს. ეს სამაგალითო უნდა იყოს მომავალი თაობებისთვისაც. ახლა მთავარი ისაა, ვოვამ ჯერ ფეხი მოიკიდოს სონიქსში, შეეჩვიოს, მომაგრდეს და მერე თავისი სიტყვაც თქვას.

**— ეს ყველაფერი კარგი და ღმერთმა ასეც ქნას! ახლა კი ისევ ნაცვლიშვილს დავუბრუნდეთ. ვატო, ჯერ იყო ბულგარული „ჩერნომორე“, მერე პორტუგალიური „კასაროლა“, ახლა კი თურქული „კარშიაკა“...**

— მიგიხვდით, რის თქმაც გინდათ. ამდენი მოგზაურობა სწორედ სასურველი კლუბის და პირობების ძიებაში მიხდება. თანაც ერთწლიანი კონტრაქტი მეტად პრაქტიკულია, ყველაფერ ამას ჩემი მენეჯერები მიგვარებენ. თურქული ვარიანტიც მათ გამიხერხეს. არსებობს ასეთი ფირმა — „კორსაიდი“, რომელსაც ამსტერდამში აქვს ოფისი. მათთან კონტრაქტი მაკავშირებს, ისინი კი კალათბურთელების სატრანსფერო ბიზნესით ითბობენ ხელს. ვფიქრობ, ასეთი მიდგომა აუცილებელია თანამედროვე კალათბურთში. უაგენტოდ სადმე წასვლა მიზანშეუწონლად მიმაჩნია. მოთამაშე ისე ვერ გაერკვევა კონტრაქტის იურიდიულ მხარეში, როგორც ამას პროფესიონალი გააკეთებს. ამისთვის კი იქნებ დაისაჯოს კიდეც. რამდენი მინახავს მოტყუებული. მაგალითისთვის ჩვენს წამყვან კალათბურთელზე, დათო ბერძენიშვილზე ვთქვათ. მას სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს „სლოვაკოფარმასთან“. დათო ჩემი მეგობარია და ვიცი მისი გასამრჯელო. ამ ფულად სისულელეა ასეთი კონტრაქტის გაფორმება. ღმერთმა ნუ ქნას და, სლოვაკურმა ფულმა ინფლაცია განიცადოს? რა იცი, რა ხდება.

ბუნებრივია, ყველა ცდილობს, რაც შეიძლება, კარგად აიწყოს სპორტული კარიერა. მე რომ „ბარსელონამ“ შემომთავაზოს გადასვლა, იცოცხლეთ, ერთი წუთითაც არ დავფიქრდები. ყოველივე ეს კიბეს მაგონებს, რომლის თითოეულ საფეხურზე მყარად უნდა დადგე, აჩქარება არ გამოდგება. ხელაღებით მაღლა სვლა კი, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

**— კონკრეტულად „კარშიაკას“ შესახებ გვითხარით რამე.**

— „კარშიაკა“ თურქეთის ქალაქ იზმირის გუნდია და ქვეყნის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობს. იქ სულ სამი დღით ვიყავი და, სიმართლე გითხრათ, ვერც მოვასწარი კარგად ქალაქის დათვალიერება. ამ კლუბს პატრონობს უდიდესი სამრეწველო ფირმა „ფინარია“. ეს არის დიდი ქარხანა, სადაც 5000 მუშაა დასაქმებული. ოქტომბრის მერე ცდილობდნენ თურქები ჩემს გადაბირებას, მაგრამ თავს ვიკავებდი. მერე კი იმ პირობებმა, რაც მათ შემომთავაზეს, სავსებით დამაკმაყოფილა. საცხოვრებელი ბინა, მანქანა, მოკლედ, ყველაფერი, რაც კაცს სჭირდება. ვიცი, რომ გუნდში ერთი ამერიკელი ლეგიონერია, თურმე მეორესთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკება. ბიჭების გაცნობის საშუალება ჯერ არ მომცემია, ისინი ახლა შვებულებაში არიან. თურქები თვრამეტი ივლისისთვის მელიან. ალბათ, გუნდიც მაშინ შეიკრიბება და მომავალ თანაგუნდელებსაც გავიცნობ. რაც მთავარია, კონტრაქტში შევატანინე მუხლი, რომლის თანახმადაც საქართველოს ნაკრებში თამაშზე არანაირი პრობლემა არ შემექმნება. ფიბას ეგიდით ჩატარებულ ყველა ოფიციალურ მატჩზე ვალდებულნი არიან, დაუბრკოლებლად გამომიშვან.

**— რადგან ნაკრები ახსენეთ, ამაზეც ვთქვათ, მით უმეტეს, ახლა სტეფანიას გარეშე მოგიწევთ თამაში.**

— უსტეფანიობა დიდი დანაკლისი იქნება, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის. ამ მხრივ მართლაც რომ სამძიმოა ნაკრებისთვის მისი ნბა-ში გადასვლა. ვოვას შესარჩევ თამაშებზე ჩამოსვლა შეუძლებელია. უმისოდ ფინალურ ეტაპზე გასვლა კი არცთუ ისე ადვილი იქნება. ყველამ იცოდეს, ვოვა არავისზე ნაკლები პატრიოტი არ არის და, დარწმუნებული ვარ, ამას თვითონაც მწარედ განიცდის. ასეთ სიტუაციაში არც საკუთარ თავს გამოვრიცხავ. ამჯერად კი სტეფანიას გარეშე მოგვიწევს ბრძოლა.

**— სამომავლოდ თუ ხედავთ რაიმე პერსპექტივას? ეშველება ჩვენს კალათბურთს?**

— როგორ გითხრათ, უნიჭიერესი თაობა მოდის, მაგრამ ფინანსური მდგომარეობა, ნაცვლად იმისა, რომ გაუმჯობესდეს, დღითიდღე უარესდება. ასე თუ გაგრძელდა, ალბათ, ეროვნული პირველობა მალე საერთოდ აღარ გვექნება და ახალგაზრდობაც გულს აიყრის სპორტის ამ სახეობაზე, რომელშიც უმდიდრესი ტრადიციები გაგვაჩნია. ირგვლივ მიმოვიხედოთ, თუნდაც რუსების მაგალითი ავიღოთ. მათ დიდი ფული დააბანდეს კალათბურთში და შედეგიც სახეირო აქვთ. მახსენდება, 3-4 წლის წინათ მოსკოვში ვიყავით ტურნირზე. პირველი ადგილი დავიკავეთ და, რომ იტყვიან, ყველა პირწმინდად დავჩაგრეთ. დღეს კი მათ ისე აიმაღლეს სათამაშო დონე, რომ დარწმუნებული ვარ, იგივე გუნდები 20 ქულაზე ნაკლები სხვაობით ნაღდად არ მოგვიგებენ. ეს ფაქტი, ვფიქრობ, ყველაფერზე მეტყველებს. ასე რომ, დროა, ჩვენც გადავდგათ კონკრეტული ნაბიჯები ქართული კალათბურთის საკეთილდღეოდ, თორემ მერე გვიან იქნება.

**გიორგი ბიკაშვილი**

**წყალბურთი**

# მარცხს მარცხი მოჰყვა, მერე ფრე

სტამბოლში წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატის „ბ“ ჯგუფში მოასპარეზე საქართველოს ნაკრები მეორე შეხვედრაშიც დამარცხდა, ამჯერად ბელარუსებთან — 5:8, მესამე მატჩში კი ჩვენებმა ფრედ — 9:9 ითამაშეს მასპინძლებთან.

აღსანიშნავია, რომ თურქებთან შეხვედრაში, ისე როგორც პირველ მატჩში სლოვენიელებთან, ქართველები წინ იყვნენ, მესამე პერიოდში 3-ბურთიანი სხვაობითაც იგებდნენ, მაგრამ...

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი წყალბურთელები მეოთხე შეხვედრაში მალტელებს სძლევენ, მაშინ შესაძლოა ისინი მოხვდნენ იმ 8 უძლიერეს გუნდში, რომლებმაც გაისად „ა“ ჯგუფში უნდა იასპარეზონ.

ეს ყველაფერი გვაცნობა საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ვალერი ჩოლარიამ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

**ჭიდაობა**

# ორი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო გუშინდლამდე

გუშინ მანჩესტერში დასრულდა კადეტთა ანუ 16 წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. მონაწილეთა შორის ქართველი მოჭიდავეებიც იყვნენ და არცთუ ურიგოდ იასპარეზეს. გუშინდლამდე ორი ვერცხლისმედალოსანი და ერთიც ბრინჯაოსანი გვყავდა — ვიცეჩემპიონები გახდნენ გორელები ამირან ელბაქიძე (42 კგ) და ზვიად ოქროპირიძე (57), მესამე იყო თბილისელი მიხეილ ბაგაური (83), ჩვენი გუნდის კიდევ 4 წევრს კი გუშინ ღამით უნდა დაესრულებინა შეჯიბრი.

**ირაკლი თავაძე**

**ჰოკეი**

# ეს ყინული სიცხეშიც არ დნება

## ლიგას მტაცებლებიღა აკლდა

მოგეხსენებათ, ყოველწლიური დრაფტის დროს ლიგის კლუბები გაცხოველებით ვაჭრობენ და ერთმანეთს გამალებით უცვლიან მოთამაშეებს. ამას არანაკლებ დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვება ხოლმე, ვიდრე, ვთქვათ, ახალი ტალანტების შეძენას. წლეულს კი გუნდების მესვეურთა ინტერესი ერთიორად გაიზარდა და ამის მიზეზი ნჰლ-ის ახალი ბინადარი „ნეშვილ პრედეიტორსია“. საგანგებოდ მისთვის გაიმართა ეგრეთ წოდებული „გაფართოებული დრაფტი“, სადაც „მტაცებლებს“ ლიგის დანარჩენი კლუბებისგან დაუცველი ჰოკეისტების აყვანის უფლება მიეცათ, თანაც, თითოეულ გუნდს ერთზე მეტი მოთამაშის არჩევა არ შეეძლო. ნეშვილის გენერალურმა მენეჯერმა დევიდ პოილმა მეკარეებს მიანიჭა უპირატესობა და რამდენიმე სოლიდური შენაძენით გააძლიერა კლუბი. მან სახელგანთქმული მაიკ რიხტერით დაიწყო, რაც „გაფართოებული დრაფტის“ მთავარ მოვლენად იქცა. პოილმა კიდევ ოთხ მეკარეზე გაამახვილა ყურადღება, რომელთაგან ყველაზე ცნობილი ანაჰაიმელი მიხაილ შტალენკოვი გახლავთ.

დრაფტზე წარდგენილ მცველთაგან უეჭველად კოლორადოელი უვე კრუპი გამოირჩეოდა, რომლის შეძენას ლიგის არაერთი კლუბი ლამობს. თუმცა, გამორიცხული არ არის, რიხტერსა და კრუპს მათმა ახლანდელმა გუნდებმა ხელსაყრელი კონტრაქტი შესთავაზონ და ჰოკეისტებმა ადგილსამყოფელი არ შეიცვალონ. თუ ასე მოხდა, პოილი სოლიდურ ფინანსურ კომპენსაციას მიიღებს.

სულ ნეშვილმა 26 ჰოკეისტი აირჩია, რომელთაგან უნდა გამოვყოთ მცველები ელ აიეფრეიტი (სან ხოსე), ჟან-ჟაკ დენიო (აილენდერსი), ფორვარდები დუგ ბრაუნი (დეტროიტი) და გრეგ ჯონსონი (ჩიკაგო). „მტაცებლებმა“ მეორე დღესაც იაქტიურეს და ერთბაშად 9 ჰოკეისტი გაცვალეს, რაც მომდევნო დრაფტებში არჩევანის უფლების დათმობის ფასად დაუჯდათ. კლუბი ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის ორ გმირს — სანხოსელ ვილე პელტონენსა და ლოსანჯელესელ კიმო ტიმონენს შეელია, აგრეთვე ცნობილ ფორვარდებს — სერგეი კრივოკრასოვსა (ჩიკაგო) და დერენ ტერკოტს (სენტ ლუისი).

# ლინდროსი ვერ გაიმეტეს...

დარხეული ხმები, თითქოს ერიკ ლინდროსმა ფილადელფიის მესვეურთა იმედები ვერ გაამართლა და ჰოკეისტს სხვა გუნდში გაყიდვა ელისო, ახლახან გაიფანტა. „მფრინავთა“ ლიდერს კიდევ ერთი შანსი მიეცა — იგი ერთი წლით დარჩა კლუბში, თანაც, საკმაოდ სოლიდურ თანხას, 8,5 მილიონ დოლარს მიიღებს. აღსანიშნავია, რომ ეს კონტრაქტი ლინდროსის თავისუფალ აგენტად ქცევამდე ერთი კვირით ადრე გაფორმდა.


ლინდროსი (შუაში) ისევ მფრინავია

# კოფი კი მოისროლეს

ის, რომ სახელოვანი მცველი პოლ კოფი ფილადელფიის მეპატრონეებს აღარ სჭირდებათ (პლეი ოფში იგი მხოლოდ ერთ მატჩში ათამაშეს), ოფიციალურად დადასტურდა და ზედმეტად მიჩნეულმა ჰოკეისტმა ჩიკაგოში ამოყო თავი, სადაც მას თურმე მოუთმენლად ელოდნენ. როგორც „ქორების“ გენერალურმა მენეჯერმა ბობ მიურეიმ განაცხადა, პოლი სწორედ ის მოთამაშეა, მის გუნდს რომ სჭირდება. შეგახსენებთ, რომ კოფი 1973 ქულით ნჰლ-ის საუკეთესო ბომბარდირი მცველია, მის ანგარიშზე ოთხი სტენლის თასი და სამი „ნორის ტროფია“ (საუკეთესო მცველისთვის დაწესებული პრიზი).

**სამველ ღარიბიანი**


# იყიდება

**თეთრი. გამჭვირვალე ორგანული მინა.**

3 და 4 მილიმეტრიანი. ზომები: 80x120სმ და 120x170სმ

ფასი შეთანხმებით

ტელეფონი: 95-22-56 38-60-88(საღამოს საათებში)

# უიღბლო თვითმკვლელი

ყველაფერი იმისკენ მიდიოდა, რომ 1998 წლის უიმბლდონი გორან ივანიშევიჩის ვარსკვლავურ საათად უნდა ქცეულიყო — ჯერ იყო და შაბათს ხორვატიის ფეხბურთელთა ნაკრებმა მოსისხლე გერმანელებს სულ თავბედი აწყევლინა, მერე ხორვატისა არ იყოს, იუმბლდონის ფინალში მანამდე ორჯერ დამარცხებულმა იანა ნოვოტნამ გაუგო გემო ჩემპიონობას და წესით და რიგით, კვირას უკვე გორანსაც უნდა მოეცილებინა თავისთვის მეტად არასასიამოვნო იარლიყი — საუკეთესო კაცი ჩოგბურთელი, რომელსაც დიდი სლემის ტურნირი არასოდეს მოუგია. ბოლოს და ბოლოს, რითი სჯობიან „მისტერ ეისს" რიჩარდ კრაიჩეკი, ევგენი კაფელნიკოვი, ან თუნდაც იგივე მაიკლ ჩანგი, პირად შეხვედრებში ზორბა ხორვატთან რეგულარულად რომ მარცხდებიან.



ბედნიერი და უბედური: სამპრასი და ივანიშევიჩი

| პიტ სამპრასი — გორან ივანიშევიჩი 6:7 (2:7), 7:6 (11:9), 6:4, 3:6, 6:2 | სამპრასი | ივანიშევიჩი |
|---|---|---|
| პირველი მოწოდების % | 54 | 55 |
| ეისები | 12 | 32 |
| ორმაგი შეცდომები | 8 | 20 |
| I მოწოდებაზე მოგებული ქულები | 68-85-დან - 80 % | 83-99-დან - 83 % |
| II მოწოდებაზე მოგებული ქულები | 44-70-დან - 62 % | 34-78-დან - 43 % |
| სუფთად მოგებული ქულები | 112 | 123 |
| ბრეიკ-პოინტების ქულები | 3-13-დან | 2-19-დან |
| სულ მოგებული ქულები | 172 | 160 |
| დრო | 2 საათი და 50 წუთი | |

მაგრამ გორანის მეტოქეს ფინალში, პიტ სამპრასს, წესები და რიგები, დამსახურება და მოწინააღმდეგეები არაფრად ულირდა — ამერიკელს 1992 წლიდან მოყოლებული უიმბლდონზე ერთადერთი მატჩი წაეგო, ოთხჯერ ჩემპიონობა ეზეიმა და აქამდე ჩაფლავებული სეზონის საყვარელ ტურნირზე გამოსწორობას ხორვატზე მეტად თუ არა, ნაკლებად სულაც არ ესწრაფოდა.

პირველი ორი სეტი მოსალოდნელი სცენარით წარიმართა, ესე იგი, ორივეს ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა. ივანიშევიჩმა მატჩი ნერვულად დაიწყო, რამდენიმე ორმაგი შეცდომაც დაუშვა, მაგრამ ბრეიკ-პოინტების გადარჩენა და მოწოდების შენარჩუნება მაინც მოახერხა, ტაი-ბრეიკზე კი ამერიკელი აშკარად დაჩაგრა. თამაში მეორე ხელში სამპრასის ბრეიკმა გამოაცოცხლა, რასაც მეტოქის მსგავსი პასუხი, ანგარიშის გათანაბრება და ისევ ტაი-ბრეიკი მოჰყვა — მატჩის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი. ხორვატისთვის წარმატება ფაქტობრივად ჩემპიონობის გაფორმებას ნიშნავდა, წარუმატებლობა — ყველაფრის თავიდან დაწყებას. ეს სამპრასსაც მშვენივრად მოეხსენებოდა და გადამწყვეტ გეიმში გამარჯვებისთვის ყველა ღონე იხმარა, ორჯერ სეტ-პოინტის გადარჩენაც მოახერხა და ბოლოს და ბოლოს თავი ისევ ივანიშევიჩმა დაიღუპა — 9:9-ზე ბადესთან მეტად იოლი ბურთი გააფუჭა და მეტოქეს ანგარიში გაათანაბრებინა.

მესამე და მეოთხე პარტიების ბედი თითო ბრეიკმა გადაწყვიტა, მეხუთე სეტში კი ნახევარფინალში რიჩარდ კრაიჩეკთან ჩატარებულმა სამსაათნახევრიანმა მარათონმა თავისი წაიღო და გორანმაც, ალბათ, მწარედ ინანა იმ მატჩის მეოთხე ხელში განიავებული ორი მატჩ-პოინტი, რის გამოც ცენტალურ კორტზე საჭიროზე ლამის ორჯერ მეტი გარჯაც მოუწია. სამპრასმა კი მეტოქეს დაქანცვა რომ შეატყო, თავად იშტაზე მოვიდა და ივანიშევიჩის მოქომაგე 13 ათასი მაყურებლისა და მის თამაშზე დასასწრებად ჩამოფრენილი ხორვატიის პრემიერ-მინისტრ ზლატკო მატესას გულდასაწყვეტად, სამსაათიან შეხვედრას მეტოქის მოწოდების ართმევით დაუსვა წერტილი.

დაჯილდოების ცერემონიალზე ივანიშევიჩს ადამიანის ფერი აღარ ედო სახეზე და მაყურებლების გამხნევებისა და ოვაციების მიუხედავად, საპატიო წრის დარტყმაც კი იუარა. „იცით, ბევრჯერ მქონია ცუდი დღეები ცხოვრებაში, როდესაც ავად ვყოფილვარ, ან ვინმე მომკვდარა, მაგრამ ეს ჩემთვის ცხოვრების ყველაზე უარესი მომენტია. ყველაფერი გავილე, რაც შემეძლო და სასიამოვნოა, რომ ეს ქომაგებმაც დააფასეს, თუმცა თავს მაინც საშინლად ვგრძნობ. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამჯერად მოგების რეალური შანსი მქონდა, იგი ხომ ისეც კარგად არ თამაშობდა, როგორც შეუძლია." გორანმა, რომელიც ფეხბურთის დიდი მოყვარულია და ცენტრალურ კორტზე სულაც ეროვნული ნაკრების თეთრწითელი მაისურით გამოცხადდა, ოთხშაბათს მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალურ მატჩზე დასწრებაც კი იუარა ხორვატიასა და საფრანგეთს შორის, არავის გულშემატკივრობის თავი აღარა მაქვს, ახლა ერთი თვითმკვლელობაღა დამრჩენიაო.

ივანიშევიჩს მისი ცოდვების დამდებმა სამპრასმაც უთანაგრძნო: „არ ვიცი, რა მომივიდოდა მის ადგილზე. დიდი სლემის ტურნირის მოსაგებად ცოტა იღბალიც გჭირდება, რაც ამ სამ ფინალში მას არ აღმოაჩნდა."

სამპრასი კარიერის მეთერთმეტე დიდი სლემის ტურნირის მოგებით ბიორნ ბორგსა და როდ ლეივერს გაუსწორდა, ყველა დროის როი ემერსონის რეკორდამდე ერთი გამარჯვებაღა უკლია, თან ამ წარმატებით მსოფლიოს პირველი ჩოგნობაც შეინარჩუნა და 688 ათასი დოლარითაც გამდიდრდა. თუმცა, ამ ფულს შეიძლება მალე სისხლის სუნიც აუვიდეს.

**შერეული წყვილების ფინალი:** მაქს მირნი (ბელარუსი) და სერენა უილიამსი (აშშ) — მაჰეშ ბჰუპატი (ინდოეთი) და მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) 6:4, 6:4.

**ქალთა წყვილების ფინალი:** მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) და იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) (1) — ლინდსი დევენპორტი (აშშ) და ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) (2) 6:3, 3:6, 8:6.

**ვაჟი წყვილების ფინალი:** იაკო ელტინგი და პოლ ჰაარჰიუსი (1, ჰოლანდია) — ტოდ ვუდბრიჯი და მარკ ვუდფორდი (2, ავსტრალია) 2:6, 6:4, 7:6 (7:3), 5:7, 10:8.

ავთანდილ სვანიძე



პიტ სამპრასი

დაიბადა 1971 წლის 12 აგვისტოს

დაბადების ადგილი: ვაშინგტონი, აშშ

სიმაღლე: 1,85 მ

წონა: 79 კგ

მემარჯვენე

ტიტულები: 55, აქედან 11 დიდი სლემის (5 უიმბლდონი, 4 აშშ, 2 ავსტრალია)

კარიერის საპრიზოები: 32 422 649$

წარმოშობით ბერძენ ყველა დროისა და ხალხის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელს ცხოვრებაში ჩოგბურთის გარდა ბევრი არაფერი აინტერესებს — შარშანწინ ხუთი წლის მანძილზე თავის გელფრენდს იმიტომ დაშორდა, ცოტა მეტი ყურადღება და ჩოგბურთსა და საცოლეს შორის არჩევნის გაკეთება რომ მოთხოვეს. თავისუფალი დროის გატარება გოლფის თამაშში უყვარს და კატეგორიულად უარყოფს საკუთარი მოსაწყენი იმიჯის შეცვლას სპორტისადმი ინტერესის გაღვივების მიზნით. მაინცდამაინც არც პატრიოტული აღტკინებით გამოირჩევა — ხშირად ამბობს უარს აშშ-ის დევისის თასის გუნდში ასპარეზობაზე.

# ბარაქალა ბერიქალებს!

წლევანდელი უიმბლდონის ქალთა პირველობისგან ყველა უსაშველოდ ბევრს ელოდა — ამის იმედს ცალკერძ სწორედ ტურნირის წინ ფორმაში ჩამდგარი მონიკა სელეში და ფერფლისგან ვინ მოთვლის მერამდენედ აღმდგარი შტეფი გრაფის დაბრუნება, არანჩა სანჩეს-ვიკარიოს მიერ ორიოდ კვირის წინ როლან გაროსზე გალაღება, მეორე მხრივ კი მსოფლიოს ახლანდელი პირველი ჩოგნის — მარტინა ჰინგისის, შარშან ნახევარფინალში გასული ანა კურნიკოვას, ყველგანმყოფი დები უილიამსებისა და მირიანა ლუჩიჩის ასპარეზობა იძლეოდა. ცეცხლს ნავთი კენჭისყრამაც გადაასხა — აღმოჩნდა, რომ უკვე მეორე წრეში ლუჩიჩ-უმცროსი უილიამსი გადაეყრებოდნენ ერთმანეთს, ამის მოგებული კურნიკოვას, მერე — ვინუს უილიამსს, ბადის მეორე მხარეს კი სამეოთხედფინალოდ შტეფი გრაფისა და მონიკა სელეშის არანაკლებ საინტერესო დუელი მზადდებოდა.

დიდ გეგმებს და მასთან ერთად ტურნირზე აკრედიტებულ ფოტორეპორტიორებს პირველი მნიშვნელოვანი ზიანი ანა კურნიკოვამ მიაყენა, რომელმაც უიმბლდონის კორტებზე საერთოდ იუარა გამოსვლა, ცერა თათის ტრავმა მოიმიზეზა, ერთი პრესკონფერენცია გამართა და სერგეი ფიოდოროვთან ერთად გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა. მერე პირველივე წრეში „სხეულად" სახელდებულმა მარი პირსმაც რომ წააგო, უიმბლდონზე მდიანი სურათების გადაღების მიზნით შეკრებილთა არმიიდან ზოგი დეპრესიაში ჩავარდა, ზოგმაც ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე გაქცევით უშველა თავს.

როგორც იტყვიან, გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო და მესამე წრეში ჯერ სერენა უილიამსი გავარდა ტრავმის გამო, რითაც საკუთარ დასთან შეხვედრის შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან, მერე კი ცოდვის ბორბალი ბელარუსმა ნატაშა ზვერევამ დაატრიალა — ლონდონელთა საყვარელ ჩოგბურთელ შტეფი გრაფს ხომ მოუგო, მეოთხედფინალში სელეშის საჩემპიონო ამბიციებსაც ამოსდო ლაგამი.

ყველასათვის მოულოდნელი კი ის აღმოჩნდა, რომ ნახევარფინალში გასულთაგან ჰინგისის გარდა ყველაზე უმცროსი შვეიცარიელზე 10 წლით უფროსი ზვერევა იყო, დანარჩენების ასაკში კი ზოგიერთები უკვე საკუთარ შვილებს გულშემატკივრობენ. აბა, ვინ იფიქრებდა ტურნირის წინ, რომ რჩეულთა ოთხეულში, მოგვიანებით კი სულაც ფინალში 30 წლის ნატალი ტოზია მოხვდებოდა, სამხრეთაფრიკაში დაბადებული და თვით საკუთარ ფედერაციასთანაც კი მუდმივად უბრად მყოფი მკივანა ფრანგი ვეტერანი.

და ეს ყველაფერი იმის შემდეგ, რაც სეზონის დასაწყისში 20 წელს გადაცილებული ლამის ყველა ჩოგბურთელი საბოლოოდ ჩამოწერილად და პენსიაზე გასასვლელად გამოაცხადეს. „მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი წლის ხარ, მთავარი ისაა, თავს როგორ გრძნობ" — იანა ნოვოტნას არ დაუჯერო, არ იქნება. ძველი თაობის გამოცოცხლება-გააქტიურებაზე თვით მუდმივად მოტრაბახე ჰინგისმაც კი გაიმეტა ერთი-ორი ტკბილი სიტყვა: „ზოგჯერ მეჩვენება, რომ ასაკის მომატებასთან ერთად ყველა უკეთ თამაშობს. ფინალში ბადის მეორე მხარეს ტოზიას დანახვა განსაცვიფრებელია. იმედია, მეც ასევე ვითამაშებ მოგვიანებით — უფრო ჭკვიანურად, დინჯად, უკეთესად."

რაც შეეხება თავად ჰინგისს, მსოფლიოს პირველ ჩოგანს აშკარად კრიზისი უდგას. ძნელი გასარკვევია, რისი ბრალია ეს ჩავარდნა (მარტინას სტანდარტებით, თორემ დიდი სლემის ნახევარფინალში ასპარეზობას სხვა ვინ დაიწუნებდა) — ახალი, ყველა მატჩის დროს სმა-ჭამაში გართული მამინაცვლის გამოჩენით, ბოიფრენდების ხშირი ცვლით, ზედმეტი თავდაჯერებულობით თუ პირიქით, საკუთარი ძალების რწმენის დაკარგვით. ყოველ შემთხვევაში, მარტინას ამ ექვს თვეში მთელი გასული სეზონის განმავლობაში ნაწვნევ მარცხებზე მეტი დაუგროვდა და როლან გაროსის მსგავსად, უიმბლდონზეც ვეტერანისგან ნახევარფინალში დამარცხებულს, ისევ შვეიცარიის მთებში მოუწევს გახიზვნა და ნერვების დასაწყნარებლად ჩანჩქერების თვალიერება, რაც, თავისთავად ცუდი საქმიანობა სულაც არ გახლავთ.

დაბოლოს, რა უნდა თქვა მეტი იანა ნოვოტნაზე — ყველა დროის ყველაზე ნერვულ ჩოგბურთელ ქალს ყველაზე მეტადაც ეკუთვნოდა თუგინდ ერთი დიდი სლემის ტურნირის მოგება და ამ ტურნირებიდან ყველაზე მეტად სწორედ უიმბლდონის გამარჯვებულის ვერცხლის სინის ხელში დაჭერა. სრულიად შესაძლებელია, კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება 29 წლის ჩოგბურთელისთვის პირველი, მაგრამ არა უკანასკნელიც აღმოჩნდეს — მსგავსი ნიჭის, თუნდაც ასეთი ნერვების პატრონი აშკარად მეტსაც იმსახურებს.

# მომავალი შენია!

სწორედ იმ დროს, როცა უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე გორან ივანიშევიჩი და პიტ სამპრასი ეისს ეისზე უწოდებდნენ ერთიმეორეს, „ოლ ინგლენდ კლაბის" რიგით მეორე სარბიელზე, ზედმეტსახელად „ჩემპიონების სასაფლაო" რომ შეურქმევიათ, იუნიორი ვაჟების ფინალი მიმდინარეობდა და ზემოხსენებული ჩოგბურთელებისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ჩვენი ყურადღებაც სწორედ იქით იყო მიპყრობილი — ირაკლი ლაბაძე ხომ იუმბლდონის ჩემპიონის ტიტულისთვის შვეიცარიელ როჯერ ფედერერს ეჭიდებოდა.

მეხუთედ განთესილ ნეიტრალს თურმე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ და ზურგს ისეთი ფირმებიც უმაგრებდნენ, გულს და თვალს მარტო ჩამოთვლა რომ გაახარებს — ნაიკი, უილსონი, ბაბოლატი, IMG.

მატჩის ცქერას, ბუნებრივია, ვერაფრით მოვახერხებდით და ირაკლის საგულშემატკივროდ კომპიუტერთან, უიმბლდონის ინტერნეტულ საიტზე მოვიყარეთ თავი, სადაც გათამაშების ნაცვლად პირდაპირ ეთერში მხოლოდ ტაბლო მოჩანდა. ამ ტაბლოზე, ჩვენდა გასახარად, თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, ირაკლი მოწოდებებსაც იოლად ინარჩუნებდა და რამდენჯერმე ბრეიკ-პოინტიც ჰქონდა, მაგრამ შანსები ვერ გამოიყენა და ასე მნიშვნელოვან მეშვიდე გეიმში მოწოდების დაკარგვას სეტის წაგებაც მოჰყვა.

საქართველოს შარშანდელ ჩემპიონს მერვედფინალიდან მოყოლებული პირველი ხელი ყველგან წაეგო და გამარჯვების იმედი ოდნავაც არ დაგვიკარგავს, თუმცა დაიწყო მეორე პარტია და ნათელი გახდა, ამჯერად ყველაფერი გაცილებით გართულდებოდა — თუ ფედერერი თავის მოწოდებებს უპრობლემოდ იგებდა, ირაკლის იგივეს გაკეთება სულ უფრო უჭირდა, მერე ეს ერთხელ სულაც შეუძლებელი გახდა, ბრეიკი მეტოქეს დაუთმო და, ბევრი მცდელობის მიუხედავად, მატჩის გადარჩენა ველარ მოახერხა 4:6, 4:6.

რა თქმა უნდა, ფინალში მარცხი ორმაგად გულდასაწყვეტია, მაგრამ 16 წლის ქართველი ჩოგბურთელის შესანიშნავმა ასპარეზობამ უიმბლდონის მწვანე კორტებზე მომავლის დიდი იმედიც გაგვიჩინა — სავსებით შესაძლებელია, ორ-სამ წელიწადში ირაკლის იუნიორებში კი არა, პროფესიონალთა ტურნირებზე თავის გამოჩენაც მივულოცოთ. თუმცა ჯერჯერობით თავისი ასაკის ჩოგბურთელთაგან ასე გამორჩევაც არანაკლებ სასახელოა.

რაც შეეხება შვეიცარიელს, გუშინ მას მარტო ერთეულებში გამარჯვებით არ გაუხარია, წყვილების ფინალში ბელგიელ როშუსთან ერთად იგივე ანგარიშით გაიმარჯვა.



უიმბლდონის მერე ირაკლი ლაბაძეს მოსკოვის მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშები ელის

## გოლები

5 — კრისტიან ვიერი (იტალია), გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა)

4 — მარსელო სალასი (ჩილე), ლუის ერნანდესი (მექსიკა), დავორ შუკერი (ხორვატია)

3 — სეზარ სამპაიო (ბრაზილია), რონალდო (ბრაზილია), იურგენ კლინსმანი (გერმანია), ოლივერ ბირჰოფი (გერმანია), ბებეტო (ბრაზილია), რივალდო (ბრაზილია), დენის ბერხკამპი (ჰოლანდია)

2 — ტიერი ანრი (საფრანგეთი), მარკ ვილმოტსი (ბელგია), არიელ ორტეგა (არგენტინა), რობერტო ბაჯო (იტალია), აბდელჯილილ ჰადა (მაროკო), სალაჰედინ ბასირი (მაროკო), შონ ბარტლეტი (ს. აფრიკა), ფერნანდო იერო (ესპანეთი), ფრანსისკო მორიენტესი (ესპანეთი), კიკო (ესპანეთი), ფილიპ კოკუ (ჰოლანდია), რონალდ დე ბური (ჰოლანდია), თეოდორ უიტმორი (იამაიკა), ვიორელ მოლდოვანი (რუმინეთი), სლობოდან კომლიენოვიჩი (იუგოსლავია), მაიკლ ოუენი (ინგლისი), ალან შირერი (ინგლისი), ბრიან ლაუდრუპი (დანია)

1 — ჯონ კოლინზი (შოტლანდია), დან ეგენი (ნორვეგია), მუსტაფა ჰაჯი (მაროკო), პიერ ნჯანკა (კამერუნი), ტონი პოლსტერი (ავსტრია), მარკ რიპერი (დანია), კრისტოფ დიუგარი (საფრანგეთი), რაული (ესპანეთი), მუტიუ ადეპოჟუ (ნიგერია), სანდი ოლისე (ნიგერია), ჰა სეკ ჯუ (კორეა), რიკარდო პელაესი (მექსიკა), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია), მარიო სტანიჩი (ხორვატია), რობერტ პროსინეჩკი (ხორვატია), რობი ერლი (იამაიკა), პოლ სქოულზი (ინგლისი), ადრიან ილიე (რუმინეთი), ანდრეას მიოლერი (გერმანია), ჰავარდ ფლო (ნორვეგია), კრეიგ ბარლი (შოტლანდია), ივიცა ვასტიჩი (ავსტრია), ლუიჯი დი ბიაჯო (იტალია), ბენედიქტ მაკართი (ს. აფრიკა), ალან ნილსენი (დანია), დავიდ ტრეზეგე (საფრანგეთი), ბიქსენტე ლისარასუ (საფრანგეთი), მიქაელ ლაუდრუპი (დანია), ვიქტორ იკპება (ნიგერია), გარსია ასპე (მექსიკა), კვატემოკ ბლანკო (მექსიკა), მარკ ოვერმარსი (ჰოლანდია), პიერ ვან ჰოიდონკი (ჰოლანდია), პრედრაგ მიატოვიჩი (იუგოსლავია), დრაგან სტოიკოვიჩი (იუგოსლავია), ჰამიდ ესტილი (ირანი), მეჰდი მაჰდავიკია (ირანი), ბრაიან მაკბრაიდი (აშშ), ლიდერ პრესიადო (კოლუმბია), დან პეტრესკუ (რუმინეთი), ანდრეას ჰერცოგი (ავსტრია), პატრიკ მბომა (კამერუნი), ხოსე სიერა (ჩილე), ტორე ანდრე ფლო (ნორვეგია), კეტილ რეკდალი (ნორვეგია), იური ჯორკაეფი (საფრანგეთი), ემანუელ პეტი (საფრანგეთი), სამი ალ ჯაბერი (საუდეთი), იუსუფ ალ ტინიანი (საუდეთი), ლუის ენრიკე (ესპანეთი), ემილ კოსტადინოვი (ბულგარეთი), სელსო აიალა (პარაგვაი), მიგელ ბენიტესი (პარაგვაი), ხოსე კარდოსო (პარაგვაი), ვილსონ ორუმა (ნიგერია), რიკარდო პელაესი (მექსიკა), ლუკ ნილისი (ბელგია), იუ სენგ ჩუი (კორეა), ექტორ პინედა (არგენტინა), მასაში ნაკაიამა (იაპონია), სკანდერ სუია (ტუნისი), დარენ ანდერტონი (ინგლისი), დევიდ ბექემი (ინგლისი), ლორან ბლანი (საფრანგეთი), პეტერ მიოლერი (დანია), ებე სანდი (დანია), ტომას ჰელვეგი (დანია), ტიჯანი ბაბანგიდა (ნიგერია), ედგარ დავიდსი (ჰოლანდია), ხავიერ ძანეტი (არგენტინა), მარტინ იორგენსენი (დანია), პატრიკ კლუივერტი (ჰოლანდია), კლაუდიო ლოპესი (არგენტინა), რობერტ იარნი (ხორვატია), გორან ვლაოვიჩი (ხორვატია)

## ავტოგოლები

2 — პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა)

1 — ტომი ბოიდი (შოტლანდია), იუსუფ ჩიპო (მაროკო), ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია)

## წითელი ბარათები

*ჰოლანდია* — ნუმანი

## ყვითელი ბარათები

*ხორვატია* — სოლდო, ბობანი, ბილიჩი, სიმიჩი, შუკერი

*ბრაზილია* — კაფუ — 2, სეზარ სამპაიო, ლეონარდო, რობერტო კარლოსი, ალდაირი

*საფრანგეთი* — გივარში, დეშამპი

*ჰოლანდია* — სტამი

# იცით თუ არა, რომ...

...გერმანიის ნაკრებს 1958 წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გამართული არც ერთი შეხვედრა სამბურთიანი სხვაობით არ წაეგო. მაშინ გერმანელები მესამე ადგილისთვის ბრძოლაში მასპინძლებთან — ფრანგებთან 3:6 დამარცხდნენ. გუშინწინ კი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებს მეოთხე-დფინალურ მატჩში ხორვატებმა ორმოც-წლისწინანდელი შერცხვენა გაიხსენეს და 3:0 მოუგეს. საგულისხმოა, რომ გერმანიის ეროვნულ გუნდს მსოფლიოს პირველობაზე უფრო მძიმე მარცხიც განუცდია. ისინი 1954 წელს შვეიცარიაში ჩატარებულ ჩემპიონატზე ჯგუფური ტურნირის შეხვედრაში უნგრეთის „დიდ გუნდთან“ 3:8 განადგურდნენ, თუმცა შემდგომ წრეში გასვლა მაინც მოახერხეს. ის კი არა, იმ წელს გერმანელებმა ფინალსაც უწიეს, სადაც კვლავ უნგრელებს გადაეყარნენ და შური იძიეს 3:2.

* * *

...ხორვატიის ნაკრები 1966 წლის შემდეგ შეიქნა პირველი გუნდი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპონატის ფინალურ ეტაპზე თავის სადებიუტო გამოსვლაში ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ასეთი შედეგი ამ ოცდათორმეტი წლის წინ ინგლისში გამართულ მსოფლიოს პირველობაზე დებიუტანტმა პორტუგალიის ნაკრებმა აჩვენა. მაშინ პორტუგალიელებმა ფინალში გასვლა ველარ მოახერხეს და მესამე ადგილს დასჯერდნენ.

* * *

...გერმანიის ეროვნულ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გამართულ უკანასკნელ თვრამეტ შეხვედრაში მინდორი უგოლოდ არ დაეტოვებინა. გუშინწინ მეოთხედფინალში ხორვატებთან 0:3 დამარცხებით მათ ეს სასიამოვნო სერია შეწყვიტეს. საგულისხმოა, რომ ბოლო მატჩი, რომელშიც გერმანელებმა გოლის გატანა ვერ მოახერხეს, 1986 წელს მექსიკაში გაიმართა. მაშინ მასპინძლებსა და ევროპელებს შორის ჩატარებული მეოთხედფინალი 0:0 დასრულდა, ხოლო პენალტებით გერმანელებმა 4:1 იმარჯვეს და ნახევარფინალში გავიდნენ.

* * *

...ხორვატიის ნაკრებისთვის გერმანელების 3:0 განადგურება გახლდათ ყველაზე დიდი ანგარიშით მოგებული მატჩი იმათგან, რაც კი ამ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჩაუტარებია. აქამდე ექს-იუგოსლავიელთა საუკეთესო მაჩვენებლად წლევანდელი პირველობის ჯგუფურ ტურნირში იამაიკელთა 3:1 დამარცხება ითვლებოდა.

* * *

...ჰოლანდიის ნაკრებმა მეოთხედფინალურ შეხვედრაში არგენტინელების 2:1 ძლევით ერთგვარი რევანში აიღო ოცი წლის წინანდელი მარცხისთვის. 1978 წელს არგენტინაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში სწორედ ამ ორი ისინი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და მაშინ დრამატულ მატჩში გამარჯვება სამხრეთ ამერიკელებს დარჩათ 3:1.

* * *

...გუშინწინ უკანასკნელ მეოთხედფინალში გერმანელთა დამარცხება იმას ნიშნავდა, რომ ბოლო ოთხი დღის განმავლობაში საფრანგეთი იმ ოთხმა ნაკრებმა დატოვა, რომლებსაც სხვადასხვა დროს მსოფლიოს ჩემპიონობა მოუპოვებიათ. ინგლისი, იტალია, არგენტინა და გერმანია სწორედ ეს უილბლონი არიან და საინტერესოა, რომ იტალიელთა გარდა დანარჩენ სამ ყოფილ ჩემპიონს მათთვის გადამწყვეტ წარუმატებელ შეხვედრაში მსაჯებმა თითო ფეხბურთელი გაუძევეს.

* * *

...წლევანდელ ჩემპიონატზე ნახევარფინალში გასული ოთხი გუნდიდან აქამდე მსოფლიოს ჩემპიონი მხოლოდ ბრაზილიის ნაკრები გამხდარა. ორს — საფრანგეთისა და ხორვატიის გუნდებს არც ფინალურ შეხვედრაში უასპარეზიათ ოდესმე, ხოლო ჰოლანდიელებს გადამწყვეტ მატჩში თამაშის პატივი ორჯერ — 1974 და 1978 წლებში რგებიათ. ასევე აღსანიშნავია, რომ საფრანგეთისა და ხორვატიის ეროვნული გუნდები ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან.

* * *

...ბრაზილიისა და ჰოლანდიის ნაკრებები, რომლებსაც 7 ივლისს ნახევარფინალში მოუწევთ დაპირისპირება, აქამდე მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე სულ ორჯერ შეხვედრიან ერთმანეს. 1994 წელს აშშ-ში გამართულ პირველობაზე ისინი მეოთხედფინალურ მატჩში შეიყარნენ და მაშინ სამხრეთამერიკელებმა გაიმარჯვეს 3:2, 1974 წელს კი, როდესაც ჩემპიონატს გერმანიამ უმასპინძლა, ეს გუნდები წლევანდელის მსგავსად ნახევარფინალში შეებრძოლენ ერთმანეთს. მაშინ „მფრინავმა ჰოლანდიელებმა“ კრუიფის წინამძღოლობით სამხრეთამერიკელთა ავტორიტეტი არად ჩააგდეს და 2:0 მოიგეს.

* * *

...მას შემდეგ, რაც გერმანია გაერთიანდა, ამ ქვეყნის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალი გადაულახავ ბარიერად ექცა. 1994 წელს აშშ-ში გერმანელებმა ბულგარელებთან 2:1 წააგეს, ხოლო გუშინწინ ასევე მეოთხედფინალში ხორვატებთან 0:3 შერცხვნენ. არადა, აღსანიშნავია, რომ გაერთიანებამდე, 1954 წლიდან 1990 წლამდე ჩატარებული 10 მსოფლიოს პირველობიდან 8-ში დასავლეთ გერმანიის ეროვნული გუნდი ნახევარფინალურ ეტაპზე გასვლას ახერხებდა.

* * *

...წლევანდლამდე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამართული მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ჰოლანდიის ნაკრები ოთხჯერ გავიდა და ოთხჯერვე მომავალ ჩემპიონთან დამარცხების გამო გამოეთხოვა ტურნირს. 1974 და 1978 წლებში „ტიტების ქვეყნის“ წარმომადგენლებმა მასპინძლებთან — შესაბამისად, გერმანელებთან და არგენტინელებთან ფინალური შეხვედრები წააგეს. 1990 წელს ჰოლანდიელებს მერვედფინალში მომავალმა ჩემპიონებმა — გერმანელებმა სძლიეს, ხოლო 1994-ში „ნარინჯისფერების“ წინააღმდეგობა მეოთხედფინალში ბრაზილიელებმა გატეხეს.

* * *

...გერმანიის ნაკრები გუშინწინ მეოთხედფინალში 0:3 დამარცხების შემდეგ შეიქნა მესამე ევროპული გუნდი, რომელმაც წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდი ანგარიშით წააგო შეხვედრა. აქამდე მისი ხვედრი შოტლანდიელებმა და ბულგარელებმა გაიზიარეს. ჯგუფური ტურნირის მატჩებში სქოთებს მაროკომ მოუგო 3:0. ხოლო სტოიჩკოვი და კომპანია ესპანეთთან 1:6 შერცხვა.

* * *

...ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელმა დენის ბერხკამპმა არგენტინელების წინააღმდეგ გამართულ მეოთხედფინალურ მატჩში თავის გამოჩენით ერთგვარი რეკორდი დაამყარა. ახლა ბერხკამპს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ჩატარებული უკანასკნელი რვა შეხვედრიდან ექვსი დაუგროვდა ისეთი, რომლებშიც ერთი გოლი მაინც გაუტანია.

# მეოთხედფინალის სიმბოლური ნაკრები

## სარბიელის ვერსია




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს
მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში — კვირაში შვიდჯერ

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**სარედაქციო კოლეგია:**
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
**ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**სხვა სახეობათა განყოფილება:** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29